პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 1 დეკემბერი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 277 (2623)

დ ღ ი უ რ ი

- სისხლისმღვრელი შეტაკება მუშებსა და პოლიციელებს შორის კოპენჰაგენში
- ხელფასის შემცირება ავსტრალიის 11 ათას სამთამადნო მუშისათვის
- საფრანგეთის მუშებმა „ლუმანიტესათვის" შეაგროვეს 1,055.000 ფრანკი
- „საბჭოთა ქვეყნის" ეკიპაჟი ამერიკიდან გამომგზავრდა საბჭოთა კავშირში
- საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ მუშათა დელეგატებს ინგლისის მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ
- უმუშევრობის საშინელებანი შეერთებულ შტატებში

ა.-ქ. ფედერაციის განვითარების ახალი საფეხური

ამიერ - კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების განვითარებაში იწყება ახალი საფეხური. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ამიერ - კავკასიის ფედერაციის მომავალი მუშაობის შესახებ გულისხმობს მნიშვნელოვან ცვლილებებს ფედერაციის სამეურნეო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობის სისტემაში. ეს დადგენილება საყურადღებო ისტორიული დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს მთელ რიგ წლების განმავლობაში ამიერ - კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას ამიერ - კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის.

„ამიერ - კავკასიის ორგანოებმა — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დირექტივაში — რომელნიც პირველ პერიოდში უმთავრესად პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ და რომელთაც უზრუნველჰყვეს ამიერ - კავკასიის ნაციონალური მშვიდობიანობის გაძლიერება, **დღევანდელ პერიოდში მთელი თავიანთი ძალ ღონე უნდა მოახმარონ სამეურნეო სოციალისტურ მშენებლობას ეროვნულ რესპუბლიკებში, ამ რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ და სოციალისტურ გარდაქმნას".** როგორც ამ დღეებში ვსწერდით („კომუნისტი" 26 ნოემბრის), ამიერ-კავკასიის ფედერაციამ თავისი არსებობის პირველ პერიოდში ბრწყინვალეთ გაამართლა თავისი დანიშნულება, როგორც მრავალეროვან ამიერ კავკასიის ნაციონალური მშვიდობიანობის საუკეთესო იარაღმა. ამიტომ ფედერაციის არსებობის პირველი პერიოდი მისი შემდგომი არსებობის და გაძლიერების მჭერმეტყველური არგუმენტია. განვლილი წლებიც ამავე დროს მძიმე ლახვარია, რომელიც გულში ხვდება ამიერ - კავკასიის ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ყველა მტრებს, ყველა ჯურის ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და მენშევიკებს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება სახავს იმ გზებსაც, რომელთა საშუალებით იქნება შესაძლებელი პოლიტიკურად გამაგრებულ ამიერ - კავკასიის ფედერაციის შემდგომი განმტკიცება. ეს გზაა — მეტი ხელმძღვანელობა და ოპერატიულ-საკონტროლო ორგანოების შექმნა ფედერაციის სამეურნეო მშენებლობის მთელ რიგ დარგებში.

„ხუთწლიანი გეგმა — ნათქვამია ს. კ. პ. (ბ) მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციაში — **უზრუნველყოფს ნაციონალურ რესპუბლიკების და ჩამორჩენილ რაიონების და ოლქების სამეურნეო - კულტურულ აღორძინებას".** საბჭოთა წყობილების განსაკუთრებული უპირატესობა იმაშია, რომ ის არ სცნობს გაბატონებულ და დაჩაგრულ ერებს, რომ ის არც ერთ ერს არ აკუთვნებს ნაციონალურ პრივილეგიებს, შეუძლებლად ხდის ერთი ერის განვითარებას, გაძლიერებას მეორე ერის ჩამორჩენის, დაქვეითების გზით. ამით აიხსნება, რომ თვითმპყრობელობის ხანგრძლივი ბატონობის მეოხებით ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ ამიერ - კავკასიას და, კერძოთ, საქართველოს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა სამეურნეო კულტურის წინსვლის უდიდესი შესაძლებლობანი. საქართველოს სახალხო მეურნეობაში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მეოხებით ორგანიულ ცვლილებებს აქვს ადგილი; მრავალი მილიონები, რომელიც იხარჯება ჩვენს ქვეყანაში — ქალაქად და სოფლად, მოწმობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის არაჩვეულებრივ ზრდას, საწარმოო ძალთა მეტად ჩქარ განვითარებას ახალ სოციალ - ეკონომიურ საფუძველზე, გაბოროტებული მენშევიკიც კი ვერ უარყოფს დღეს ამ მათთვის მწარე სინამდვილეს, საბჭოთა საქართველოს მოსისხლე მტერიც კი იძულებულია აღიაროს ჩვენი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია.

საქართველოს მრეწველობის განვითარებისთვის დანიშნულ თანხების 82 პროც. ხმარდება კაპიტალურ მშენებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენში შეიქმნება მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, რომ ჩვენი ქვეყანა იქნება არა მხოლოდ ნედლეულის მხარე, როგორც იყო ეს მეფის დროს, არამედ ის შექმნის ნედლეულის გადამმუშავებელ საკუთარ წარმოებასაც. საქართველოს სახალხო მეურნეობაზე მომავალ ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება **ექვსჯერ მეტი,** ვიდრე გასულ ხუთ წელში და **ზრდის ეს ტემპი ორნახევარჯერ მეტი იქნება საბჭოთა კავშირის საერთოდ აღებულ სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპზე.** ეს იმას მოწმობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით უზრუნველყოფილია საქართველოს ეკონომიური აღორძინება, რომ ჩვენი ქვეყანა დადგა სამეურნეო ძლიერების შექმნის საიმედო საფუძველზე.

ამიერ - კავკასიის ფედერაციის წინაშე ეხლა ისმება საკითხი როგორც საქართველოს, ისე ფედერაციის სხვა რესპუბლიკების სამეურნეო განვითარებისთვის მეტი ყურადღების მიქცევის შესახებ, ფედერაციის სათანადო სამეურნეო და საგეგმო ორგანოების სისტემის იმგვარად შესაცვლელათ, რომ დაჩქარებულ იქნას ნაციონალურ რესპუბლიკების სოციალისტურ მეურნეობის ზრდა, მიღწეულ იქნეს ცალკე რესპუბლიკათა სამეურნეო და კულტურული განვითარების რაც შეიძლება მეტი სწრაფი ტემპი.

„ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის უდიდესი ამოცანები — ნათქვამია ს. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტის რეზოლიუციაში — პირველ რიგში აყენებენ ფედერაციის სამეურნეო მნიშვნელობას, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ განვითარების ინტერესთა მთლიანობას, იმ რესპუბლიკების, რომელნიც წარმოადგენენ მთლიან სამეურნეო და პოლიტიკურ ერთეულს, და ამის მიხედვით მოითხოვენ ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ყველა სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის ძირითად გარდაქმნას". ამ პირობებში ყველაზე დიდი ამოცანა ისმება ცალკე რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციების და განსაკუთრებით ამიერ - კავკასიის სამხარეო პარტიული ხელმძღვანელობის წინაშე. სწორედ ამიტომ აღნიშნავს ხაზგასმით საკავშირო კომპარტიის ცეკა, რომ საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ ნაციონალურ კომპარტიების და ადგილობრივ ორგანიზაციების მიმართ და ამ ხელმძღვანელობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ფედერალიზმის პრინციპების გადატანა პარტიულ ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში, მან უნდა უზრუნველყოს ნაციონალურ რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივის და ფართო თვითმოქმედების გაშლა.

საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ დასახულ მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებისათვის აუცილებელია, რომ სამხარეო პარტხელმძღვანელობამ უზრუნველჰყოს თვითკრიტიკის ფართო გაშლა, სოციალისტური მშენებლობის ახალი კადრების მომზადება და სათანადო პირობების შექმნა, რათა მიღწეულ იქნეს ამიერ - კავკასიის მუშათა კლასის, მოჯამაგირეების და ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტიური დახმარება ამ უდიდეს ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად და ნამდვილი ხელმძღვანელობის დასამყარებლად ამიერ - კავკასიის სამხარეო პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრივ ცალკე რესპუბლიკებში წარმოებულ სოციალისტურ აღმშენებლობაზე.

საბჭოთა ხაზით უკვე მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელნიც წარმოადგენენ საკავშირო კომპარტიის ცეკას დირექტივის პრაქტიკული განხორციელების პირველ ნაბიჯებს. ეს ღონისძიებანი აძლიერებენ ამიერ-კავკასიის სხვადასხვა სამეურნეო ორგანოებს ახალი მუშაკებით, აჩქარებენ ამიერ - კავკასიის მიწათმოქმედების კომისარიატის შექმნას და სხვ. მაგრამ საჭიროა შემდგომი ნაბიჯი საკავშირო კომპარტიის დირექტივების სხვა მუხლების შესასრულებლათაც, სახელდობრ: „ამიერ-კავკასიის დამგეგმავი ორგანოების სისტემის იმგვარი რეორგანიზაცია, რომ სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებს ჰგეგმავდეს ამიერ - კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისია და სათანადოთ შეიცვალოს ამიერ - კავკასიის სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს როლი".

ამიერ - კავკასიის ფედერაციის და კერძოთ საბჭოთა საქართველოს ყველა მტრები, ქვეყნის გარეშე, ახმაურდებიან საკავშირო კომპარტიის ცეკას ამ დადგენილების გამო; ისინი შეეცდებიან გამოიყენონ საკუთარი კონტრ - რევოლიუციონური მიზნებისთვის ამიერ - კავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და სამეურნეო განმტკიცების დირექტივა; ისინი როგორც შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც გაავრცელებენ ათასგვარ ჭორებს. მაგრამ ქართული კონტრ-რევოლიუციის ყოველგვარი ცდა, მიმართული მშრომელ მასებისთვის თვალის ახვევისაკენ, ძველებურად სასტიკი მარცხით დამთავრდება. პოლიტიკურად განადგურებულ, იდეურად გაკოტრებულ და მორალურად გახრწნილ მენშევიზმის თუ „ნაციონალ - დემოკრატიზმის" ნამტვრევების ეს ცდა დაიმსხვრევა საქართველოს კომპარტიის ისეთსავე ერთსულოვან და მძლავრ წინააღმდეგობაზე, როგორსაც მრავალჯერ ჰქონია ადგილი წარსულში.

საქართველოს კომპარტია იყო და მომავალშიაც იქნება ამიერ - კავკასიის ფედერაციის აქტიური მშენებელი, ამიერ - კავკასიის ერთა პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურული დაკავშირების მოწინავე მებრძოლი. „ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში,—განაცხადა საქ. კომპარტიის მე-6 ყრილობაზე ამხ. კახიანმა, — რომ განვამტკიცოთ ამიერ - კავკასიის ფედერაცია როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად და კულტურულად, გავაკეთოთ ყოველივე, რაც შეგვიძლია და რაც ჩვენზეა დამოკიდებული, იმისათვის, რომ ჩვენ ვიყოთ ამიერ - კავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში".

ნანკინის ახალი ოინები

29 ნოემბერს ჩვენ გადმოგვცეს 14 ნოემბრით დათარიღებული ნანკინის ნოტა. ეს ნოტა, როგორც უკვე ვიცოდით ჩინეთისა და გერმანიის გაზეთებისა და იმ სააგენტოების ცნობებით, რომლებმაც ამ ნოტის შინაარსი რამდენიმე დღით ადრე დაბეჭდეს, ვიდრე მას ჩვენ მივიღებდით, შემდეგ წინადადებებს შეიცავს: 1. შეიქმნას პარიტეტული კომისია უცხოელის თავმჯდომარეობით. 2. საზღვრებიდან ჯარები უკან დაწეულ იქნენ 30 ინგლისური მილის მანძილზე. 3. ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი გადასაწყვეტად გადაეცეს რომელსამე მესამე, პირუთვნელ მხარეს.

ჩვენ არ ვაპირებთ ნანკინის წინადადებათა გარჩევას და მათი პროვოკაციული, მუხანათური შინაარსის გამოაშკარავებას ჩინელი ხალხის ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით. ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცით, თუ რას წარმოადგენს ნანკინი, რა მიზნებს ისახავს თავის შინაურ და საგარეო პოლიტიკაში და ვისი კარნახით მუშაობს იგი. ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით ვაშუქებდით აგრეთვე ნანკინის მიერ აღებულ თვალსაზრისს კონფლიქტის დაწყებიდანვე; ეს თვალსაზრისი გამომდინარეობს მასზე დაკისრებული დავალებიდან: ჩააბას საბჭოთა კავშირი სამხედრო გართულებაში და მოამზადოს ნიადაგი მანჯურიის საქმეში საერთაშორისო ჩარევისათვის.

ნანკინის ვრცელ ნოტას ჩვენ იმავე დღეს უპასუხეთ მოკლედ და მკაფიოდ; აღვნიშნეთ, რომ ნოტაში მოქცეული წინადადებანი უსარგებლოა, პროვოკაციული და უსაგნო, და ვაუწყეთ ნანკინს, რომელსაც ისე უჭირავს თავი, თითქოს არაფერი იცოდეს, რომ მუკდენი უკვე თანახმაა მიიღოს ჩვენი წინასწარი პირობები, რომლებიც შესაძლებლობას ჰქმნიან უშუალო მოლაპარაკებისათვის.

მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ნოტა, რომელიც დათარიღებულია 14 ნოემბრით და რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება მანჯურიაში შექმნილ ფაქტიურ მდგომარეობას და მანჯურიის მმართველი მუკდენის ჯგუფის გადაწყვეტილებას, თითქოს შეცდომით და გაუგებრობით ჩაებარებინოთ ჩვენთვის ორი კვირის დაგვიანებით და რომ იგი, ამგვარად, გამოხატავს მანჯურიის გუშინდელსა და არა დღევანდელ სულისკვეთებას.

ჩვენ არავითარი ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ გერმანიის მთავრობამ სწორედ ნანკინის თხოვნით შეაჩერა ეს ნოტა გუშინდლამდე და ნანკინის თხოვნითვე გადმოგვცა ეს ნოტა 29 ნოემბერს, ე. ი. მას შემდეგ, რაც ჩვენ მივიღეთ მუკდენის ოფიციალური განცხადება.

საკმარისია დავაკვირდეთ იმ თავისებურ ფუსფუსს, რომელიც ისევ დაიწყო დასავლეთ ევროპაშიაც და ამერიკაშიაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ირგვლივ, რომ სავსებით გარკვეული პასუხი მივიღოთ იმ კითხვებზე, რომლებიც იბადება ნანკინის ნოტასთან დაკავშირებით. ჰენდერსონის იმ სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა თემთა პალატაში 27 ნოემბერს, სჩანს, რომ ამ უკანასკნელ დროს ინგლისსა და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სწარმოებდა მოლაპარაკება სახელმწიფოთა საერთო გამოსვლის შესახებ მანჯურიის საკითხის გამო. ჰენდერსონმა გულახდილად აღიარა, რომ ინგლისი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ყოველ საერთაშორისო გამოსვლაში, რომელიც კი ამ საკითხის ირგვლივ მოხდება. მოლაპარაკება სწარმოებდა არა მარტო ინგლისსა და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამისათვის საკმარისია დავაკვირდეთ ამ გაავთრებულ ანტისაბჭოთა კამპანიას, რომელსაც ამ უკანასკნელ დღეებში აწარმოებს საფრანგეთის და გერმანიის პრესა, და მოთხოვნილებას ერთა ლიგის იმპოტენტური აპარატის ან კელოგის პაქტზე ხელისმომწერ სახელმწიფოთა ჩარევის შესახებ. მაგრამ ეს მოლაპარაკება მაინც ვერ ვითარდებოდა და ვერ ვითარდება საკმაო სისწრაფითა და წარმატებით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა სახელმწიფოები როდი იჩენენ ჰენდერსონისებურ მზადყოფნას—მონაწილეობა მიიღონ ყოველ გამოსვლაში და კიდევ უფრო ნაკლებად იზიარებენ სოციალ-ფაშისტური „ფორვერტს"-ის მოწოდებას საერთაშორისო ჩარევის შესახებ მანჯურიის საქმეებში.

ნანკინის ნოტა, როგორც სჩანს, სათადარიგოთ მზადდებოდა და ოფიციალურად უნდა გამოჩენილიყო მაშინ, როდესაც მშვიდობიანობაზე „მზრუნველთა" უმრავლესობაში შეიქმნებოდა ის რწმენა, რომ შესაძლებელია ყოყმანში მყოფი სახელმწიფოების ჩათრევა საერთო გამოსვლაში.

მუკდენის წინადადებამ უშუალო მოლაპარაკების დაწყების შესახებ ჩვენი წინასწარი პირობების მიღების საფუძველზე სრული არევ-დარევა შეიტანა ნანკინის და მისი ბატონების გეგმებში.

იმ მოთხოვნის წამოყენება, რომ კონფლიქტი მოსაგვარებლად გადაეცეს მესამე მხარეს, მას შემდეგ, რაც არა ერთხელ დამტკიცდა საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარეობა და იმის შესაძლებლობა, რომ კონფლიქტი მოგვარებულ იქნას უშუალო მოლაპარაკებით იმათთან, ვისმა მოქმედებამაც უშუალოდ გამოიწვია კონფლიქტი და მისი შედეგები,—ეს მეტად უმადური და უიმედო ამოცანაა.

მაგრამ ნანკინს მაინც არ სურს და არ შეუძლია ხელი აიღოს თავის პროვოკაციულ მანევრებზე. ამას ვერ ურიგდებიან ნანკინის ზურგს უკან მდგომი ჩვენი სხვა შეურიგებელი მტრებიც. ისინი იძულებულნი არიან კბილთა ღრჭენით აღიარონ უდიდესი წარმატება საბჭოთა მშვიდობიანი პოლიტიკისა, რომელმაც მსოფლიოს უჩვენა საუცხოვო ნიმუში თავდაჭერილობისა და სიმტკიცისა, რაც შეერთებულია მტკიცე გადაწყვეტილებასთან—დაცულ იქნას საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების ინტერესები და დაშვებულ არ იქნას როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ჩინეთის ხალხის მიმართ მტრულად განწყობილი მესამე ძალის ჩარევა.

ამისათვის მიმართავენ თავზე ხელაღებულ ცდას—ჩაშალონ მუკდენის ახალი წინადადება (თუ ამ წინადადებას გულწრფელად ჩავთვლით).

ნანკინი გვაბარებს თავის ნოტას, მიუხედავად იმისა, რომ მუკდენის მომართვის შემდეგ ეს წინადადება სრულიად უაზრო გახდა და რომ მან ერთხელ კიდევ ცხადჰყო ავანტიურების და პროვოკაციების იმ პოლიტიკის გაკოტრება, რომელსაც ნანკინი აწარმოებდა მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც კონფლიქტი წამოიჭრა, და რომელსაც ახლა ისინიც კი გაურბიან, ვინც ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის უშუალო შემსრულებელი იყო.

ამავე დროს „ტან"-ები, „ფორვერტს"-ები და სხვა იმპერიალისტური ბეჭდვითი ორგანოები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ყველაზე შეურიგებელი მტრების აზრებს გამოხატავენ, სცდილობენ ახალი ენერგიით დაიცვან ის კამპანია ერთა ლიგის ჩარევის (ან „ყოველი სხვა საერთაშორისო აქციის") სასარგებლოდ, რომელსაც ისინი გააფთრებით აწარმოებდნენ უკანასკნელ დღეებში, მაგრამ დაიბნენ და იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ პირველსავე დღეს, როგორც კი მიღებულ იქნა ცნობები მუკდენის წინადადების შესახებ.

მოულოდნელი ზარისაგან გამოფხიზლების შემდეგ მათ გონება მოიკრიბეს და ხელახლა ყვირილი მორთეს; ისინი მოითხოვენ ნანკინისათვის მხარის დაჭერას და ცდილობენ რითიმე მაინც დაეხმარონ ნანკინის მთავრობას მის მორიგ ცდაში—უშუალო მოლაპარაკების ჩაშლაში.

დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმების გზით კონფლიქტის მოსალოდნელმა მოწესრიგებამ, ყოველგვარი მაკლერებისა და შუამავლების ჩაურევლად, აიძულა ჩვენი მტრები, მოეხდინათ მთელი თავიანთი ძალების მობილიზაცია კონფლიქტის შემდგომი გამწვავებისა და გართულებისათვის. ამ ამოცანის განხორციელებაში შემსრულებლის როლი წინანდებურად ისევ ნანკინს აქვს დაკისრებული.

კარგად ვერ ყოფილა ნანკინელი ავანტიურისტების საქმე, თუ ისინი იძულებული არიან ისეთი სასაცილო, უბადრუკი ნაბიჯი გადასდგან, როგორიცაა ჩაბარება დაგვიანებული ნოტებისა, რომლებსაც მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ ერთხელ კიდევ გამოააშკარაონ მათი პროვოკაციული, მუხანათური როლი მთელი ჩინელი ხალხის მიმართ.

მაგრამ არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ანტისაბჭოთა ძალების ახლანდელი თავგამოდებული მეცადინეობა ახალ გართულებას არ შეგვიქმნის და ახალი დაბრკოლებანი არ გადაგვეღობება კონფლიქტის მოწესრიგების იმ უმოკლეს, ადვილად მისაღწევ გზაზე, რომელიც უკანასკნელ დღეებში აღინიშნა.

ამიტომ ფხიზლად თვალყური უნდა ვადევნოთ ჩვენი მტრების მანევრებს და მზად ვიყოთ, რომ გავაქარწყლოთ იმპერიალიზმისა და მისი ნანკინელი დამქაშების ახალი პროვოკაციული ოინები ისევე წარმატებითა და მტრის სრული დამარცხებით, როგორც შორეულ-აღმოსავლეთის არმიამ უკუაქცია და კვლავაც უკუაქცევს თეთრჩინელთა ბანდების თავდასხმასა და დაცემას.

„პრავდა".

30 ნოემბერი.

მსოფლიო პრესა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ

იაპონიის და საფრანგეთის პრესას შეუძლებლად მიაჩნია სახელმწიფოების ჩარევა კონფლიქტში

ჩინეთის გაზეთები მოითხოვენ ნანკინის დიპლომატების მიცემას პასუხისგებაში

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 30 ნოემბერი. **„29 ნოემბერს გერმანიის ელჩმა მოსკოვში ფონ დირქსენმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელს ამხ. ლიტვინოვს გადასცა ნანკინის მთავრობის ნოტა 14 ნოემბრის თარიღით, რომლის შინაარსი უკვე მოხსენებული იყო საბჭოთა პრესის მიერ უცხოეთის წყაროების მიხედვით დაბეჭდილ დეპეშებში (ნოტა წინადადებას იძლევა, რომ ორივე მხარემ თავისი ჯარი 30 მილით დასწიოს საზღვრებიდან, ხოლო კონფლიქტის მოგვარების საქმე გადასცეს მესამე მიუდგომელ მხარეს).**

იმავე დღეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გადასცა გერმანიის ელჩს პასუხი, რომელშიაც დადასტურებულია, რომ 29 ნოემბერს მიღებულ იქნა ნანკინის მთავრობის 14 ნოემბრის ნოტა, და აღნიშნულია, რომ საკავშირო მთავრობამ უკვე მიიღო ჩან-სუე-ლიანის ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ იგი დასთანხმდა იმ წინასწარ პირობებზე, რაც საჭიროა კონფლიქტის დაჩქარებით მოგვარებისათვის, ურთიერთთან მოლაპარაკების საშუალებით. ამრიგად, ნანკინის მთავრობის წინადადება, რომელიც მოხსენიებულია ზემოთ აღნიშნულ ნოტაში და რომელსაც შეუძლია მხოლოდ გააჭიანუროს კონფლიქტი, უმიზნოა. (ადს).

ცაი მუკდენში გაემგზავრა

ტოკიო, 29 ნოემბერი. როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო ხარბინიდან იუწყება, მუკდენის საგარეო საქმეთა კომისარი ცაი 26 ნოემბერს მუკდენში გაემგზავრა (ადს).

ღამ-ღამობით მატარებლები არ დადიან

ტოკიო, 29 ნოემბერი. როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო ხარბინიდან იუწყება, ქალაქი მანჯურია დაუზიანებლად გადარჩა, ვინაიდან საბჭოთა ჯარმა ქალაქში შესვლისთანავე იარაღი აჰყარა ჩინელთა ნაწილებს. **საომარი მდგომარეობის გამო, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზის აღმოსავლეთ შტოზე სამგზავრო მიმოსვლა ღამ-ღამობით შეწყვეტილია (ადს).**

თათბირი მანჯურიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, იაპონიის ელჩმა დებუციმ გამართა თათბირი სახელმწიფო მდივან **სტიმსონთან** და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ამ ცოტა ხნის წინად ჩინეთში დანიშნულ ელჩ **ჯონსონთან** მანჯურიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. შემდეგ გაიმართა თათბირი **სტიმსონსა, კოტონსა** (სახელმწიფო მდივნის მოადგილე) და პრეზიდენტ ჰუვერს შორის. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელნი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **ჩინური წყაროებიდან მიღებული ცნობები აზვიადებენ ფაქტებს საბჭოთა ჯარის თავდასხმის შესახებ** იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას ჩინეთის გაერთიანება და სამოქალაქო ომის შეწყვეტა (ადს).

ჩინეთის პრესა მოითხოვს ნანკინის დიპლომატების დასჯას

შანხაი, 29 ნოემბერი. როგორც ჩინეთის პრესა იუწყება, **გომინდანის შანხაის ორგანიზაცია მოითხოვს საგარეო საქმეთა მინისტრის ვან ჯან-ტინის და საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსული დეპარტამენტის უფროსის ჯოუ ლუნ-ხუანის დაუყოვნებლივ გადაყენებას იმისათვის, რომ მათ ვერ შესძლეს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გადაჭრა, რის გამოც მანჯურიას დიდი ზარალი მიადგა. გომინდანის შანხაის ორგანიზაციის მსგავსად, პეკინის, ტიანძინის და მანჯურიის ორგანიზაციებიც ფიქრობენ მიმართონ გომინდანის ც. კ.-ს და მოითხოვონ ენერგიული დისციპლინარული ღონისძიებანი ვან ჯენ-ტინისა და ნანკინის მთავრობის სხვა დიპლომატიური მუშაკების წინააღმდეგ.** (ადს).

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 29 ნოემბერი. ოფიციალურ პრესის აზრით, ის გარემოება, რომ მუკდენის მთავრობა თანახმაა აწარმოოს მოსკოვთან მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ პირობებზე, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ნანკინის მთავრობა არ მიმართავს კელოგის პაქტის მონაწილეებს, ნანკინის მთავრობა ეცდება დაამტკიცოს, რომ საბჭოთა მთავრობამ დაარღვია კელოგის პაქტი. საფრანგეთის გაზეთების აზრით, **შეუძლებელია ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში სახელმწიფოების რაიმე საქმიანი ჩარევა,** მაგრამ ამასთან აგრძნობინებენ მკითხველთ, რომ ისინი თანაუგრძნობენ ნანკინის მთავრობის სურვილს—ოფიციალურად დააყენოს სახელმწიფოების წინაშე საკითხი საბჭოთა მთავრობის მიერ კელოგის პაქტის დარღვევის შესახებ.

„ტან"-ი ადასტურებს, რომ ნანკინის მთავრობა ოფიციალურ განცხადებას ამზადებს ერთა ლიგაში. როგორც ფრანგული გაზეთების ცნობებიდან სჩანს, მათ იმის იმედი აქვთ, რომ ამ საკითხის გამო სახელმწიფოების გამოსვლა გავლენას მოახდენს საბჭოთა მთავრობასა და მუკდენს შორის მოლაპარაკებაზე და გააძლიერებს ჩინეთის პოზიციას ამ მოლაპარაკებაში.

გაზეთების სიტყვებიდან ისიც აშკარაა, რომ სახელმწიფოების გამოსვლას შეიძლება მოჰყვეს დასმა საკითხისა იმის შესახებ, თუ რამდენად კანონშეწონილია სამხედრო აგრესიითა და კელოგის პაქტის დარღვევით მიღწეული ესა თუ ის შეთანხმება.

სოციალისტური სამშობლოს დასაცავად

ბერლინი, 29 ნოემბერი. „როტე ფანე" სწერს: „შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის გამარჯვება **ნიშნავს მსოფლიო იმპერიალიზმის, ჩინეთის კონტრ-რევოლიუციისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის სამარცხვინოდ დამარცხებას.** ეს გამარჯვება მოასწავებს რევოლიუციონური ტალღის ახალ აზვირთებას ჩინეთში. მაგრამ უახლოეს მომავალში უნდა მოველოდეთ ახალ პროვოკაციულ ნაბიჯებს, ახალ, უფრო თავხედ თავდასხმებს და უფრო ძლიერ შეტევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ვიბრძოლოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად". (ადს.

ჩინეთის ელჩი ჰენდერსონთან

ლონდონი, 29 ნოემბერი. ჩინეთის ლონდონელმა ელჩმა ალფრედ შიმ მანჯურიის ამბებთან დაკავშირებით ინახულა ჰენდერსონი (ადს).

ვინ აწარმოებს მოლაპარაკებას?

ტოკიო, 30 ნოემბერი. სიმბუნ-რენგო მუკდენიდან იუწყება: ჩინეთ-საბჭოთა მომავალ მოლაპარაკებაში მუკდენის მხრით მონაწილეობას მიიღებს მუკდენის მთავრობა, მაგრამ ნანკინის მთავრობის სახელით.

ჰფიქრობენ, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე ლიუ იუნ-გუანი, აგრეთვე აღმოსავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებული რაიონის უფროსი ჯან ძინ-გუი გადადგებიან. უფრო მოსალოდნელ მოადგილეებად ასახელებენ მო დეგუის, აგრეთვე ხარბინის საგარეო საქმეთა კომისარს ცაის. (ადს).

ხაილარი და ჩალაინორი დასწვა მუკდენის ჯარმა

ვაშინგტონი, 30 ნოემბერი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით ირკვევა, რომ ხაილარი და ჩალაინორი მუკდენის ჯარმა დასწვა და რომ საბჭოთა ჯარს ამ ქალაქებისათვის ყუმბარები არ დაუშენია. (ადს).

ამერიკის შეერთ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი გამოტყდა

ვაშინგტონი, 30 ნოემბერი. ჩრდილოეთ-ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი გამოტყდა, რომ მან წინადადება მისცა თავის წარმომადგენლებს ლონდონში, ტოკიოში, პარიზში, რომში და ბერლინში—დაეწყოთ მოლაპარაკება ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში ჩარევის შესაძლებლობის ირგვლივ. (ადს).

ჰენდერსონის თათბირი დაუესთან

ლონდონი, 29 ნოემბერი. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობის გამო, საგარეო საქმეთა სამინისტროში ჰენდერსონს თათბირი ჰქონდა ამერიკის ლონდონელ ელჩთან დაუესთან. (ადს).

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 29 ნოემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრს ლიბერალებმა და ჩემბერლენმა მისცეს სხვადასხვა შეკითხვა ინგლისის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხისადმი, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მიმართ კელოგის პაქტის გამოყენების და ამ საკითხზე ინგლისის მიერ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაჭერილი ურთიერთობის შესახებ.

ჰენდერსონმა სასურველად სცნო მოვლენათა განვითარებისათვის დაცდა და აღნიშნა, რომ ამ საკითხში საჭიროა ინგლისისა და შეერთებულ შტატების საერთო მოქმედება. (ადს).

ჰენდერსონის განცხადება

ლონდონი, 29 ნოემბერი. როგორც იუწყებიან, დაუესი შეეკითხა ჰენდერსონს: „თანახმაა თუ არა ინგლისის მთავრობა, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს და სხვა სახელმწიფოებს, რომლებმაც კელოგის პაქტს ხელი მოაწერეს, მხარი დაუჭიროს შეერთებული მეგობრული შუამავლობის გასაწევად" ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში. ჰენდერსონმა დადებითი პასუხი გასცა და ფრთხილად შენიშნა: ინგლისი თანახმა იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხმობას განაცხადებენ ყველა ის სახელმწიფოები, რომლებმაც ამგვარი შეკითხვა მიიღეს და თუ იმ დროისათვის კიდევ საჭირო იქნება სახელმწიფოების ჩარევა. (ადს).

გერმანიის კომპარტიის მისალმება

ბერლინი, 29 ნოემბერი. ცნობა იმის შესახებ, რომ მუკდენმა საბჭოთა პირობება მიიღო მაშინ მოვიდა, როცა გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ის პლენუმის სხდომა იყო. ამ ამბავმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია პლენუმის მონაწილეთა შორის.

პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის და სტალინს.

წითელი ფრონტელების აკრძალული კავშირის ხელმძღვანელობამ და წითელი ფრონტელების ახალგაზრდათა ორგანიზაციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ს და შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიას. (ადს).

„დეილი ჰერალდი"-ს აზრი

ლონდონი, 29 ნოემბერი. მთავრობის ორგანო „დეილი ჰერალდ"-ი სწერს:

„იმედი იმისა, რომ ჩინეთი საბჭოთა მოთხოვნებს მიიღებს, ადასტურებს, რომ მანჯურიაში შექმნილ სახიფათო მდგომარეობას ბოლო მოეღება. სიმართლე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მთავრობამ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა, მიუხედავად უაღრესად სერიოზული პროვოკაციისა. თუ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის უშუალო მოლაპარაკება მაინც ჩაიშლება, დარჩება კიდევ სახელმწიფოების წინადადება შუამავლობის გაწევის შესახებ. (ადს).

მიტინგი ბერლინში

ბერლინი, 29 ნოემბერი. ჩინელი იმპერიალისტების, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ძალმომრეობით ხელში ჩამგდებთა დამარცხებასთან დაკავშირებით. აქ გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგზე გამოვიდნენ გერმანიის კომპარტიის წარმომადგენლები და ჩინელი კომუნისტები (ადს).

ჩინეთი არ არის სტატუსქვოს აღდგენის წინააღმდეგი

ტოკიო, 29 ნოემბერი. იაპონიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ იაპონიის მთავრობა მომავალშიაც არ შესცვლის თავის წინანდელ პოზიციას და წინააღმდეგი იქნება ყოველგვარი **საერთო გამოსვლისა, რომელსაც მიზნად ექნება ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში ჩარევა.**

პრესა, ეხება რა ჩინეთის ელჩის მიერ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის სიდეხარას ნახვას, იუწყება: ელჩმა განაცხადა, რომ ჩინეთი არ არის აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზაზე სტატუს-ქვოს აღდგენის წინააღმდეგი, მაგრამ მას სურს გადასინჯულ იქნას დებულება აღმოსავლეთ რკინის გზის მმართველის შესახებ. (ადს)

განაახლეს საბჭოთა მოქალაქეებისათვის დახმარების მიცემა

ტოკიო, 29 ნოემბერი. ხარბინიდან გადმოცემული ცნობით, გერმანიის საკონსულომ განაახლა საბჭოთა მოქალაქეებისათვის იმ დახმარების მიცემა, რომელიც, ზოგიერთი მიზეზების გამო, შესწყდა რამდენიმე კვირით. დახმარების გაცემა სწარმოებს პოლიციის სამი წარმომადგენლის თანადასწრებით. (ადს)

ჩინეთის ელჩი სიდეხარასთან

ტოკიო, 29 ნოემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება:

„ჩინეთის ელჩმა იაპონიაში ინახულა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი სიდეხარა. სიდეხარას ნახვის შემდეგ ჩინეთის ელჩმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მას უნდოდა მიეღწია იაპონიის დახმარებისათვის, რათა ერთა ლიგის წინაშე დასმულიყო საკითხი ჩინეთის შესახებ, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტთან დაკავშირებით.

ელჩი შეეხო ცნობას იმის შესახებ, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა ფიქრობს გამოვიდეს შუამავლად. ამის გამო მან განაცხადა, რომ იმ პოზიციასთან დაკავშირებით, რომელსაც საბჭოთა კავშირი დაადგა, მისი აზრით, ამჟამად შუამავლობა შეუძლებელია.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ ჩინეთი მზად არის მიიღოს ყოველგვარი წინადადება შუამდგომლობის შესახებ. ელჩმა დაუმატა, რომ მას ჯერ კიდევ არ მიუღია ოფიციალური ცნობა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ, თუმცა ასეთი მოლაპარაკება უკვე დაიწყო.

როგორც იუწყებიან, სიდეხარამ ურჩია ელჩს— არ მიმართოს ერთა ლიგას, რადგან საბჭოთა კავშირი არ არის ერთა ლიგის წევრი. (ადს)

ჩინეთის პრესის გამოძახილი

პეკინი, 29 ნოემბერი. პეკინისა და ტიანძინის მთელი პრესა გაცხოველებით მსჯელობს ჩინეთ-საბჭოთა ახლანდელი ურთიერთობის შესახებ.

„ტიანძინ ტაკუნ-ბაო" მოითხოვს, რომ **კონფლიქტი მოგვარებული იქნეს ჩინეთ-საბჭოთა უშუალო მოლაპარაკებით, მესამე მხარეს ჩაურევლად (ადს).**

„მუკდენი გამოიყენა ნანკინმა"

ტოკიო, 29 ნოემბერი. „ძი-ძი" სწერს: „გაუგებარია, თუ რატომ არ მიიღო მუკდენმა საბჭოთა კავშირის კომპრომისული წინადადება მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მან მიეცა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის უგნურათ ძალით ხელში ჩაგდებისთანავე. ეს აიხსნება იმით, რომ მუკდენი გამოიყენა ნანკინის მთავრობამ, რომელიც ფიქრობდა, თითქო ის გააერთიანებს ჩინეთს და დაუბრუნებს მას უცხოეთის ყველა კონცესიებს. ახლა, როგორც სჩანს, **მუკდენმა** შეიგნო, რომ მთლიანობა, რომელსაც ნანკინი ქადაგობს, პრაქტიკულად უნიადაგოა და თანდათანობით ითვისებს **საბჭოთა კავშირთან უშუალო მოლაპარაკების საჭიროებას".**

დასასრულ გაზეთი საჭიროდ სთვლის კონფლიქტი სახელმწიფოთა ჩაურევლად მოგვარდეს და ურჩევს იაპონიას არავითარი ნაბიჯი არ გადადგას მანჯურიაში, გარდა თავის ქვეშევრდომთა დაცვისა (ადს).

შეერთებული შტატები და ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი

ვაშინგტონი, 29 ნოემბერი. შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეები არავითარ გაკვირვებას არ გამოსთქვამენ ჰენდერსონის მიერ იმის გამოაშკარავებასთან დაკავშირებით, რომ ნოემბრის პირველ რიცხვებში შეერთ. შტატების მთავრობამ ინგლისს გადასცა ნოტა შეთანხმებული მიმართვის შესახებ საბჭოთა კავშირისათვის, მანჯურიაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ამით სამინისტროს მოხელეები ადასტურებენ, რომ ამგვარი ნოტა თავის დროზე გაგზავნილ იქნა. აღნიშნავენ, რომ უახლოეს ორ სამ დღეში საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოაქვეყნებს განცხადებას (ადს).

პანიკა ხაილარში

შანხაი, 29 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, საბჭოთა აეროპლანების გამოჩენამ ხაილარზე პანიკა გამოიწვია ჩინელთა გარნიზონში. **ჯარისკაცები ქალაქში გაიფანტნენ და სძარცვავდნენ ჩინელთა და უცხოელთა ქონებას.**

რეიტერი იუწყება, რომ **ჩინეთის ჯარმა ცეცხლი წაუკიდა ქალაქს,** რომელიც ეხლაც იწვის, და **ააფეთქა რკინის გზის ხიდი.** ამასთან დაკავშირებით ხარბინში დიდი შიშიანობაა. (ადს).

რეპრესიები შესწყდა

ტოკიო, 29 ნოემბერი. **ამ უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში მუკდენის ხელისუფლებას აღარ მიუღია ახალი რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ (ადს).**

მოითხოვენ დიდი სახელმწიფოების ინტერვენციას

ვენა, 29 ნოემბერი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით უნგრეთის მთავრობის და სოციალ-დემოკრატიული პრესა, უკეთებს რა კომენტარიებს ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე მომხდარ ამბებს, გააფთრებულ, ცილისწამებით აღსავსე კამპანიას აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოითხოვს დიდი სახელმწიფოების ინტერვენციას.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ ცნობებს ჩინეთის მიმართვის შესახებ ერთა ლიგისადმი და ჰკიცხავენ ამ უკანასკნელის სიმხდალეს. **გაზეთები აცხადებენ, რომ საჭიროა ერთა ლიგა ჩაერიოს კონფლიქტში და მით უმეტეს მიიღოს რაიმე სანქციები (ადს).**

პანიკა ხარბინში

ხაბაროვსკი, 30 ნოემბერი. **ცნობამ ჩინეთის ჯარებისა და რუს თეთრგვარდიელთა ბანდების სასტიკი დამარცხების შესახებ ხარბინში პანიკა გამოიწვია. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გამგეობაში სრული დაბნეულობაა. სამი დღეა ხარბინიდან სამგზავრო მატარებლები არ გასულა.** გზის ადმინისტრაციას ჯარის ევაკუაციის საკითხიც კი ვერ მოუგვარებია. **გზის საწყობები გაძარცვეს ჯარისკაცებმა.** სარდლობა ვერავითარ ზომებს ვერ იღებს წესრიგის დასამყარებლად.

მუკდენის სავაჭრო წრეებში სრული არევ-დარევაა. **სათბობი მასალის კრიზისმა რკინისგზაზე, გამოწვეულმა მუშების გაქცევით ქვანახშირის მაღაროებიდან, კატასტროფიული ხასიათი მიიღო.** სათბობი მასალის მარაგი მხოლოდ რამოდენიმე დღის განმავლობაში იკმარებს (ადს).

სრული არევ-დარევა

ხაბაროვსკი. 30 ნოემბერი. მდგომარეობა ხარბინში ძლიერ გართულებულია. **პანიკა ქალაქში გრძელდება. დისციპლინა ჯარებში გაქრა. საზღვარზე გაგზავნილ ახალ ნაწილებიდან დანიშნულების ადგილზე მხოლოდ ნაწილი აღწევს (ადს).**

ჩან-კაი-შის კამპანია ვან-ტინ-ვეის წინააღმდეგ

შანხაი, 30 ნოემბერი. როგორც იუწყებიან, ჩან-კაი-შიმ თავისი წარმომადგენლები გაგზავნა გონკონგში ვან-ტინ-ვეისთან მოსალაპარაკებლად, რომელიც **იმუქრება ახალი მთავრობის შექმნით კანტონში,** თუ ჩან-კაი-ში მის მოთხოვნებს არ მიიღებს.

რეიტერის ცნობით, ვან ტინ-ვეი მოითხოვს, რომ იგი დაინიშნოს მთავრობის მეთაურად სამოქალაქო მმართველობის საქმეებში, ხოლო ჩან-კაი-ში მხოლოდ მთავარსარდლად დარჩეს.

ჩან-კაი-ში გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებს ვან ტინ-ვეის და სხვა „მემარცხენეების" წინააღმდეგ, რომელთაგან დღეს ცხრა გარიცხეს გომინდანიდან. 2 დეკემბერს გომინდანის პლენუმი განიხილავს ვან ტინ-ვეის გამორიცხვის საკითხს.

ორივე მხარე გაცხოველებით ემზადება შეიარაღებული ბრძოლისათვის, რომელიც შეიძლება ძალიან მალე დაიწყოს. (ადს).

უმუშევრობის საშინელებანი შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. ცნობილმა ეკონომისტმა სტიუარტ ჩეზმა ლექციაში „უმუშევრობასთან საბრძოლველი ზომების შესახებ" გადაშალა საშინელი სურათი უმუშევართა ბრძოლისა ლუკმა პურისათვის. ჩეზმა მაგალითისათვის დაასახელა, რომ **შვინგსის ფაბრიკაში უკანასკნელ წელს 6.500 მუშიდან სამუშაო მიიღო მხოლოდ 250 მუშამ. შვიდმა ფაბრიკასთან მოიკლა თავი.**

ჩეზმა აღნიშნა უმუშევრობის ზრდა და მოითხოვა, რომ უმუშევართა სისტემატიური აღრიცხვა და უმუშევრობისაგან დაზღვევა, (რასაც ჯერ კიდევ ადგილი არა აქვს ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში) მოეწყოს სახელმწიფოებრივი მასშტაბით (ადს).

ფაშისტების თარეში

ვენა, 29 ნოემბერი. პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე სოციალ- დემოკრატებმა შეიტანეს შეკითხვა იმის შესახებ, **რომ ხდება ხეიმვერის თანდათან უფრო მჭიდროდ შეზრდა სახელმწიფო აპარატში,** განსაკუთრებით ტიროლში, სადაც ხეიმვერი შეიარაღებულია ჯარის მსგავსად და ხელისუფლება მას უკანონოდ იყენებს მილიციის სახით.

შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ თავდაცვის ორგანიზაციები ლეგალურია, ხოლო მათი გამოყენება მილიციის სახით პოლიტიკური მდგომარეობის განსაკუთრებულმა პირობებმა გამოიწვიეს. (ადს)

„საბჭოთა ქვეყანა"

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. „საბჭოთა ქვეყნის" ეკიპაჟი 28 ნოემბერს ნიუ-იორკიდან გავიდა გემ „მავრიტანია"-თი, რომელიც შერბურგს (საფრანგეთი) მიდის. (ადს).

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 29 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„კონსერვატორმა დეპუტატმა პიტერ მაკდონალდმა თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა — ექნებათ თუ არა ინგლისის საელჩოს წევრებს მოსკოვში, ისეთივე დიპლომატიური პრივილეგიები, როგორიც მიეცემა საბჭოთა საელჩოს წევრებს ინგლისში.

ჰენდერსონმა უპასუხა, რომ ინგლისის საელჩოს შტატი მოსკოვში ჩვეულებრივი დიპლომატიური პრივილეგიებით ისარგებლებს. (ადს).

რენეგატები დამარცხდნენ

პარიზი, 29 ნოემბერი. მუშურ-გლეხური ბანკის გამგეობამ გამოაქვეყნა ახალი დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერენ გამგეობის თავმჯდომარე და 12 წევრი (კომპარტიიდან გარიცხულ ოპორტუნისტებს ხელი არ მოუწერიათ) და რომლითაც გამგეობა „სოლიდარობას უცხადებს მუშათა ორგანიზაციებს „ლუმანიტე"-ს დაცვის საქმეში". (ადს).

„ლუმანიტე" სალამს უძღვნის დეკლარაციას და აცხადებს, რომ მთავრობისა და რენეგატების ის ცდები, რომლებთაც მათ ბანკის საშუალებით „ლუმანიტე"-ს აფეთქება სურდათ, მარცხით დამთავრდა.

„ლუმანიტე"-ს სასარგებლოდ ფულის შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს. შეგროვილმა თანხამ უკვე 1.055.000 ფრანკს მიაღწია.

რეაქციონური გაზეთები წინანდებურად მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას „ლუმანიტე"-ს წინააღმდეგ, თუ იგი თვის დამლევამდე არ გადაიხდის მთელ ვალს. (ადს).

ხელფასის შემცირება

ლონდონი, 29 ნოემბერი. ავსტრალიის მემაღაროეთა კავშირის პროფბიუროკრატებმა მიიღეს ნიუკესტლის მაღაროს მრეწველთა წინადადება მაღაროს მუშათა ხელფასის 6—12 პროცენტით შემცირების შესახებ.

ხელფასი შეუმცირდება 11.000 მუშას (ადს).

პროფინტერნი--გერმანიის რევოლ. პროფოპოზიციის კონგრესს

მოსკოვი, 30 ნოემბერი. პროფინტერნის აღმასრულებელმა მისალმებით მიმართა რევოლიუციონური პროფოპოზიციის სრ. გერმანიის კონგრესს.

„თქვენ შეიკრიბენით,—ნათქვამია მისალმებაში,—გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პერიოდში. თქვენ ვალდებულნი ხართ მაქსიმალური გამბედაობით სისწრაფით დასძლიოთ თქვენს საკუთარ რიგებში ოპორტუნისტული ტენდენციების ყველა ნაშთები და უფრო მჭიდროთ გააერთიანოთ თქვენი რევოლიუციონური ძალები და განავითაროთ უდიდესი ენერგია იმისათვის, რომ გაანთავისუფლოთ მასები სოციალ-ფაშისტების გავლენისაგან". (ადს).

საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ დელეგაციას აღფრთოვანებით ხვდებიან

ლონდონი, 29 ნოემბერი. **საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ინგლისის მუშათა დელეგაციის პატივსაცემად ლონდონის მუშებმა 28 ნოემბერს გამართეს მასიური დემონსტრაცია-მიტინგი. დელეგაციას აუწერელი აღფრთოვანებით შეხვდნენ. ვეებერთელა დარბაზი, სადაც მიტინგი მოხდა, სავსე იყო ხალხით. მიტინგის დაწყების წინ დამსწრენი მღეროდენ „ინტერნაციონალს", წით. არმ. მარშებს და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებს. მიტინგის მონაწილენი ალტაცებით ხვდებოდნენ განმაცვიფრებელ ცნობებს სოციალიზმის უდიდესი მიღწევების შესახებ საბჭოთა კავშირში. დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი პირდაპირ გაოცდნენ, როდესაც იხილეს საბჭოთა კავშირში უდიდესი წარმატებანი მანქანათმშენებლობის, ქვანახშირის მრეწველობის და საფეიქრო მრეწველობის განვითარებაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში. დელეგატებმა გამოსთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები გაიმარჯვებენ კულაკებზე და სხვა კაპიტალისტურ ელემენტებზე. დელეგატებმა ერთსულოვნად დაადასტურეს, რომ საბჭოთა მუშები ეკონომიურად და სოციალურად ბევრად უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ინგლისის მუშები.**

ორატორები, მათ შორის უპარტიოებიც, თავიანთ მოხსენებებს ამთავრებდნენ შეძახილით: **„გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს ინგლისელ და საბჭოთა მუშების სოლიდარობას, გაუმარჯოს კომინტერნს!"** (ადს).

მოსკოვი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ლენინი, როგორც ადამიანი

მოსკოვი, 30 ნოემბერი. „პრავდა"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია მარიამ ილიას ასულ ულიანოვას ვრცელი წერილი შემდეგი სათაურით — „ლენინის წერილები ნათესავებისადმი". მარიამ ულიანოვა სწერს:

მართალია ჩვენ გვაქვს ლენინის თხზულებათა სრული კრებული და მეტად მდიდარი ლიტერატურა ლენინიზმის შესახებ, მაგრამ ლენინი, როგორც ადამიანი, ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ დახასიათებული. ერთ-ერთი მთავარი წყარო ლენინის ამ მხრივ დახასიათებისათვის არის მისი მიმოწერა ნათესავებთან და ნაცნობ-მეგობრებთან. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ლენინის ასეთ წერილების დიდი რიცხვი დაკარგულია, ხშირი გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე, კონსპირაცია, დაპატიმრებანი, ფოსტის დაუდევრობა და სხვა შეუძლებელს ხდიან შევაგროვოთ რამდენადმე სრულად ლენინის, როგორც ადამიანის გამომხატველი დოკუმენტები.

ლენინის პირადი ცხოვრება იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული რევოლიუციონურ მოძრაობასთან, რომ მისი მიწერ - მოწერა პოლიციის მეტად დიდ ყურადღებას იპყრობდა. ეს შეეხება არა მარტო პირადათ ლენინის, არამედ მისი ოჯახის თვითეულ წევრის მიწერ - მოწერასაც.

ლენინის დედა, რომელიც დაიბადა 1335 წელს, უკვე მოხუცი ქალი, დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა თავის შვილების რევოლიუციონურ მოღვაწეობას. ლენინის წერილებში ნათესავებისადმი თითქმის არ არის მოხსენებული პიროვნებათა სახელი და გვარი, რომ ამით პოლიციისათვის რაიმე საბაბი არ მიეცა მას რეპრესიების მისაღებად და რევოლიუციონურ ორგანიზაციების კვალის აღმოსაჩენად. ლენინი ხშირად მიმართავდა თავის წერილებში გადაკრულ სიტყვებს და გამოთქმებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მთელ საშიან მიწერ - მოწერას ჩვენ ვაწარმოებდით კონსპირატიულად, ქიმიის დახმარებით წიგნებში და ჟურნალებში.

ლენინის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო მისი პუნქტუალობა და სასტიკი მომჭირნეობა, პირად ცხოვრებაში ის ამ მხრივაც მეტად წააგავდა დედას, რომელიც წარმოშობით გერმანელი იყო.

თავის წერილში, რომელიც გამოუგზავნა ლენინმა მშობლებს ყოფილ პეტერბურგიდან 1895 წლის 5 ოქტომბერს, ის სჩივის, რომ მეტად დიდი ხარჯები აქვს, თვეში 38 მანეთი ეხარჯება, თანვე დასძენს, რომ უთავბოლოდ ხარჯავდა ფულს, მარტო კონკაზე დამეხარჯა ერთი მანეთი და 36 კაპეიკი. ალბად შევეჩვევი პეტერბურგს და უფრო ნაკლებად დამეხარჯება ფული, სწერს ლენინი.

დიდი მომჭირნე იყო ლენინი განსაკუთრებით მაშინ, როცა მას არსებობის საკუთარი წყარო არ გააჩნდა. იმდენად ზოგავდა ფულს, რომ არ იწერდა იმ დროის მეტად გავრცელებულ გამოცემას „რუსკიე ვედომოსტი"-ს და დადიოდა საზოგადო სამკითხველოში, რათა აქ ესარგებლნა ჟურნალ - გაზეთებით.

მეტად უჭირდა ლენინს მომჭირნეობის გაწევა წიგნებზე, რომელნიც მას განსაკუთრებით უყვარდა, ამ მხრივაც ის დიდათ სარგებლობდა სამკითხველოთი. პეტერბურგში მას არჩეული ჰქონდა ერთი სამკითხველო, სადაც მთელ დღეებს აღამებდა.

ეს ჩვეულება ლენინს თან გაჰყვა უცხოეთში, ემიგრაციაში ყოფნის დროსაც. როცა ის პარიზში ცხოვრობდა, მეცადინეობდა საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ინგლისში კი მისი საყვარელი სამეცადინო ადგილი იყო ბრიტანეთის მუზეუმი. თავის წერილში ნათესავებისადმი ის ყოველთვის ითხოვდა წიგნებს და წიგნებს. ეწაფებოდა ყველა დარგის ლიტერატურას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სტატისტიკას. თავის დაუმთავრებელ ნაშრომში „სტატისტიკა და სოციოლოგია", რომელიც ჯერ გამოქვეყნებული არაა და რომელიც დაწერილია პირიუჩევის ფსევდონიმით, ლენინი სწერს: „ფაქტები, თუ მათ ავიღებთ მთლიანი კავშირით ერთმანეთთან, არა მარტო ჯიუტი, არამედ უთუოდ უაღრესად დამარწმუნებელი რამ არის".

ლენინის წერილი აღსავსეა ჩივილით იმის შესახებ, თუ რა დიდ დაბრკოლებებს განიცდიდა ის თავის ნაწარმოებთა დაბეჭდვისათვის.

„საქართველოს ჩაი"-ს გამოფენა კრემლში

მოსკოვი, 30 ნოემბერი. გუშინ კრემლის ერთ - ერთ დიდ დარბაზში გაიხსნა „საქართველოს ჩაი"-ს მუშაობის გამოფენა. მშვენივრად არის ჩამწკრივებული ჩაის ბუჩქები, საქართველოს ჩაის სხვადასხვა ჯიშების ნიმუშები. ჩაის მეურნეობის ზრდა საქართველოში მოცემულია საუცხოვო კარტოგრამებისა და დიაგრამების საშუალებით. ტრესტის მუშაობა რელიეფურად გამოხატავს ჩაის კულტურის მდგომარეობას და მის განვითარების პერსპექტივებს საქართველოში.

გარდა ამისა, გეორგიევის დარბაზში გაიხსნა ტროპიკულ მცენარეთა გამოფენა, რომელიც მოაწყო აფხაზეთის საცდელ - საჩვენებელ სადგურმა; ორივე გამოფენა დიდ ინტერესს იწვევს მოსკოვის მუშებში და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებში.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა დეკემბრისათვის
დღეს, კვირას, 1 დეკემბერს, კანტორა ღია იქნება
ხელის მოწერის მისაღებათ დილის—9 ს.—4 საათ.
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81. 2—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ცაკის სესია

მოსკოვი, 30 ნოემბერი. გაიხსნა საბჭოთა კავშირის ცაკის მეორე სესია. სესია გახსნა ამხ. ფაიზულა ხოჯაევმა. სესიამ მოისმინა დღის წესრიგი, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო გაზეთებში.

სახალხო მეურნეობის 1929-30 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

ამხ. ვეინბერგის მოხსენება

მოსკოვი, 30 ნოემბერი. პლენუმმა მოისმინა საკავშირო პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგის ამხ. ვეინბერგის მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა პროფკავშირების და სამეურნეო ორგანოების ჩამორჩენა წარმოების გაშლაში და საკონტროლო ციფრების უქონლობა.

ამხ. ვეინბერგმა მიუთითა, რომ წარმოებებისათვის ნედლეულის თავის დროზე და წესიერად მიწოდების საკითხი უნდა მოექცეს სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირების ყურადღების ცენტრში, რადგან ამ საკითხის მოგვარებაზეა დამოკიდებული პროდუქციის თვითღირებულების დაკლება. საჭიროა გადამწყვეტი გარდატეხა მოხდეს პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებაში და სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში. გეგმით გათვალისწინებულ ხელფასის 12 პროცენტით გადიდება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს. კოოპერაციის აპარატი უნდა გაიწმინდოს უცხო ელემენტებისაგან (ადს).

მოსკოვი, 30 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის 29 ნოემბრის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. კუიბიშევის და მექიანის მოხსენებათა გამო. პირველი მოხსენება შეეხებოდა მრეწველობის საკონტროლო ციფრებს, ხოლო მეორის— მუშების მომარაგებას სურსათ-სანოვაგით. სხდომა დამთავრდა საბჭოთა კავშირის მუშათა კოოპერატივების სექციის თავმჯდომარის ამხ. პოზდნიშევის გამოსვლით. ამხ. პოზდნიშევმა აღნიშნა, რომ 1929—30 წელს საბჭოთა კავშირში მოეწყობა ღორის ჯოგები ნახევარი მილიონის რაოდენობით, ხოლო 37,5 ათასი ჰექტარის სივრცეზე გაიმართება ბოსტნები. განზრახულია კოოპერაციამ დააკმაყოფილოს მუშების ბიუჯეტის 87,3 პროც. (ადს).

რევოლიუციონური ბრძოლა ბესარაბიაში

ვენა, 29 ნოემბერი. მხოლოდ ახლა მოვიდა დაწვრილებითი ცნობები იმ რევოლიუციონური ბრძოლის შესახებ, რომელიც მოხდა კიშინიოვში 24 ნოემბერს და რომელმაც მთელი დღეს გასტანა. დაახლოებით ერთი კვირის წინად სასამართლო იძულებული გახდა ლეგალურად ეცნო უნიტარული პროფკავშირები და მხარი დაეჭირა იმისათვის, რომ მუშათა ორგანიზაციებს დაებრუნებოდათ მუშათა სახლი, რომელშიაც მოთავსებულნი იყვნენ უნიტარული პროფკავშირებისა და მუშურ-გლეხური ბლოკის ადგილობრივი კომიტეტები. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულმა კომიტეტებმა ამ სახლში დანიშნეს საზეიმო სხდომა. პოლიციამ აკრძალა კრება. კიშინიოვის რევოლიუციონური ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ თათბირზე დაადგინა, უკანონოდ ჩაეთვალა პოლიციის აკრძალვა, მოეწოდებინა მუშებისათვის—მასიური მონაწილეობა მიეღოთ სახლის გახსნაში და ენერგიული პროტესტი განეცხადებინათ პოლიციის ტერორის წინააღმდეგ.

მოწოდების თანახმად, 24 ნოემბერს დილით ათასამდე მუშა ქალაქის ყოველი კუთხიდან გაემართა მუშათა სახლისაკენ, რომელშიაც რამდენიმე ასი კაცი დაეტია, სხვები კი ეზოში დარჩნენ.

მუშურ-გლეხური ბლოკის პრეზიდიუმმა კაჩანოვსკის მეთაურობით ზეიმი გახსნილად გამოაცხადა.

გამოსული ორატორები მოუწოდებდნენ მუშებს, ენერგიული პროტესტი განეცხადებინათ მთავრობის რეაქციონური მოქმედების წინააღმდეგ. ამ დროს მუშათა სახლს მიუახლოვდნენ პოლიციის რაზმები. პოლიციის კომისარი საიდუმლო მაძიებელთა თანხლებით გამოცხადდა კრებაზე და წინადადება მისცა კრების მონაწილეთ დაეტოვებინათ დარბაზი. მუშებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს და წინადადება მისცეს პოლიციელებს მოშორებოდნენ მათ.

დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ პოლიციამ იერიში მიიტანა მუშათა სახლზე, მაგრამ უშედეგოდ, პოლიცია იძულებული გახდა უკან დაეხია. მუშები უყვიროდნენ: „ჯალათებო, ძირს ტერორი, ძირს პოლიცია!".

ერთი საათის შემდეგ პოლიციის პრეფექტი მორიგე პროკურორთან ერთად და მრავალი ასი პოლიციელით შეიჭრა სახლში. მაგრამ იგი იქიდან გამოაგდეს. მუშებმა სცემეს მას და პოლიციის ოფიცრებს. ორი საათის ბრძოლის შემდეგ შეიარაღებულმა ჟანდარმერიამ გაანთავისუფლა ქუჩა და დაიკავა მეზობელი სახლები. [illegible] გუსარესკუმ მუშ. სახლში პარლამენტიორები გაგზავნა, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, სახლის აღება მაინც ვერ მოხერხდა. გამოწვეულ იქნენ მეხანძრენი, რომლებმაც ჩაამტვრიეს ფანჯრები და სახლს გარედან წყალი მიუშვეს. მუშებმა, რომელთაც ქალებიც ეხმარებოდნენ, გაამაგრეს ფანჯრები და კარები და მოიგერიეს მეხანძრეთა იერიში. მოსულმა ჯარმა და პოლიციამ ალყა შემოარტყა სახლს. პროკურორი, რომელსაც ხიშტებით იცავდნენ, მიუახლოვდა სახლს და მოსთხოვა მუშებს დაეცალათ სახლი და დანებებულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა, რომ მიმართავდა იარაღს. მუშებმა უპასუხეს: „ჩვენ არ დაგნებდებით, ძირს პოლიცია!". ხუთი წუთის შემდეგ ჯარისკაცებმა თოფები გასტენეს, რამდენჯერმე გაისროლეს და სახლს ტყვიამფრქვევები მოუშვირეს. საღამოს ხუთ საათზე პრეზიდიუმმა დაადგინა, მიეცა ხელისუფლებისათვის ასეთი წინადადება: მუშები ნებაყოფლობით დასტოვებენ სახლს, თუ მათ მიეცემათ გარანტია, რომ თავისუფლად იქნებიან გაშვებულნი და გაწვეული იქნება პოლიცია. ხელისუფლება დასთანხმდა ამ წინადადებაზე და გასცა ბრძანება, მოეხსნათ ალყა. მაგრამ როგორც კი შეუიარაღებელი მუშები სათითაოდ და ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ სახლიდან, ჯარი [illegible] დაესხა მათ საფარიდან, დაუწყო თოფის კონდახებით ცემა და დააპატიმრა 260 კაცი, მათ შორის 31 ქალი, აგრეთვე მუშურ-გლეხური ბლოკის და უნიტარულ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების წევრები. ქუჩებში დაიწყო ნამდვილი ნადირობა მუშებზე. დაპატიმრებულნი, რომელნიც ძლიერი რაზმის თანხლებით გაგზავნეს პოლიციის საპყრობილეში, მთელ ღამეს „ინტერნაციონალს" მღეროდნენ და გაიძახოდნენ ლოზუნგებს ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ და მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის ლეგალობის დასაცავად.

24 ნოემბრიდან ქალაქი სამხედრო ბანაკის შთაბეჭდილებას ახდენს. ქუჩებში დადიან გაძლიერებული პატრულები. დღედაღამე გრძელდებოდა დაპატიმრებულთა „დაკითხვა", რის შემდეგ 220 კაცი გაანთავისუფლეს, ხოლო სხვები ისევ საპყრობილეში დასტოვეს. კიშინიოვის მუშები მეტად აღელვებულნი არიან. საპროტესტო მოძრაობა ფართოვდება. 24 ნოემბერს ქალაქის მთავარ ქუჩაზე გაიმართა ახალი რევოლიუციონური სახელდახელო კრება, მოხდა შეტაკებები პოლიციასთან, რომელმაც ბევრი დააპატიმრა. რევოლიუციონური პროფკავშირთა ლოზუნგის თანახმად ბევრმა ქარხნის მუშებმა საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადეს (ადს).

როგორ მიმდინარეობს „კაპიტალი"-ს ბეჭდვა

როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, კ. მარქსის „კაპიტალი"-ს პირველი ტომის ბეჭდვა დაიწყო 25 ოქტომბერს პოლიგრაფტრესტის პირველ სტამბაში.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა იმის გაგება, თუ რა გაკეთდა დღემდე, ე. ი. ერთი თვისა და 7 დღის განმავლობაში, რამდენად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა, რა გარემოება გვიშლის ხელს და რა ზომების მიღება არის საჭირო, რომ „კაპიტალი"-ს ბეჭდვა დანიშნულ დროს დამთავრდეს.

30 ნოემბერს სტამბაში ასეთი მდგომარეობა იყო.

დაბეჭდილია 15 სასტამბო ფორმა, ე. ი. 240 გვერდი, ამის გარდა, გვერდებათ შეკრული და დასაბეჭდათ თითქმის მზად არის 13 ფორმა (208 გვერდი), ხოლო აწყობილია სვეტებათ 21 თავამდე, ე. ი მთელი წიგნი თითქმის აწყობილია.

ახლა და ამგვარად თუ ერთმანეთს შევუფარდებთ უკვე ჩატარებულ მუშაობას და იმას, რაც შემდეგში უნდა გაკეთდეს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მთელი სამუშაოს ნახევარი უკვე შესრულებულია. მაშასადამე თუ მომავალშიაც იმ ტემპით იწარმოებს მუშაობა, როგორითაც ის დღემდე სწარმოებდა, მთელი წიგნის ბეჭდვის დამთავრებას კიდევ მოუნდება ერთი თვე და 7 დღე, ე. ი. ბეჭდვა გაგრძელდება მომავალი 1930 წლის 8 იანვრამდე.

ეს, რასაკვირველია, ვერ ჩაითვლება ნორმალურ მდგომარეობათ, ვინაიდან გამოდის, რომ დღეში, საშუალოდ იბეჭდება ნახ. სასტამბო ფორმა, ნაცვლად 1 ნახ. ფორმისა, რომელიც გათვალისწინებული იყო „კომუნისტი"-ს გამომცემლობის განცხადებაში (იხ. გაზეთი „კომუნისტი" № 263).

რა აფერხებს მუშაობას და იმ გეგმის სისწორით შესრულებას, რომელიც მიღებული იყო სახელგამის, ჩვენი გამომცემლობის და საქმის ტექნიკური ხელმძღვანელობის წარმომადგენლობის მიერ წიგნის ბეჭდვის დაწყებისას?

უნდა ითქვას, რომ სტამბას ამ შემთხვევაში ბრალს ვერ დავსდებთ. მას მომარაგებული აქვს შრიფტი საკმაო რაოდენობით და ასოთამწყობნიც იმდენს აწყობენ, რომ კორექტორები ვერც კი ასწრებენ გასწორებას. ამას ნათლად მოწმობს ის გარემოება, რომ, როგორც თავშიც აღვნიშნეთ, გვერდებათ შეკრული და უკანასკნელ კორექტურას ელიან 13 ფორმა (208 გვერდი), ხოლო ერთი ამდენი კი სვეტებათ არის აწყობილი და ისინიც გასასწორებელია.

ამ გარემოებას დროზე მიექცა ყურადღება და 14 ნოემბრიდან კორექტორთა შტატი გაძლიერებულ იქნა ერთი გამოცდილი კორექტორით. მაგრამ ამ ზომამ, ჯერ-ჯერობით მაინც, საგრძნობი გაუმჯობესება ვერ მოგვცა.

საქმე ის არის, რომ „კაპიტალი"-ს ბეჭდვა და განსაკუთრებით მისი კორექტურა ერთობ რთული და საპასუხისმგებლო საქმეა.

აქედან აშკარაა, რომ თუ ჩვენ გვინდა „კაპიტალზე" მუშაობის ტემპის დაჩქარება, უნდა ვიფიქროთ კორექტურის საქმის სათანადო დაყენებაზე, მით უმეტეს, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ „კაპიტალი"-ს გამოცემა ისედაც დაგვიანდა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო.

ე. ტ—ძე.

ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა სპარსეთთან

უკვე ვადა გაუვიდა სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც 1927 წლის 1-ლ ოქტომბერს დაიდო, ამის გამო მთელი სპარსეთის პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოლაპარაკებას ხელშეკრულების დადების შესახებ. 1927 წ. ხელშეკრულების დადებითი შედეგები განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს სპარსელი ვაჭრების ახალ პერსპექტივებს: ახალი ხელშეკრულებისაგან ისინი მოელიან იმ მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას, რომელსაც, იმპერიალისტური სახელმწიფოების გავლენით, განიცდის სპარსეთის სახალხო მეურნეობა.

თუ თვალს გადავავლებთ იმ პროცესებს, რომელთაც ჩვენ უკანასკნელი წლების განმავლობაში სპარსეთის ეკონომიკაში ვამჩნევთ, იმ პროცესებს რომლებშიაც გადამწყვეტ როლს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა თამაშობდა, ჩვენთვის ცხადი გახდება ობიექტიურად უსამართლო მისწრაფება სპარსეთის მოსახლეობისა, რომელიც უმთავრესი კრიზისებიდან ხსნას, საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობისაგან მოელის, და ყურადღებას არ აქცევს იმ დიდ შესაძლებლობას, რომელიც დასახულია მის წინაშე დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებისაგან უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის პირობებში. და, მართლაც, საბჭოთა კავშირთან ეკონომიური დამოკიდებულების განახლების შემდეგ სპარსეთიდან საბჭოთა კავშირში საქონლის გატანა 1927-28 წელს 199 მილ. კრანამდე (კრანი დაახლოებით უდრის 23 კაპ.), გადიდდა, ნაცვლად 1920-21 წლის 8,6 მილ. კრანისა, ე. ი. მან ომამდე არსებული ნორმის 70 პროცენტს მიაღწია. იმ პერიოდში, როდესაც სპარსეთი მოწყვეტილი იყო საბჭოთა ბაზარს, სპარსეთის მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა (მებამბეობამ, მეაბრეშუმეობამ, ხე-ტყის საქმემ, მებაღეობამ) მძიმე სამეურნეო კრიზისი განიცადეს, სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო დამოკიდებულების განახლების შემდეგ, ამ პროდუქტების ექსპორტმა, რომელიც 1920 წ. კატასტროფიულად მცირე იყო, (აბრეშუმის პარკი—0,4 ტონა, ომის წინა პერიოდის 993 ტონას ნაცვლად, ხე-ტყე. 2 ათასი ტონა, 29 ათასი ტონას ნაცვლად და სხვ.), შემდეგ წლებში ომის წინა პერიოდის დონეს მიაღწია.

1927 წლის ხელშეკრულებას მოჰყვა ახალი დადებითი შედეგები. ამ ხელშეკრულებამ სპარსეთის ექსპორტისა და იმპორტის თვალსაზრისით პირველ რიგში დააყენა საბჭოთა კავშირი. ფართო სატრანზიტო ოპერაციებისათვის სპარსეთის წინაშე გადაიშალა ფართო გზა. და ამ გარემოებამ ძირითადი გაუმჯობესება შეიტანა სპარსეთის მეურნეობის მრავალ დარგში.

სპარსეთის პრესამ, ამა თუ იმ ფორმით, შესაფერისად შეაფასა სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის ხელსაყრელი მომენტები. პრესა ურჩევს სპარსეთის მთავრობას გამოიჩინოს მოლაპარაკების დროს გონიერება, შორსმჭვრეტელობა და ზომიერება. მხოლოდ სრულებით უმნიშვნელო ნაწილი სპარსეთის ვაჭრებისა, რომლებიც ინგლისის კაპიტალთან არიან დაკავშირებულნი, უკმაყოფილებას გამოსთქვამენ სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ფორმებით („კერძო განრიგებები საბჭოთა კავშირში", გაზეთი „შეფაკ"-ი ა. წ. 12 ივლისი). ეს ფორმები, თითქოს, განსაზღვრავს ვაჭრების მოგებას, ვაჭრები სცდილობენ გავლენა მოახდინონ, სეპარატიული ინტერესების მიხედვით, სპარსეთის მთავრობაზე სპარსეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დროს. მაგრამ ამის წინააღმდეგ დამახასიათებელია გაზეთ „სეტარე—ე-ირან"-ის (ა. წ. 30 ივნისი) გალაშქრება:

„უნდა მოვაგონოთ,—სწერს გაზეთი,—საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს, რომ ახალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების დროს მხედველობაში უნდა მიიღოთ მთელი ერის სარგებლობა, და არა ცალკე ვაჭართა ჯგუფებისა, ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობა, რომ არ გადაგვეღობოს ახალი დაბრკოლებები".

„რუსეთი მნიშვნელოვანია სპარსეთისათვის, როგორც ისეთი ქვეყანა, სადაც შეიძლება სპარსეთის ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო საქონლის გაზიდვა. ამიტომ რაც უფრო ადრე შეუდგებიან მაღალი სფეროები მუდმივი სავაჭრო ხელშეკრულების დადებას. მით უფრო მეტ სამსახურს გაუწევენ თავის ერს, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური თვალსაზრისით".

ვაჭართა ამ ჯგუფის უკმაყოფილების სათავე უნდა ვეძიოთ წარსულში, როდესაც სპარსელ ვაჭრებს უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ, რომ საქონელი კერძო ვაჭრებისათვის მიეყიდნათ, რადგანაც ის მეტს აძლევდა მათ, ვიდრე სახელმწიფო ორგანიზაციები და კოოპერაცია. კერძო ვაჭრებივე აწვდიდნენ სპარსელ ვაჭრებს საბჭოთა საქონელს. საქონლის გამტარებელ ქსელში სახელმწიფო და კოოპერატიული სექტორის როლის გადიდებასთან ერთად საბჭოთა საქონლით მოვაჭრე კერძო პირის როლი სრულებით მოისპო, და სპარსეთის ვაჭრების ერთი ნაწილი შეეცადა თავისი საქონელი, ბაზართან შედარებით, მაღალ ფასებში კერძო ვაჭრებისათვის მიეყიდა, ხოლო საიმპორტო საქონელი ჩვენი სახელმწიფო ორგანოების საშუალებით მიეღო დაწეულ ფასებში. ამ გზაზე სპარსელ ვაჭრებს დაბრკოლება გადაეღობა: ეს დაბრკოლება, „სეტარე-ე-ირან"-ის სიტყვით, მდგომარეობს იმაში, რომ „ამჟამად საბჭოთა კავშირში არ მოიპოვება იმდენი კერძო ვაჭარი, რამდენიც ორი წლის წინად იყო, და მათ არ შეუძლიათ დიდძალი საქონლის შესყიდვა".

სპარსეთის ვაჭრების დიდმა უმრავლესობამ გაითვალისწინა ეს გარემოება. ამიტომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აღსანიშნავია სახელმწიფო ორგანოებთან სპარსელი ვაჭრების ეკონომიური კავშირის განსაკუთრებული ზრდა. სპარსეთის ვაჭრები თავიანთთვის უფრო ხელსაყრელად და მისაღებად თვლიან ვაჭრობის ამ ფორმებს. ვაჭრობის ამ ფორმების წინააღმდეგ ილაშქრებს სპარსელი ვაჭრების ის ნაწილი, რომელიც მიჩვეულია მსხვილი მოგების მიღებას, და რომლებსაც ხშირ გაკოტრებამდე მიჰყავს საშუალო და წვრილი ვაჭრების დიდი ფენები. ხსენებული ვაჭრები იმედის თვალით შეჰყურებენ სპეკულიატიურ განრიგებებს ინგლისური საქონლით, იმ განრიგებებს, რომლებიც ახდენენ ბაზრის დეზორგანიზაციას, იწვევენ აჟიოტაჟს, კომერციულ არაკეთილსინდისიერებას და გაკოტრებას.

თუ სპარსეთის ვაჭრების აღნიშნულ ნაწილს სურს თავისი მოგების გადიდება, მან საბჭოთა კავშირში კერძო ბაზრის მოსპობის წინააღმდეგ ჩივილი კი არ უნდა დაიწყოს, არამედ ის უნდა შეუდგეს პროდუქტის სტანდარტიზაციასა და დამზადებას. ამ გზას უკვე დაადგნენ მებამბეები, რომელთაც უკვე ააგეს ბამბის დასაწნეხი ქარხანა სპარსეთის ჯულფის რაიონში. ცხადია, მებამბეობისათვის ეს ძლიერ ხელსაყრელია. სპარსეთის ანგლოფილურ ვაჭრების პოზიციას გმობს სპარსეთის პრესის დიდი ნაწილი. აი, რასა სწერს „სეტარე-ე-ირან"-ი:

„ამჟამად, როდესაც შეუძლებელია კერძო ბაზარზე საქონლის გაყიდვა, სპარსელმა ვაჭრებმა სრულებით უარი უნდა განაცხადონ კერძო ბაზარზე ვაჭრობაზე. პირიქით, როგორც სჩანს, საბჭოთა კავშირი სიამოვნებით მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ყველა შემოტანილი საქონელი ერთბაშად მიეყიდოს საბჭოთა დაწესებულებებს, და ამ ღონისძიებას შეიძლება მოჰყვეს ის შედეგი, რომ ორივე ერი მომავალში განავითარებენ გულწრფელ საქმიან დამოკიდებულებას".

უნდა ობიექტიურად შეფასებულ იქნას სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ინტერესები და ამ საფუძველზე, 1927 წლის ხელშეკრულების ორი წლის გამოცდილების გათვალისწინებით, დადებული იქნას ახალი სავაჭრო ხელშეკრულება. ამაშია ახალი ხელშეკრულების პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში, უეჭველია, სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა ისევ აღინიშნება იმ დადებითი ზრდით, რომელიც 1927 წლის ხელშეკრულებას მოჰყვა.

დ. ჭ—ი.

შვეციის კომპარტიაში

სტოკჰოლმი, 30 ნოემბერი. შესდგა შვეციის კომპარტიის სტოკჰოლმის ორგანიზაციის კონფერენცია, რომელსაც 114 დელეგატი დაესწრო.

კონფერენციამ მოისმინა მოხსენება პარტიის რეორგანიზაციისა და რენეგატების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის რეორგანიზაცია წარმატებით მიმდინარეობს და რომ საწარმოო ორგანიზაციებისა და უჯრედების აქტიურობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა (ადს).

მუშების მოთხოვნილება

ბერლინი, 30 ნოემბერი. ჰალეში შესდგა შუა-გერმანიის მადნის მუშათა 500 წარმომადგენლის კონფერენცია, რომელმაც სავსებით მიუღებლად ჩასთვალა სამედიატორო დადგენილება ხელფასის 3 პროცენტით გადიდების შესახებ. კონფერენციამ დაადგინა, გააუქმოს ძველი კოლექტიური ხელშეკრულება და მიიღოს ყოველგვარი ზომები მუშათა იმ მოთხოვნის განსახორციელებლად, რომელიც ხელფასის გადიდებას შეეხება. პირველ დეკემბერს შეიკრიბება ახალი კონფერენცია, რომელიც მიიღებს საბოლოო დადგენილებას შემდგომი მოქმედების შესახებ. (ადს).

ახალი საწარმოო კალენდარი

მოსკოვი, 30 ნოემბერი. მთავრობის კომისიამ, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოების და დაწესებულებების გადაყვანას განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე, საკავშირო სახკომსაბჭოს განსახილველად გადასცა პროექტი დადგენილებისა ერთიან საწარმოო კვირის შესახებ. ამ კალენდარის მიხედვით წელიწადი შესდგება 360 დღიდან და გაყოფილია 72 ხუთდღიან კვირაზე. ხუთი რევოლიუციონური უქმე დატოვებულია კალენდარის გარეთ. საწარმოო წელიწადი იწყება 1-ლ ოქტომბრიდან, სამეურნეო წლის დამდეგიდან. ხელფასი გაცემული უნდა იქნას ყოველ ათ დღეში.

მთავრობის კომისია საჭიროდ სცნობს ახალი კალენდარის შემოღებას 1930 წ. 1-ლ იანვრიდან (ადს).

საბჭოთა მოლდავიის 5 წლისთავი

მოსკოვი, 30 ნოემბერი. 27 ნოემბერს პოლიტკატორღელთა საზოგადოების კლუბში მოხდა „ბესარაბიელთა საზოგადოების" მოსკოვის განყოფილების წევრთა საერთო კრება, რომელზედაც მოლდავიის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის ხუთი წლის არსებობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დიმიტრიუმ, მოლდავიის ავტონომიური საბჭოთა სოც. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ.

ამხ. დიმიტრიუმ აღნიშნა მოლდავიის ავტონომიური ს.ს. რესპუბლიკის მშვიდობიანი მნიშვნელოვანი მიღწევები კოლექტივიზაციის დარგში და მრეწველობის დიდი ზრდა და უდიდესი მიღწევები კულტურულ მშენებლობაში.

სულ სხვა სურათი დახატა ამხ. ხანდომირსკიმ თავის მოხსენებაში ბესარაბიის მდგომარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ იქ ადგილი აქვს სახალხო მეურნეობის და საზოგადოებრივი ცხოვრების რღვევას და არა ზრდას რუმინეთის ოკუპაციის გამო. (ადს).

დამზადების გეგმის წარმატებით შესრულება

მოსკოვი, 30 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, მარცვლეულ კულტურათა დამზადების წლიური გეგმა 25 ნოემბრისათვის შესრულებულია 97,5 პროცენტით.

სასურსათო კულტურათა დამზადების გეგმა 25 ნოემბრისათვის განხორციელებულია 982,1 პროცენტით. (ადს).

მოჯამაგირე—შრომის სახალხო კომისარი

ყაზანი, 30 ნოემბერი. ცაკმა თათართა რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისრად წამოაყენა მოჯამაგირე—აქტიური მუშკორი ამხ. იაგუდინი (ადს).

უკრაინის სამეცნიერო აკადემიის საბჭოს სესია

კიევი, 30 ნოემბერი. სრ. უკრაინის სამეცნიერო აკადემიის საბჭოს სესიამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც საბჭოთა უკრაინის ყველა სამეცნიერო დაწესებულებების სახელით აცხადებს:

„სრ. უკრაინის სამეცნიერო აკადემიის საბჭოს სესიის მეცნიერების მუშაკნი გულისწყრომით ემიჯნებიან კაპიტ. მიერ მოსყიდულ იმ პირებს, რომლებიც უკრაინის კულტურის დაცვის სახით სცდილობდნენ საბჭოთა უკრაინის გაცემას.

უკრაინის მშრომელი მასები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გაანთავისუფლა ეროვნულად და სოციალურად. უკრაინის სამეცნიერო მუშაკების მთელი მასა გადაჭრით ჰგმობს და ჰკიცხავს უკრაინის კონტრ-რევოლიუციის ნამსხვრევთა კონტრ-რევოლიუციონურ საქმეს. პლენუმი აცხადებს, რომ სამეცნიერო მუშაკთა ფართო წრეების მხოლოდ პროლეტარიატთან კავშირის დროს შეიძლება განვითარდეს ნამდვილი უკრაინული საბჭოთა მეცნიერება". (ადს).

პარტიული მშენებლობა

სისტემატიურად და დაუზოგავად ვამხილოთ მემარჯვენე პრაქტიკის კონკრეტული ფაქტები

კლასიური ხაზის დამახინჯების წინააღმდეგ საკრედიტო ამხანაგობებში, კოლექტივებსა და საბჭოთა მეურნეობებში

ბრძოლა სისტემატიური და დაუნდობელი

მემარჯვენე ოპოზიცია უძლური აღმოჩნდა პარტიასთან ბრძოლაში. ხუთწლიანი გეგმის პირველმა წელმა დაუნდობლად გააცამტვერა მემარჯვენეთა ლიკვიდატორული წინასწარმეტყველებანი და ურყევად დაადასტურა ბოლშევიკური პარტიის გენერალური ხაზის სისწორე. მემარჯვენეთა ბელადებმა ამხ. ბუხარინმა, ტომსკიმ და რიკოვმა თავისი განცხადებით უკვე დაყარეს იარაღი პარტიის წინაშე. ჩვენს პარტიაში წარმოშობილ მემარჯვენე გადახრის იდეოლოგებმა ქედი მოიხარეს ლენინური პარტიის სიმტკიცის წინაშე.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მემარჯვენეობა საბოლოოდ დამარცხებულია, რომ ამ მხრიდან ჩვენ არავითარი საფრთხე აღარ მოგველის.

მემარჯვენე გადახრა არა ნაკლებ საშიშია და მავნებელია პრაქტიკაში, ვიდრე თეორიაში. ჩვენს ყოველდღიურ სინამდვილეში მემარჯვენეობას ჯერ-ჯერობით საკმაოდ ხელსაყრელი ნიადაგი აქვს. მემარჯვენეობა თავს იჩენს ჩვენი სამეურნეო, კოოპერატიულ და საბჭოთა ორგანიზაციის საქმიანობაში, ზოგი პარტიული ამხანაგი დაავადებულია მემარჯვენეობის სენით და ნებსით თუ უნებლიეთ აფერხებს პარტიის გენერალური ხაზის გატარებას ქალაქად და სოფლად.

ნათქვამის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ავილოთ, სას.-სამ. კოოპერაციის მუშაობა. სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებს უდიდესი როლი აქვთ დაკისრებული წვრილ, დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე მძლავრი სოციალისტური იერიშის მიტანის საქმეში. იმისათვის, რომ სას.-სამ. კოოპერაციამ პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, საჭიროა მის მუშაობაში ზედმიწევნით იქნეს დაცული კლასობრივი ხაზი. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში კი იბეჭდება მასალა, რომლიდანაც აშკარად სჩანს, რომ მთელ რიგ საკრედიტო ამხანაგობებში მოკალათებულია პროლეტარიატისათვის სოციალურად მიუღებელი ელემენტები, ზოგიერთ ამხანაგობათა ხელმძღვანელი კომუნისტები კულაკებისა და ვაჭრების გავლენის ქვეშ არიან მოქცეული. ასეთი საკრედიტო ამხანაგობები, ბუნებრივია, სცდებიან სწორ გზას და სოფლის კაპიტალისტურ სექტორისათვის კრედიტის მიმწოდებელ ორგანოებათ იქცევიან.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე წინადაც ხშირად ყოფილა გამომზეურებული საკრედიტო ამხანაგობათა ოპორტუნისტული პრაქტიკის საყურადღებო ნიმუშები. გავიხსენოთ ალბულაღის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარის „ბრძნული" აზრები ღარიბთათვის კრედიტის მიცემის შესახებ. „ღარიბებისათვის კრედიტის მიცემა დაკარგული საქმეა. კრედიტი უნდა მიეცეს შეძლებულ გლეხს, რომელიც უზრუნველყოფს მის დაბრუნებას"-ო,—ამბობდა საკრ. ამხანაგობის ხელმძღვანელი. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთი „თეორიის" მიმდევარ კოოპერატორის პრაქტიკა კულაკებისა და შეძლებული გლეხობის სარგებლობისაკენ იქნებოდა მიმართული და ეს მაშინ, როდესაც პარტია ყოველ ღონეს ხმარობს კაპიტალისტური ელემენტების განვითარების შესავიწროვებლად სოფლად.

მემარჯვენე ლიკვიდატორების ბელადები ყოველ ნაბიჯზე გაიძახოდნენ, რომ პარტიის ხაზი კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარებაში არ არის სწორი, რომ სოფლის კოლექტივიზაცია ჯერ ნაადრევია. ეს ურწმუნოების ფილოსოფია ბევრ ადგილობრივ მუშაკს აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში. იმავე ალბულაღის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე აცხადებს: „რამდენი კრედიტიც არ უნდა მისცე კოლმეურნეობებს, სულ ერთია. მათგან მაინც არაფერი გამოვა, ისინი დაიშლებიან"-ო, აქედან დასკვნა ნათელია.

კაჭრეთ-არაშენდის (კახეთი) რაიკომის მდივანი ხარაშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა იმისთვის, რომ დაეცვა „შეურაცხყოფილი" კულაკი, რომელსაც საოლქო ალმასკომმა ჩამოართვა სალეწი მანქანა. პურის დამზადების დროს ამ თემის მუშაკები შეეცადნენ კულაკების „გამოყენებას", შეკრიბეს ისინი და დაავალეს გაეწერათ მოსახლეობაზე ხორბალი. კულაკებმა მოხერხებულად ისარგებლეს ამ შემთხვევით; მათ თავისი ჭირნახული გადამალეს და ღარიბებს ძალით წაართვეს პური.

ასეთი მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლებოდა. რას გვეუბნებიან ისინი? ეს მაგალითები გვეუბნებიან, იმას, რომ მემარჯვენეობასთან ბრძოლა არ მოხსნილა და არც შეიძლება მოიხსნას ჩვენი მუშაობის დღის წესრიგიდან. ჩვენს პარტიულ სამეურნეო „კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების სისტემის ცალკე ნაწილებისა და ცალკე კომუნისტების პრაქტიკაში კიდევ აქვს და ექნება ადგილი კლასობრივი ხაზის დამახინჯებას, კლასობრივ მტრებთან შეზრდას. ასეთი მოვლენების წინააღმდეგ ჩვენ უნდა განვაგრძოთ დაუნდობელი ბრძოლა, ასეთი ფაქტები უნდა ვამხილოთ სისტემატიურათ და დაუნდობლად. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რათა შეცდომები დროზე გამოვააშკარაოთ და მის ჩამდენთ მივუთითოთ ამ შეცდომათა გასწორების საშუალებებზე.

ო. ბ.

კლასობრივი ხაზის დამახინჯება საბჭ. და კოლმეურნეობებში

(ყოფ. ბორჩალოს მაზრის გამოკვლევის მასალებიდან)

ბორჩალოს რაიონი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და კლიმატიური პირობებით მეტად ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის მსხვილი ერთეულების მშენებლობისათვის. ამ გარემოებას ხელს უწყობს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და უინვენტარო და მიწის მცირე ნაჭრების მქონე ღარიბის გლეხურ მეურნეობათა დიდი რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფიერ მიწების საერთო რაოდენობა სახელმწიფოს ხელშია, ბორჩალოს პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობას ამ ბაზაზე საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად, ან და ღარიბებ გლეხობისაგან კოლექტიური მეურნეობების ჩამოსაყალიბებლად, არაფერი გაუკეთებია. პირიქით, სუსტი ხელმძღვანელობის და უყურადღებობის წყალობით ძველი საბჭოთა მეურნეობებიც დაშლის კარს არის მისული.

რაიონში სულ ექვსი საბჭოთა მეურნეობაა. ამათგან. მემინდვრეობის დარგში სამი— გიაურარხის, კულარის და სადახლოსი, რომლებიც შედიან საქ. საბჭ. მეურნეობათა ტრესტში. დანარჩენი სამი მეურნეობა მესაქონლეობას მისდევს და დღემდე ბორჩალოს ალმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას ეკუთვნოდა.

როგორც ირკვევა, სამაზრო ორგანოები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ აღნიშნულ მეურნეობებს, რის გამოც მათში მაგრად მოიკიდეს ფეხი კულაკურმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა, რომელთა ხელმძღვანელობით საბჭოთა მეურნეობებმა დაჰკარგეს კლასიური სახე.

მოვიყვანოთ ფაქტები: საბჭოთა მეურნეობა „ორთა შუაში" მთელი წლების განმავლობაში აწვდიდა მსხვილ კულაკებს (ტერეგულოვები, მოლლა-აბდულა და სხვები) დიდ თანხებს, თეთრ პურსა და მანუფაქტურას. უკანასკნელნი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს წლობით არ ასრულებდნენ. სამი წლის განმავლობაში კულაკებზე ირიცხება 15.000 მ. რითაც ისინი მოხერხებულად ეწევიან მევახშეობასა და სპეკულიაციას. საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაცია არავითარ ზომებს მათ წინააღმდეგ არ ღებულობს; ეს იმ დროს, როდესაც ღარიბი გლეხობა ჩასაბარებელ საქონლის ანგარიშში ხშირად ავანსად ერთ კაპიკსაც ვერ ღებულობს მეურნეობიდან. მეურნეობის ხელმძღვანელები, როგორც ადგილობრივი გლეხები გადმოგვცემენ, ძალიან კარგ დამოკიდებულებაში არიან კულაკებთან და სპეკულიანტებთან, ხოლო ღარიბ გლეხობას ხშირად ლანძღვა-გინებით იშორებენ.

[illegible] მდგომარეობაა სოფ. მახმუდლუს, მესაქონლეობის მეორე ფერმაში. ხელმძღვანელი სამარინი, ადგილობრივი გლეხების გადმოცემით, მალაკანთა ყოფილი [illegible], უკანასკნელი სჩანს ამჟამადაც რელიგიური კულტის დიდი თაყვანის-მცემელია, იგი მორწმუნე მალაკნებმა გასულ წელს თავიანთ დელეგატადაც კი გამოგზავნეს რელიგიურ ყრილობაზე თბილისში.

რამოდენიმე წლის უკან სამარინს მალაკნების კოოპერატივში,—თბილისში,—საკმაო თანხა გაეფლანგა. მისი საქმე ამჟამადაც სასამართლოში არის. ფერმაში სამარინი აწყობს თავის ნაცნობ-ნათესავებს, მას მოუყვანია ვინმე შაპოშნიკოვი და სერებროვსკი; პირველ მათგანს მოსვლისთანავე აღმოაჩნდა გაფლანგვა, მაგრამ გამგის მფარველობით ჯერ კიდევ არ არის განთავისუფლებული სამსახურიდან. ფერმის ადმინისტრაციის დაუდევრობა იქამდე მიდის, რომ უფლებას აძლევს ზოგიერთ თანამშრომლებს საკუთარი ცხენები და ძროხები ფერმის ხარჯზე შეინახონ.

გიაურარხისა და კულარის მეურნეობებშიაც ყველაფერი არ არის რიგზე. გიაურარხის სახალხო მამულში დიდ უთავბოლობას აქვს ადგილი, ნაყოფიერი მიწის ნახევარი დაუმუშავებელი რჩება, რაც კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში, ამ მეურნეობაში არავითარი აგრონომიულ ღონისძიება არ ტარდება, რის გამო მისი მოსავლიანობა უფრო დაბალია, ვიდრე ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაში. სხვადასხვა პროდუქტების გატაცების მიზნით აქ ხშირად სწარმოებს შეიარაღებული თავდასხმები საბჭოთა მეურნეობაზე, რასაც ადამიანის მსხვერპლიც ბევრჯერ მოჰყვება თან, მილიციას ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად არავითარი ზომები არ მიუღია.

კოლმეურნეობანი ყოფ. ბორჩალოს მაზრაში ყოველგვარ ხელმძღვანელობის გარეშეა, არც ერთი მათგანი სას. სამ. ინვენტარით უზრუნველყოფილი არ არის. კოლმეურნეობის წევრთა სოციალური შემადგენლობა შეუსწავლელია.

აქ ცრუ-კოლექტივებიც მოიპოვებიან. ავიღოთ მაგალითისათვის ლიუქსემბურგის კოლექტივი—„ხლებორობი". ამ კოლექტივის წევრთა სოციალური შემადგენლობის გამორკვევისას აღმოჩნდა, რომ შიგ 12 ინდივიდუალურად დაბეგრილი და შავსიაში მოხვედრილი კულაკია შეპარული, დანარჩენთა უმრავლესობა შეძლებული გლეხებია, მცირე ნაწილი კი ღარიბები. კულაკებს კოლექტივი იმ მიზნით, მოუწყვიათ, რომ შეღავათებით ესარგებლიათ. თვითეულ მათგანს კოლექტივის გარეშე თავისი საკუთარი მეურნეობაც აქვს. კულაკური ნაწილი კოლექტივს თანასწორ დახმარებასაც უწევდა. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები და კოლმეურნეობათა ცენტრს ამ არანორმალურ მოვლენებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ.

ს. გ—ძე.

„ციცქას" ვაჭრები ციცქნიდნენ

(ჩხარის რაიონი)

სოფ. ჩხარში (ქუთაისის ოლქი) 1928 წ. ჩამოყალიბდა სას.-სამ. კოლექტივი „ციცქა", რომელიც აერთიანებდა 8 კომლს. როგორც უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, კოლექტივში მოკალათებულან კლასიურად მიუღებელი ელემენტები (ყოფ. ვაჭრები, სპეკულიანტები. კონტრაბანდისტები და სხვ.).

კოლექტივში შექმნილი იყო ორი ჯგუფი, თვითეული მათგანი კატეგორიულად მოითხოვდა მოპირდაპირის გარიცხვას კოლექტივიდან.

ვინ შედიოდნენ ამ ჯგუფებში? პირველი ჯგუფში — არჩილ ცქიფურიშვილი ყოფილი ვაჭარი, რამდენიმე წლის წინად გამძვრალა ნოქრათ კოოპერაციაში, სადაც გაუფლანგავს 900 მანეთი. ამის გამო ის პასუხისგებაშია მიცემული, მაგრამ მისი საქმე დღემდე არ არის გარჩეული; იპოლიტე კალატოზი ყოფილი ვაჭარი. ვლადიმერ პატარიძე — ყოფილი ხელოსანი, (მესაათე) სოფლის მეურნეობის არაფერი არ ესმის; ნესტორ გურეშიძე — სპეკულიანტი. მეორე ჯგუფში კი შედიოდენ მხოლოდ ღარიბი გლეხები.

პირველი ჯგუფი (ყოფილი ვაჭრების და სპეკულიანტების) ყოველგვარ ზომებს ხმარობდა იმისათვის, რომ კოლექტივი თავის მეურნეობის დამატებით შემოსავლის წყაროთ გადაექციათ. ის არ ემორჩილებოდა საერთო კრების დადგენილებებს, არღვევდა წესდებას და სხვ. ჯგუფის წევრებმა ერთმანეთში გაინაწილეს კოლექტივის საერთო თანხა —60 მან., ცქიფურიშვილმა მიითვისა კოლექტივის შეშა, კალატოზი ამუშავებდა თავის მეურნეობაში კოლექტივის ხარებს და სხვ. ღარიბი გლეხები იძულებულნი შეიქნენ თანდათან მიეტოვებინათ კოლექტივი და ამ რიგათ „ციცქა" მართლაც ვაჭარ-სპეკულიანტების საციცქნად გადაიქცა. ყოფილი ვაჭრები თავისუფლად დათარეშობდნენ და ფლანგავდნენ საკრედიტო კოოპერაციიდან მიღებულ გრძელვადიან სესხებს.

ჩხარის სას.-სამ. კოოპერაცია მთლიანად ანტი-საბჭოთა ელემენტების გავლენაშია მოქცეული. ის სესხებს აძლევდა (დღემდე გაუცია 4.000 მან.) ცრუ კოლექტივებს, რომელთაც ღარიბ და საშუალო გლეხობა ზიზღის თვალით უცქეროდა.

ასე სწარმოებდა ვაჭრებისა და სპეკულიანტების „კოლექტივიზაცია" ჩხარის რაიონში. პარტიული ორგანიზაცია კი გულხელდაკრეფით ისხდა, ოდნავადაც არ სცდილობდა კოლმეურნეობების წევრთა სოციალური შემადგენლობის გამოკვლევა - შესწავლას.

ამ ბოლო დროს, როდესაც კოლექტივი გაწმენდილი იქნა ყოფილ ვაჭრების და არასასურველ ელემენტებისაგან, მათ ნაცვლად კოლმეურნეობაში დიდი სიხარულით შევიდა 20-მდე ღარიბი და საშუალო გლეხი.

ს. მ—ძე.

ვანის კოოპერაცია კულაკის სამსახურში

ვანი ქუთაისის ოლქში ეკონომიურად ერთერთ უძლიერეს რაიონად ითვლება. ამიტომაც კულაკური და ნეპმანური ელემენტების შემოტევას აქ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი აქვს.

ვანის საკრედიტო ამხანაგობის მუშაობაში მახინჯდება კლასიური ხაზი, საკრედიტო ამხანაგობის ცალკე მუშაკები შეზრდილნი არიან კულაკებთან. ამხანაგობის ხელმძღვანელები ყურადღებას არ აქცევდნენ ღარიბ-გლეხებს და მოჯამაგირეების დარაზმვას ამხანაგობის გარშემო, მიუხედავად იმისა, რომ მათ ზემდგომ ორგანოების მიერ თავის დროზე ჰქონდათ მიღებული სათანადო დირექტივები.

საკრედიტო ამხანაგობას თავისი თანხების 40 პროცენტი დაურიგებია კულაკებისა და საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთათვის. დანარჩენი თანხიდან 20 პროც. მოუსესხებია მოსამსახურეებისათვის, ამ უკანასკნელთ კი მიღებული კრედიტი იქვე ვანის სამიკიტნოებში დაუხარჯავთ, რაც საკრედიტო ამხანაგობის მუშაკთა უპასუხისმგებლობას უნდა მიეწეროს.

კულაკებზე გაცემულ სესხის ამოღებისათვის ამხანაგობას არავითარი ზომები არ მიუღია.

საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე ბოხუა აქ ახალი დანიშნულია, 50 დღეა რაც მუშაობს, აქედან 38 დღე მივლინებაში ყოფილა. არა ოლქის ან რაიონის მასშტაბით, არამედ თბილისში: თვენახევრის განმავლობაში მიღებული აქვს მივლინების ფული 380 მანეთი.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო სამ. ნედლეულის დამზადება კერძო ვაჭრების ხელშია, მაგალითად, 120 ვაგონი ხილი, რომელიც უნდა გაეტანა საკრედიტო ამხანაგობას, კერძო ვაჭრებმა გაიტანეს. გასულ წელს ამხანაგობამ ვანის რაიონში 6.000 ფუთამდე ბამბა დაამზადა, წელს კი 10 ფუთიც არ დაუმზადებია.

სამომხმარებლო კოოპერატივის მთავარი ნოქარი და ამავე დროს გამგეობის წევრი ყოფილა სამიკიტნოს მონაწილე. მას კოოპერაციიდან გაუტანია სახურავი რკინა და სამიკიტნოს შენობა დაუხურავს. ნოქარს კოოპერატივიდან გააქვს საქონელი მიკიტნების ოჯახებისათვის.

ყველაფერი ეს იცოდა პარტიის ზოგიერთ წევრმა, რაიკომის პრეზიდიუმის წევრმა, უჯრედის ბიურომ, მაგრამ მათ არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ ამ სიმახინჯის გამოსააშკარავებლად. ისინი კოოპერაციაში შემძვრალ მიკიტნისადმი უჩვეულო შემარიგებლობას იჩენდნენ.

ვ. ზერიძე.

ცუდი ხელმძღვანელობის შედეგები

(ზუგდიდის სამაზრო კომის მასალებიდან)

ზუგდიდის მაზრაში საკრედიტო ამხანაგობების მუშაობისადმი პარტხელმძღვანელობის გამოსარკვევად სამაზრო კომიტეტმა გამოყო სპეციალური კომისია.

ახუთის საკრედიტო ამხანაგობის გამოკვლევამ დაგვანახა, რომ კომუჯრედი ერთხელაც არ დაინტერესებულა იმით, თუ რას აკეთებდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, ვის ემსახურებოდა იგი, უჯრედს ყურადღება არ მიუქცევია კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის. არ შეუსწავლია, თუ საკრედიტო ამხანაგობის მონაწილეობა ამ საქმეში კომუჯრედის უმოქმედობის და უყურადღებობის შედეგათ საკრედიტო ამხ-ბის მუშაობაში ჩვენ ვხედავთ კლასიური ხაზის დამახინჯების მრავალ შემთხვევას.

საკრედიტო ამხანაგობიდან სესხები იცემოდა სამოქმედო რაიონის გარეშე. 314 მეურნეობაზე გაცემული სესხი ყველა ვადაგადაცილებულია, გამგეობას ერთხელაც არ უფიქრია მიეღო ზომები ვადაგადაცილებულ სესხის ასაკრებად. სესხები გაცემულია ისეთ პირებზე, რომლებსაც კავშირი არა აქვთ სასოფლო მეურნეობასთან (ელ. ჯიქია, კ. დადიანი, ვ. ჯაიანი და სხვ.) ღარიბთა ფონდი დანიშნულებისამებრ არ არის მოხმარებული, მუშა საქონელი დაურიგდა ყველა ინდივიდუალურ მეურნეობას. საკრედიტო ამხანაგობას საწყობში წლობით ჰქონდა ჩაკეტილი იარაღ-მანქანები, როგორიცაა: მათოხი, სიმინდის საფშვნელი, გუთანი და სხვა. გლეხობა კი სინათლით დაეძებდა ასეთ იარაღებს.

ამხანაგობას აქვს სახერხი ქარხანა, რომელშიაც მოწყობილია წისქვილიც. გამგეობამ არ იცის წისქვილის გასავალ-შემოსავალი, არ იცის სინამდვილეში თუ რა მოგებას ტოვებს ქარხანა. ამხანაგობა აწარმოებს ხე-ტყის დამზადებას კერძო მოიჯარადრის საშუალებით. ეს იმ დროს, როდესაც გამგეობას თავისუფლად შეუძლია უშუალოდ უხელმძღვანელოს ამ საქმეს.

რაიონში ჩამოყალიბებულია ვენახის კულტურის ექვსი კოლექტივი., თვითეულ კოლექტივში საშუალოდ გაერთიანებულია 20-მდე წევრი კოლექტივებს გეგმაში ჰქონდათ დაემუშავებიათ 7—8 ჰექტარი მიწა. მიწა უკვე დამუშავებულია, მაგრამ ვენახი დარგული არ არის ნერგის უქონლობის გამო, საკრედიტო ამხანაგობას ერთხელაც არ აღუძრავს საკითხი, რომ ნერგის შესაძენად ვისმესთვის მიემართა. კოლექტივებს საკრედიტო ამხანაგობიდან არ მიუღია სესხი ან დახმარება ფულად და არც ინვენტარის სახით.

ზემოდაღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად, სამაზრო კომიტეტმა შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. აგრეთვე საჭიროდ იქნა ცნობილი ამხანაგობის და კომუჯრედის ბიუროს გადარჩევა.

შ. კვარაცხელია.

მემარჯვენე ბელადებმა უნდა დაგმონ თავიანთი შეხედულებები

ხარკოვი, 30 ნოემბერი. საოლქო პარტკომისა და საოლქო საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი მთლიანად და სავსებით იზიარებს საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ისა და უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს და ადასტურებს ხარკოვის პარტიული აქტივის დადგენილებას ამხ. კოსიორის იმ მოხსენების გამო, რომელიც ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმებს შეეხებოდა.

გაერთიანებული პლენუმი ითვალისწინებს ტროცკიზმთან ბრძოლის გამოცდილებას და სცნობს, რომ ამხ. ბუხარინმა, რიკოვმა და ტომსკიმ თავისი სრული განიარაღების დასამტკიცებლად

1. გადაჭრით, ბოლშევიკურად უნდა დაჰგმონ ყველა ყალბი ბრალდებები, რომლებიც ისინი პარტიასა და მის ხელმძღვანელობას უყენებდნენ, გლეხობის სამხედრო—ფეოდალური ექსპლოატაციის შესახებ, კომინტერნის გახრწნის შესახებ, პარტიასა და საბჭოებში ბიუროკრატიზმის მოკალათების შესახებ, შინაპარტიული შევიწროების შესახებ, პარტიის გადახრის შესახებ ტროცკიზმისაკენ;

2. მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიის ბრძოლაში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ და აშკარად ამხილონ თავიანთი ოპორტუნისტული პლატფორმის ანტილენინური შინაარსი.

გაერთიანებული პლენუმი სცნობს, რომ პარტიამ მომავალშიაც არ უნდა შეასუსტოს ბრძოლა „მარცხენა" და ტროცკისტულ გადახრასთან, მან უფრო უნდა გააძლიეროს ბრძოლა თეორიასა და პრაქტიკაში მემარჯვენე-ოპორტუნისტული გადახრის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ (ადს).

ჟიტომირი, 30 ნოემბერი. საქალაქო პარტიული კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მემარჯვენე გადახრის ლიდერების განცხადება ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიის გენერალური ხაზის სისწორეს და სცნობს, რომ მემარჯვენე ლიდერების მიერ თავიანთი შეცდომების აღიარება დღის წესრიგიდან არ ხსნის საკითხს მემარჯვენე ოპორტუნიზმთან—თეორიასა და პრაქტიკაში—ბრძოლის შესახებ (ადს).

ხაბაროვსკი, 30 ნოემბერი. შორეულ აღმოსავლეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ ერთხმად მოიწონა საკ. კომპარტიის (ბ) ცაკის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები. ბიურო მოუწოდებს შორეულ აღმოსავლეთის ორგანიზაციას განაგრძონ მასებში მემარჯვენე გადახრის გამოაშკარავება და ბრძოლა მასთან (ადს).

ლენინგრადი, 30 ნოემბერი. მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნების პარტკოლექტივების პლენუმები კმაყოფილებით აღნიშნავენ ამხ. ბუხარინის, რიკოვის და ტომსკის მიერ თავის ოპორტუნისტულ შეცდომების აღიარებას და მოითხოვენ მათგან პრაქტიკული მუშაობით და მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლით დაამტკიცონ თავიანთი განცხადების გულწრფელობა. (ადს).

პარტიის ხაზის სადარაჯოზე

ზუგდიდი, 29 ნოემბერი. (ჩვენი კორესპონდენტისაგან). დამთავრდა ზუგდიდის პირველი რაიპარტკონფერენცია, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ჟვანიას და შარიას მოხსენებები საკ. კ. პ. (ბ) ცკას ნოემბრის პლენუმის შედეგებსა და თვითკრიტიკის განვითარების საკითხზე.

მიღებული დადგენილებით „კონფერენცია ერთსულოვნად იწონებს ცკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ მიუხედავად მემარჯვენე ოპორტუნისტების მტკიცებისა, ხუთწლედის პირველი წლის შედეგები სავსებით ამტკიცებს პარტიის გენერალურ ხაზის სისწორეს. მუშების, ღარიბ და საშუალო გლეხობის უდიდესი აქტიობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, პროლეტარული თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, სასოფლო მეურნეობის მასიური კოლექტივიზაცია იმის თავდებია, რომ სოციალისტურ მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა ვადაზე ადრე იქნება შესრულებული".

კონფერენცია იწონებს ცკას გადაწყვეტილებას მემარჯვენეთა ჯგუფის ანტიპარტიულ მუშაობის შესახებ და მოითხოვს შემდეგშიაც გაძლიერებული ბრძოლა იქნას წარმოებული მემარჯვენე ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოხატულებასთან.

ა. კოდუა.

კრედიტით მოსამსახურეები სარგებლობენ

(წერილი ჩოხატაურიდან)

ჩოხატაურის (ოზურგეთის მაზრა) სას. სამ. საკ. ამხანაგობამ მიმდინარე წლის მარტის პირველ რიცხვებში საკმაო თანხა მიიღო სიმინდის ნათესების კონტრაქტაციისათვის. მაგრამ ამხანაგობის გამგეობამ, იმის მაგივრად, რომ მიღებული თანხა დანიშნულებისამებრ განაწილებინა, ის სხვა საქმეზე დახარჯა და კონტრაქტაციის ჩატარება დაიწყო მაშინ, როცა თესვა თავდებოდა. დირექტივის მიხედვით კოლექტიურ მეურნეობებს უნდა მისცემოდათ ჰექტარ ნათესზე 10 მან. 50 კაპ. კერძოებს—8 მანეთი. საკრედიტო ამხანაგობამ კი ყველას ჰექტარზე ოთხ-ოთხი მანეთი მისცა.

კიდევ უფრო მეტ დამახინჯებას ჰქონდა ადგილი სესხის გაცემის დროს. სესხი გაიტანეს ისეთ პირებმა, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ სოფ. მეურნეობასთან და შეძლებულნიც არიან. ვასახელებთ ზოგიერთ მათგანს.

ზამბახიძე ვარდენ—ჩოხატაურის სამომხმარებლო კოოპერაციის კულტმუშაკი, ღებულობს თვეში 120 მან., წაღებული აქვს სესხად —215 მანეთი;

კიკვაძე მაკარი—სურების სამომხმარებლო კოოპერაციის თავმჯდომარე, ღებულობს თვეში 125 მანეთამდე, წაღებული აქვს სესხად 575 მანეთი;

ჩიგოგიძე იპატე—სოფლის კავშირის ინსტრუქტორი, საკრ. ამხანაგობის ყოფილი თავმჯდომარე, ღებულობს თვეში 180 მან. წაღებული აქვს სესხად 187 მანეთი;

გოგოლაძე ირაკლი—ჩოხატაურის სამომ. კოოპერაციის მოსამსახურე, ღებულობს თვეში 80 მანეთამდე, წაღებული აქვს სესხად 135 მანეთი.

შარაშიძე მიხაკო—ჩოხატაურის სახალხო სახლის თავმჯდომარე, ღებულობს თვეში 120 მანეთს, წაღებული აქვს სესხად 191 მანეთი;

ცინცაძე ზაქრო—მოსამსახურე, ღებულობს თვეში 60 მან., წაღებული აქვს სესხად 114 მანეთი.

მარი უჟენი—მოსამსახურე, ღებულობს თვეში 115 მანეთს, წაღებული აქვს სესხად 120 მანეთი.

ასეთი ფაქტების მოყვანა ათობით შეიძლება, მაგრამ იმის საილუსტრაციოთ, რომ სესხი არ არის განაწილებული დანიშნულებისამებრ, ზემოთ მოყვანილიც საკმარისია.

აქედან აშკარაა პარტიის უმაღლეს ორგანოების დირექტივების დამახინჯების შემთხვევები. სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა იმის მაგივრად, რომ სესხი მისცეს კოლმეურნეობებს და ღარიბ გლეხობას, აძლევს ისეთ პირებს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სოფლის მეურნეობასთან.

ფარცხმელი.

ბამბის კულტურის განვითარების პერსპექტივები თბილისის ოლქში

თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია

თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმმა მოისმინა მოხსენება მებამბეობის მდგომარეობის შესახებ თბილისის ოლქში და იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც მიღებულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამიერ- კავკასიის სამხარეო კომიტეტის, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ დირექტივების განსახორციელებლად, რომელნიც ეხებიან მებამბეობის განვითარებას. პლენუმს საჭიროდ მიაჩნია:

1. თბილისის ოლქში ბამბის ნათესი სივრცის გაფართოების საკონტროლო ციფრი ხუთწლიანი გეგმით განისაზღვროს 20.000 ჰექტარით (ბორჩალოში 14.000 ჰექტარი, ყარაიაში—6.000 ჰექტარი), ხოლო 1929—30 წლისათვის —11.500 ჰექტარით (ბორჩალოში—8.000 ჰექტარი, ყარაიაში—3.500 ჰექტარი).

2. ბამბის ნათესის საკონტროლო ციფრების რეალიზაციის მიზნით აუცილებლად ჩაითვალოს მუშაობის ჩატარება ბორჩალოს რაიონის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციისათვის, აგრეთვე მუშაობის დაჩქარება ხრამ-ალგეთის სისტემის რეკონსტრუქციისათვის იმ ანგარიშით, რომ ეს უკანასკნელი აუცილებლად დამთავრდეს არა უგვიანეს 1932 წლის თესვის დაწყებისათვის. ყარაიას სისტემაში საჭიროდ ჩაითვალოს აუცილებელ სამუშაოთა ჩატარება მე-2 და მე-3 რიგის განმანაწილებელთა გასაკეთებლად. ხუთწლედის უკანასკნელ წლისათვის, ყარაიის ველის მოსარწყავად მძლავრი წყალსაქაჩის დადგმის საშუალებით, აგრეთვე მუშაობის ჩატარება სათავის ნაგებობათა, კერძოდ მიმწოდებელი არხის გასამაგრებლად.

უმნიშვნელოვანეს პირობად აღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარებისათვის ჩაითვალოს სქემებისა და პროექტების დაჩქარებული წესით შედგენა და დამტკიცება, აგრეთვე დასახულ სამუშაოთა გასატარებლად საჭირო კრედიტების თავის დროზე გაცემა. 1929—30 წლის საკონტროლო ციფრების უზრუნველსაყოფად საჭიროდ ჩაითვალოს სათანადო კრედიტების გაცემა.

3. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს უზრუნველჰყოს წყალთა მეურნეობის სამუშაოებისათვის საშენი მასალის და მებამბეობის რაიონებში სარწყავი არხების გაყვანაზე მომუშავე მუშებისათვის საკმაო სურსათ-სანოვაგის მიწოდება.

4. საკონტროლო ციფრის რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე ბამბის ნათესი სივრცის შემდგომი გაფართოების უზრუნველსაყოფად საჭიროდ ჩაითვალოს სათანადო ღონისძიებათა გატარება იმ კულტურების განსადევნად, რომელნიც კონკურენციას უწევენ ბამბას; ამ მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს საჩქარო ღონისძიებათა მიღება იმისათვის, რომ ხუთწლიანი გეგმის თანახმად დამუშავებულ იქნას სარწყავი, ბამბის დასათესად გამოსადეგი ნაკვეთები, კერძოდ სათიბები, —როგორც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, ისე გლეხთა ნაკვეთები ყარაიას და ბორჩალოს რაიონებში.

5. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ საქართველოს მებამბეობის კომიტეტმა ბორჩალოს რაიონში მოაწყოს მებამბეობის საბჭოთა მეურნეობა არა უმცირეს 1500—1700 ჰექტარისა, გიაურარხის საბჭოთა მეურნეობის დამატებით მორწყული მიწების და საფონდო ნაკვეთების ხარჯზე. საქართველოს მებამბეობის კომიტეტმა სასწრაფო წესით უნდა დაამუშაოს ეს საკითხი და წარმოუდგინოს თბილისის საოლქო კომიტეტს.

6. საჭიროდ ჩაითვალოს თესლბრუნვაში ბამბის შეტანა და უზრუნველყოფილ იქნას ბამბის ნათესი სივრცის მაქსიმალურად გადიდება ყარაიას საცდელ სადგურში და საბჭოთა მეურნეობაში, კულარის და სადახლოს საბჭოთა მეურნეობებში (ბორჩალო). ყარაიას საცდელმა სადგურმა უნდა უზრუნველჰყოს აუცილებელ სამუშაოთა ჩატარება თესლბრუნვის შესასწავლად, აგრეთვე ჰიდრომოდულიარულ სამუშაოთა ჩატარება, რისთვისაც საჭიროდ უნდა ჩაითვალოს ამ სამუშაოთა უზრუნველყოფა სათანადო სახსრებით.

7. თბილისის ოლქში ბამბის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს სხვადასხვა ღონისძიებათა გატარება მოსავლიანობის გასადიდებლად საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე (მასიური მუშაობის გაშლა მოსავლიანობის გადიდებისათვის მიღებულ ღონისძიებების ირგვლივ, სასოფლო და სარაიონო აგრომინიმუმების შემუშავება, თესვის კამპანიის სასოფლო გეგმების შედგენა, აგრორწმუნებულების გამოყოფა ყველა სოფლებში, საქართველოს მებამბეობის კომიტეტისათვის ხელის შეწყობა კომპლექსურ აგრონომიულ ღონისძიებათა და სახული გეგმის განხორციელებაში და სხვ.). დაევალოს საქართველოს მებამბეობის კომიტეტს და სოფლის კავშირს გაადიდონ კომპლექსურ აგროღონისძიებათა გეგმა ყარაიაში 1.500 ჰექტამდე, ეს სივრცე უნდა ნოყიერდებოდეს მინერალური სასუქით, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ნაკელით.

8. დაევალოს საქართველოს მებამბეობის კომიტეტს „სოფლის კავშირთან", მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან და კოლმეურნეობათა ცენტრთან ერთად სასწრაფო წესით შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებანი ბორჩალოს რაიონში სატრაქტორო სადგურისა და ყარაიაში სატრაქტორო კოლონის მოსაწყობად.

9. კოლმეურნეობათა თბილისის საოლქო კავშირმა ორი კვირის ვადაში უნდა წარმოადგინოს თავისი ღონისძიებანი მებამბეობის რაიონებში მეურნეობათა კოლექტივიზაციისათვის და ეს ღონისძიებანი შეათანხმოს ცენტრალური კომიტეტის დირექტივასთან ყარაიას რაიონის მთლიანი კოლექტივიზაციის შესახებ.

10. „სოფლის კავშირი" დაუყოვნებლივ შეუდგეს საუბნო ამხანაგობათა შედგენას მებამბეობის რაიონებში, დაამთავროს ეს მუშაობა არა უგვიანეს 1 იანვრისა და შეიმუშაოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ ბამბის მეურნეობა მთლიანად ჩაბმულ იქნას კოოპერაციაში 1929—30 წლის დამლევისათვის.

11. „სოფლის კავშირმა" და საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ დააჩქარონ ღონისძიებათა დამუშავება სამელიორაციო ამხანაგობათა მუშაობის გაცხოველებისათვის. ეს მუშაობა უზრუნველყოფილ იქნას სათანადო პარტხელმძღვანელობით.

12. თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებამ თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილებასთან, თბილისის პოლიტგანათლების სამმართველოსთან და სხვა სათანადო ორგანიზაციებთან ერთად ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს თავიანთი ღონისძიებანი მებამბეობის რაიონებში მუშაკთა კადრების მომზადებისა და ბამბის მეურნეთა შორის სააგიტაციო- საპროპაგანდო, მასიური პოლიტსაგანმანათლებლო და კულტურულ მუშაობის გაშლის საკითხის შესახებ.

13. დაევალოს სოფლად მუშაობის განყოფილებას, სათანადო ორგანიზაციებთან ერთად, სასწრაფო წესით დაამუშაოს ყარაიის და კაკაბეთის რაიონებში ბამბის ნათესის გაფართოების, მებამბეობის რაიონის მუშა-საქონლით (ცხენებით) და დაქირავებული მუშა-ხელით უზრუნველყოფა, ბამბის მეურნეთა რეგისტრაციის და მიწათმოწყობის სამუშაოთა ჩატარების საკითხები.

14. განხორციელებულ იქნას ხელმძღვანელ ორგანოთა დირექტივა რაიონული ალმასკომების ბიუჯეტში წყლის გამოსაღებიდან და მებამბეობის ორგანიზაციების სათანაბრო გამოსაღებიდან ანარიცხების შეტანის შესახებ.

15. დაევალოს სოფლად მუშაობის განყოფილებას თბილისის ალმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილებასთან და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად სასწრაფო წესით გამოიკვლიოს ყარაიას სატყეო მეურნეობა და შედეგები წარმოუდგინონ თბილისის საოლქო კომიტეტს.

16. ყველა აღნიშნული ღონისძიების უზრუნველსაყოფად საჭიროდ ჩაითვალოს პარტიულ, საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვ. ორგანიზაციების მთელი მუშაობის სისტემის გადაქმნა მებამბეობის რაიონებში. ეს ორგანიზაციები განმტკიცებულ იქნან მუშაკებით და მათი მუშაობის პირველი რიგის ამოცანად ჩაითვალოს მებამბეობის პროდუქციის გადიდება.

17. ჩატარებულ იქნას ბამბის ორკვირეული და ამ მიზნით მოხდეს მუშაკთა სათანადო მობილიზაცია.

18. დაევალოს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს სოფლის კავშირთან, [illegible] და თბილისის ალმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილებასთან ერთად შეისწავლოს ოლქის სხვა რაიონებში ბამბის დათესვის შესაძლებლობანი.

19. დაევალოს სოფლად მუშაობის განყოფილებას სისტემატიური კონტროლი გაუწიოს აღნიშნულ დირექტივების შესრულებას.

განუწყვეტელი წარმოება
პირველი შედეგები

საქ. სამთო-ქიმიურ მრეწველობაში, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის შედეგად, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება

ვინ გადავიდა განუწყვეტელ კვირაზე

ფაბრიკა-ქარხნების, საწარმოების, სკოლების, საავადმყოფოების და სხვა დაწესებულებების გადასვლას განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე ხელმძღვანელობს მთავრობის განსაკუთრებული კომისია, რომელსაც გამოაქვს თავისი დადგენილება ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებების გადაყვანის შესახებ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. კომისიის დადგენილებას საფუძვლად ედება ის მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც ჩატარდა ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის ირგვლივ. განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის პირველ ხანებში შემჩნეული იყო ერთგვარი გაურკვევლობა ამ საკითხში. მაგრამ, თანდათან შემჩნეული დეფექტები გამოსწორდა და ეხლა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

როგორ შეხვდნენ მუშათა ფართო მასები განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლას? ის ცნობები, რომლებიც მოდის საწარმოებიდან, ამბობენ, რომ მუშები ხალისით უჭერენ მხარს განუწყვეტელ საწარმოო კვირას. არის ერთგვარი უკმაყოფილება მუშებს შორის (ლითონტრესტის საწარმოებში), რომელიც გამოწვეულია იმით, რომ გადასვლა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე მიმდინარეობს ძალიან ნელის ტემპით. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა განუწყვეტელი საწარმოო კვირის წინააღმდეგ გალაშქრებისა სარწმუნოებრივი მოსაზრებით, არც ერთ მუშას არ დაუჭერია მხარი ძველი, შვიდდღიანი კვირისათვის. 25 ივლისიდან დღევანდლამდე განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილია შემდეგი მშენებლობანი: ნატახტარის წყალსადენის, ლითონის ქარხნის (თბილისში), სამხედრო უწყების სახლების, აღმასკომის სახლების, ავლაბრის თეატრის, ფოსტა-ტელეგრაფის უწყების სახლების, პურის ქარხნის, სამთო-ქიმიური ფაკულტეტის სახლის, ეროლოგიური ინსტიტუტის შენობის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელოსნოების საამშენებლო სამუშაოები და სხვ.

რიონჰესის სამუშაოები განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანილია ნაწილობრივ.

მუშაობის დაწყებისთანავე განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილი იქნება შემდეგი სამუშაოები:

ოზურგეთის ჩაის ფაბრიკა, ფერო-მარგანეცის ქარხანა, გურჯაანის სპირტის სადგური, ბათომის ნავთსადენი, შავიზღვის რკინის გზა (სენაკი-ზუგდიდი) და ქაღალდის ქარხანა „ინგური“.

იმ საწარმოებიდან, რომლებიც ამზადებენ საამშენებლო მასალას, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილია ჯერ-ჯერობით კირის ქარხნები. თბილისის აღმასკომის აგურის ქარხნები გადავიდნენ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე პირველ დეკემბრიდან. მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანილი იქნებიან სენაკის, ცხინვალის, შორაპნის და სამტრედიის აგურის ქარხნები.

საქართველოს სამთო-ქიმიური მრეწველობა თითქმის მთლიანად გადასულია განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. ჭიათურის მაღაროები და ქარხნები პირველ ნოემბრიდან ნაწილობრივ გადაყვანილი იქნენ განუწყვეტელ კვირაზე. მათი გადაყვანა განუწყვეტელ კვირაზე გაგრძელდება დეკემბერშიც.

სატყეო მრეწველობიდან განუწყვეტელ კვირაზე ნაწილობრივ გადაყვანილია ტყელისის და თბილისის ავეჯეულობის ქარხნები. სხვა წარმოებების გადაყვანა გრძელდება.

არ არიან გადაყვანილი განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე ლითონის წარმოება, შუშის ქარხნები, ტყავ-ტრესტის საწარმოები და პოლიგრაფ-წარმოება. მათი გადასვლა განუწყვეტელ კვირაზე განზრახულია მიმდინარე სამეურნეო წელში.

კოოპერატიული ორგანიზაციებიდან გადაყვანილია განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე ცეკავშირი, მუშკოოპი, „საქ. სახკავშრობა“, სამხედრო კოოპერაცია. სატრანსპორტო კოოპერაცია გადაყვანილია განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე ნაწილობრივ. თბილისის სამკურნალო დაწესებულებები გადავიდნენ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე პირველ ნოემბრიდან. პროვინციის სამკურნალო დაწესებულებები განუწყვეტელ კვირაზე გადავლენ თანდათანობით.

განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის შედეგები დადებითია, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის მთლიანად შეჯამებული ეს შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ აქ საჭიროა გამოკვლევა და წვრილებითი აღნუსხვა. ამ საკითხში დაშვებულია დიდი უყურადღებობა.

სამთო-ქიმიურ მრეწველობაში უკვე შემჩნეულია არა მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდა, არამედ წარმოების თვითღირებულების შემცირებაც.

წარმოებების განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლას არ გამოუწვევია მუშა-ხელის გადიდება. დამატებითი მუშა-ხელი მიღებულია მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით.

იმ საწარმოებმა, რომლებიც მდებარეობენ სოფლებთან ახლო, მუშების რიცხვი შეავსეს ადგილობრივ გლეხობიდან. რაც შეეხება ინჟინერ-ტექნიკურ ძალებს, მათი რიცხვი საწარმოებში არ გადიდებულა. არ გადიდებულა აგრეთვე მოსამსახურეთა რიცხვიც.

განუწყვეტელი კვირა რკინის გზაზე

ამიერ-კავკასიის რკინის გზა ნაწილობრივ უკვე გადავიდა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. განუწყვეტელი კვირა შემოღებულია გამგეობის მთელ აპარატში. ეხლა სწარმოებს ხაზების სამეურნეო ერთეულების გადაყვანა მუშაობის ამ სისტემაზე.

მაგრამ ირკვევა, რომ სატრანსპორტო მეურნეობის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანის საქმეში ადგილი აქვს ზოგიერთ დეფექტებს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ტრანსპორტის განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანის საკითხი. გამოირკვა, რომ გზის გამგეობა არ ასრულებს რკინის გზელთა ცეკას და გზათა კომისარიატის დირექტივას ამ საკითხში. გამგეობას აქამდე არ გამოუყვია გამგეობის წევრი და პასუხისმგებელი პირები გზის წარმოება-დაწესებულებების განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანასთან დაკავშირებულ მუშაობის საწარმოებლად. ამასთანავე გზის გამგეობას აქამდე არ შეუმუშავებია გზის წარმოება-დაწესებულებების განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანის საერთო გეგმა და არ მიუღია ზომები საჭირო მასალების მოსამარაგებლად.

საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა გზის გამგეობას გამოჰყოს სპეციალური მუშაკები, რომლებიც ჩაატარებენ როგორც წარმოებებში, ისე ხაზებზე განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებულ მუშაობას.

გამგეობასვე მიცემული აქვს წინადადება დააჩქაროს რკინის გზის წარმოება-დაწესებულებების განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანა.

საგზაო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას მიცემული აქვს წინადადება რკინის გზელთა შორის ჩაატაროს შესაფერისი მუშაობა განუწყვეტელი საწარმოო კვირის მიზნების პოპულარიზაციისათვის.

განუწყვეტელ კვირაზე გადასვლა გორის ოლქში

გორში. როგორც წარმოებები, ისე საბჭოთა და პროფორგანიზაციათა დაწესებულებები პირველ ნოემბრიდან გადავიდნენ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. წარმოებებში ადგილი ჰქონდა დამახინჯებასაც. მაგ. გორის საკონსერვო ქარხანაში ზოგიერთი დარგის მუშები მართლაც განუწყვეტლად მუშაობდნენ. ეს იცოდა პროფკავშირებმა და შრომის ინსპექტორმაც, მაგრამ დროზე არ მიიღეს ზომები.

საბჭოთა დაწესებულებებში თითქმის ყველა სიძნელეები გადალახული იქნა. განუწყვეტელ კვირაზე გადასვლა მოხდა შტატის გადიდების გარეშე, მხოლოდ ჯერ კიდევ მოსაგვარებელია მემანქანების და დარაჯების საკითხი.

დაწესებულებებში ნახევარი საათის დასვენების საკითხი არ არის მოგვარებული. იქ სადაც ისვენებენ, ეს დასვენება არ არის რაციონალური. თანამშრომლები რიგრიგობით ისვენებენ და, მათ საქმეს კი არავის ანდობენ. საჭირო ხდება კლიენტების ცდა ნახევარ საათის განმავლობაში. ზოგან არ ისვენებენ და სამაგიეროდ მუშაობას ამთავრებენ ნახ. საათით ადრე. საჭიროა დასვენების საკითხი მოაგვაროს პროფკავშირმა.

ძ. მ.

სოც. შეჯიბრება

მუშათა კლუბები სოც. შეჯიბრებაში

რიონჰესის მუშებმა განაახლეს სამეურნეო-პოლიტიკური ხელშეკრულებები

სტალინის სახ. შემკეთებელ ქარხანაში არ არის გამოყენებული საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი მანქანები

ხელი შეუწყოთ მუშათა შემოქმედებითი უნარიანობის გაძლიერებას

მუშათა შემოქმედებითი უნარიანობის გაძლიერება წარმოების რაციონალიზაციაში, ერთი, მთავარი და აუცილებელი პირობათაგანია სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესასრულებლად და ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა თავდება მუშათა თვითმოქმედების გაძლიერებისა. ამ მხრივ ჩვენ საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს. მუშა-გამომგონებელთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. გამოგონებათა ცხოვრებაში გატარებით მიღებული ეკონომია საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად გამომგონებლობის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს, რომელიც ხელს უშლის მუშა-გამომგონებლობის ფართოდ გაშლას და წარმოების რაციონალიზაციას. მთავარი ნაკლი მუშათა გამოგონების საქმეში ის არის, რომ ჯერ კიდევ არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული გამომგონ მუშათა შორის მუშაობა. ადგილობრივი სამეურნეო და პროფესიონალური ორგანოები ვერ უწევენ დამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას მუშა-გამომგონებლებს, ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალები არ უწევენ დახმარებას გამომგონ მუშებს და არ აძლევენ მათ ახსნა-განმარტებებს ტექნიკურ საკითხებზე.

ასეთი მდგომარეობაა ახალდაბის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში, სადაც ადმინისტრაციამ და პროფორგანომ არავითარი ყურადღება არ მიაქცია გამომგონ მუშას. რკინის გზის საგზაო გამოგონებათა ბიუროში, გარდა იმისა, რომ ძალიან გვიანდება გამოგონებათა განხილვა, ხშირად იკარგება კიდეც გამოგონებები. ასევე ხდება ბევრ სხვა წარმოება-დაწესებულებაშიც. ის ფაქტი, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული წრე, რომელშიც გაერთიანებული უნდა იყვნენ ყველა გამომგონებლები და სადაც უნდა სწარმოებდეს გამომგონი მუშების ტექნიკური მომზადება და მათი კვალიფიკაციის აწევა, ამტკიცებს იმას, რომ გამომგონ მუშათა შორის მუშაობა მთელ რიგ ადგილებზე ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ეს გარემოება, რასაკვირველია, ხელს უშლის გამომგონებელთა შორის ტექნიკურ უცოდინარობის მოსპობას და მათი კვალიფიკაციის აწევას.

პროფკავშირის ძირითად ორგანოებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი ხელმძღვანელობა გამომგონებლობაზე, ადგილებზე, საწარმოო თათბირების ხელმძღვანელობით უნდა ჩამოყალიბდეს გამომგონ მუშათა წრე, სადაც დროგამოშვებით უნდა სწარმოებდეს მეცადინეობა ტექნიკურ საკითხებზე. ასეთი საშუალებით პროფორგანოებმა გამომგონებლობა უნდა გადააქციონ მუშათა მასიურ მოძრაობად. საწარმოო თათბირებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ მუშათა არც ერთი წინადადება არ დარჩეს უყურადღებოთ და განუხორციელებელი.

უნდა მოგვარდეს აგრეთვე გამოგონებათა განხორციელებით მიღებული შედეგების აღრიცხვის საქმეც. დღემდე ან სულ არ სწარმოებს შედეგების აღრიცხვა და თუ სწარმოებს, არადამაკმაყოფილებლად. თბილისის დეპოში უკვე კარგა ხანია გატარებულია ცხოვრებაში რამოდენიმე გამოგონება, მაგრამ ადმინისტრაციას დღემდე არ გამოურკვევია ამ გამოგონების გატარების შედეგები. გამომგონებლობისადმი ასეთი მოპყრობა დიდი დანაშაულია. ადმინისტრაციამ სისტემატიურად უნდა აწარმოოს გამოგონებეთა ცხოვრებაში გატარების შედეგების აღრიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოგონებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

მუშა-გამომგონებელთა შორის გამათვითცნობიერებელი მუშაობა აუცილებელი პირობაა გამომგონთა ტექნიკურ უცოდინარობის მოსასპობათ და სოც. შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად. ეს ოდნავადაც არ უნდა დაივიწყონ ადგილობრივ პროფორგანოებმა.

X.

სამეურნეო-პოლიტიკურ ხელშეკრულებების განახლება

(ქუთაისი)

წინასწარ, სანამ სამეურნეო-პოლიტიკური ხელშეკრულებების შემოწმებას შეუდგებოდა საოლქო საამშენებლო კავშირი, რიონჰესის სამუშაოებზე მოწვეულ იქნა ბრიგადების და საწარმოო კომისიების კონფერენცია, სადაც გაშუქდა შემოწმების ძირითადი საკითხები, აქვე იქნა გამოყოფილი საკონტროლო კომისია.

შემმოწმებელი ბრიგადების მიერ გამოკვლეულ და შეჯამებული მასალა დასამუშავებლად გადაეცა საკ. კომისიას.

26 ნოემბერს რიონჰესში ჩატარდა მეორე კონფერენცია, სადაც მოსმენილ იქნა მოხსენება რიონჰესის ადმინისტრაციის და საკონტროლო კომისიის თანამოხსენება. მოხსენებამ გამოამჟღავნა მთელი რიგი დეფექტები უთაურობისა, უგეგმობისა და სხვ.

ამჟამად მიმდინარეობს ხელშეკრულების ხელახალი დადება. მსხვილ საწარმოო ერთეულებში ხელშეკრულებები უკვე დადებულია. ჩამოყალიბებულია დამკვრელი ბრიგადების 7 ცვლა. უკანასკნელი აერთიანებს 210 კაცს. მუშაობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

შეჯიბრება მუშათა კლუბებს შორის

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია პლეხანოვის სახელობის, ტრამვაის, მელითონეთა და ახალი მუშათა კლუბები. აღნიშნულ კლუბებთან სათანადო ხელშეკრულების დასადებათ, გამგეობამ გამოჰყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: წილოსანი, მაჭავარიანი, ალავიძე, მასიენკო, კეკელია, ნერუმსკაია და დოლიძე. ხელშეკრულებაში შევა უმთავრესად კულტურული მუშაობის საკითხები. ვფიქრობთ ამით გაუმჯობესდება საკლუბო მუშაობა.

მუშკორი.

რა ზრდის ავეჯეულობის თვითღირებულებას

მუშკოოპს თბილისში აქვს ავეჯეულის ორი მაღაზია, რომლებიც წლიურად რამდენიმე ათეული ათასი მანეთი უჯდება. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ლოგინების სპეციალური მაღაზია. არც ერთი მათგანი კი არ არის დატვირთული მუშაობით.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ავეჯეულის გაყიდვა შესაძლებელია უმთავრესად ნისიათ. ამისათვის კი სრულებითაც არ არის საჭირო რამდენიმე მაღაზიის არსებობა, ბევრად უფრო რაციონალური იქნება, თუ ეს საქმე ერთ მაღაზიაში გაერთიანდება. ამას სხვათა შორის ადასტურებს შემდეგი: სანამ საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი ავეჯეულის ნისიათ გაცემას შემოიღებდა, მას ორი მაღაზია ჰქონდა, ნისიის შემოღების შემდეგ კი მან ერთი მაღაზია დახურა, და დატოვებული მაღაზიაც შეამცირა, მაგრამ სამაგიეროდ გააფართოვა საწყობები. მუშკოოპმა უნდა იქონიოს საწყობები რამდენიმე რაიონში, როგორიცაა: ავლაბარი, ლენინის უბანი. ეს საჭიროა საქონლის მომხმარებელთან დასაახლოვებლად და იმისთვისაც, რომ ცენტრიდან ამ რაიონში ავეჯის ცალობით გადატანა მომხმარებელს ძვირი არ დაუჯდეს.

ციფრები გვიჩვენებენ, რომ მუშკოოპის ახლანდელი სამი მაღაზიის ბრუნვა მხოლოდ იმის ნახევარს უდრის, რაც საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის ავეჯეულის ერთ მაღაზიას ჰქონდა.

ესეც არ იყოს, მიუხედავად იმისა, რომ მუშკოოპი ნისიას თავისი ორი მაღაზიიდან აძლევს, მაინც ორივე მაღაზიაში შემჩნეულია გაუსაღებელი საქონლის დაგროვების შემთხვევა, რაც ძალიან მძიმე შედეგს გამოიღებს. საქართ. სატყეო მრეწველობის ტრესტის გაუსაღებელი თვიური საქონლის რაოდენობა არასოდეს არ ასცილებია 20.000 მანეთს, ამჟამად კი მუშკოოპის თვიური ნაშთი ასეულ ათასს აღემატება. ეს იმის შედეგია, რომ ავეჯეულის საქმეს უძღვება ისეთი ხალხი, რომლებმაც არ იციან ამ დარგში მუშაობა. ავეჯის საქმის არამცოდნე პირებმა მომხმარებელთა თვალში დასცეს მუშკოოპის კომერციული პრესტიჟი.

გარდა ამისა მუშკოოპში გაცილებით მეტი ღირს ავეჯი, ვიდრე ეს იყო საქართველოს სატყეო ტრესტში.

ჩვენ არ ვთვლით გასამართლებელ საბუთად იმას, რომ რუსეთიდან შემოტანილი ავეჯეული უფრო ძვირი ღირს. ფასები იმიტომ არის გადიდებული, რომ მუშკოოპის მაღაზიების შტატი მეტად ტვირთავს ავეჯის ფასს.

დროა მუშკოოპმა დაუყოვნებლივ გააერთიანოს ერთ ცენტრში ნისიის გაცემის საქმე. ეს წლიურად მოგვცემს რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ეკონომიას და ყოველმხრივ გააჯანსაღებს ნისიის გაცემას.

საქართველოს სატყეო მეურნეობის ტრესტმა თავის მხრივ რაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა შეამციროს ავეჯეულის ფასები და დაიყვანოს იმ რაოდენობამდე, რომელიც მაღაზიის მუშკოოპის ხელში გადასვლამდე არსებობდა.

იდუმალი.

მანქანები არ არის გამოყენებული

(სტალინის სახელობის შემკეთებელი ქარხანა)

ა.-კ. რკ. გზების გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა მოხსენება სტალინის სახელობის ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის ნახევარი წლის მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ქარხნის მუშაობა. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება და შემცირდა მოძრავ შემადგენლობის შეკეთების დრო.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

პროდუქციის ღირებულების შემდგომი შემცირებისა და საწარმოო პროცესების კიდევ უფრო მოწესრიგებისათვის, გზის გამგეობამ წინადადება მისცა ქარხნის ადმინისტრაციას მოაგვაროს ქარხნის ტექნიკურ და ფინანსიურ დარგში მომუშავე მუშაკთა შტატის საკითხი.

ამასთან ერთად გზის გამგეობამ ქარხნის ადმინისტრაციის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ აქამდე იგი საკმარისად ვერ იყენებს საზღვარგარეთიდან შემოტანილ მოწყობილობებს. ქარხნის ადმინისტრაციას მიცემული აქვს წინადადება გამოიყენოს პირველ რიგში ეს მოწყობილობები.

ლითონის დნობის საქმე გაზით და ელექტრონით გაფართოებული უნდა იქნეს. მექანიკური ცეხის ლითონის სადნობი განყოფილება გამოიყოფა ცალკე ცეხის სახით.

ქარხანასთან არსდება მოკლევადიანი კურსები ცეხის მონგარიშეებისა და ბუხჰალტერების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მიღებულია აგრეთვე ზომები ცეხთა შორის მასალების გადაზიდვის საქმის მოსაწესრიგებლად.

ქარხნის აპარატში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელსაც დავალებული აქვს თვალყური ადევნოს საწარმოო კომისიებში და თათბირებში წამოყენებულ წინადადებების ცხოვრებაში გატარებას.

ტ. ნი.

ფართოდ ჩაებათ შეჯიბრებაში

წინასწარი სამზადისი სოც. შეჯიბრების შედეგების შესამოწმებლად ხაშურში დამაკმაყოფილებლათ ჩატარდა. ეს საკითხი დამუშავდა საუბნო ადგილკომების თათბირზე, კულტმუშაკთა თათბირზე, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე და სხვა. თათბირების მიერ გამოყოფილ ბრიგადების მუშაობაც ნაყოფიერი იყო.

ლიანდაგის დარგში შეჯიბრებამ დიდი ნაყოფი გამოიღო. შპალის ცვლაზე მოცემული იყო 58 კ. შეჯიბრებით უნდა გაიაფებულიყო 8 კაპეიკით, მაგრამ გაიაფდა 40 კაპეიკამდე საშუალოდ. სულ გამოიცვალა 25.000 შპალი, რომელმაც მოგება მოგვცა 4.500 მანეთამდე. ეს აიხსნება ლიანდაგის დარგის მუშების ინტენსიური მუშაობით.

საკავშირო ელექტრო-ტექნიკურ დარგში მუშაკთა შრომით მიღწეულ იქნა ხარჯების 20 პროც. შემცირება, აქ სამუშევრები ვადაზე ადრე იქნა მოთავებული, რამაც გამოიწვია ყოველგვარი ხარჯების შემოკლება.

შეჯიბრებაში ძალიან სუსტ მონაწილეობას ღებულობდა ადმინისტრაცია და საწარმოო თათბირები. მუშების მიერ შემოტანილი წინადადებები საწარმოო თათბირის საქმეებში რჩებოდა უყურადღებოთ. ზოგიერთ ადგილას დამკვრელი ბრიგადები არ ჩამოყალიბებულა, არ ყოფილა აგრეთვე ინდივიდუალური შეჯიბრებები. ინჟინერ-ტექნიკოსთა სექციამ და საწარმოო თათბირებში არ არჩიოდა უმაღლეს ორგანოების დირექტივები და დადგენილებები ამ საკითხზე. გამომგონებლობის საქმე არ იყო წესიერად დაყენებული. ზოგან იარაღების ნაკლებობა და მასალის უქონლობა მუშაობას აფერხებდა და სხ.

ამჟამად სწარმოებს ახალ ხელშეკრულების დადება. დეფექტები, რომლებიც აფერხებენ სოც. შეჯიბრების წარმატებით ჩატარებას, შესწავლილ უნდა იქნეს, რომ მომავალში უფრო ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება ინჟინერ-ტექნიკოსებმაც უნდა კარგად გაითვალისწინონ სოც. შეჯიბრების მნიშვნელობა და თავისი ნაკლი გამოასწორონ.

დ. ფარემუზოვი.

რა ხდება ადგილებზე

საჩვენებელი პროცესი

სოხუმი, 30 ნოემბერი. (საკ. კორ). დეკემბრის პირველ რიცხვებში გუდაუთის და გაგრის მაზრების რამდენიმე სოფელში მოეწყობა საჩვენებელი პროცესები აფხაზურ ენაზე. გლეხების ფართო მონაწილეობით სესია გაარჩევს სხვადასხვა საქმეებს მიწის ყიდვა-გაყიდვის, სისხლის აღების და ყოფაცხოვრებითი ბოროტმოქმედებების შესახებ.

აპარატის წმენდა

სოხუმი, 30 ნოემბერი. (საკუთარი კორესპ.) დამთავრდა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წმენდა. რამდენიმე განყოფილებაში აღმოჩენილ იქნა უთაურობა, პერიფერიიდან მოწყვეტა, ბიუროკრატიზმი, შტატებში უცხო ელემენტების გაპარვა, მუშათა ინტერესებისადმი უყურადღებობა. დაიწყო მილიციისა და ფინსახკომის წმენდა.

კოლმეურნეობათა გამოკვლევა

სოხუმი, 30 ნოემბერი. (საკ. კორ.) კოლმეურნეობათა ცენტრი შეუდგა კოლმეურნეობათა ფართო გამოკვლევას, გამოკვლევა უნდა დამთავრდეს დეკემბრის პირველ რიცხვებში.

თესვის კამპანია

სოხუმი, 30 ნოემბერი. (საკ. კორ.) შემოდგომის თესვის კამპანიაში დათესილ იქნა 3.122 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია მხოლოდ 43 პროცენტით, რაც აიხსნება თამბაქოს და სიმინდის დაგვიანებული აკრეფით, მიღებულია 450 ტონა სათესლე მასალა.

ინფორმაციის მუშაკთა თათბირი

29 ნოემბერს ა.-კ. პროფსაბჭოსთან გაიხსნა ამიერ-კავკასიის პროფკავშირების ინფორმაციის მუშაკთა მეორე თათბირი.

თათბირმა მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან, საიდანაც გამოირკვა, რომ საინფორმაციო მუშაობა პროფკავშირებში, მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, რომელიც მოხდა უკანასკნელ ხანებში საქართველოსა და აზერბეიჯანში, ჯერ კიდევ ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი საინფორმაციო მუშაობის გასაცხოველებლად; აღნიშნულ ღონისძიებებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საინფორმაციო მუშაობის გაუმჯობესების საკითხს, აღნიშნულ მუშაობაში უფასო ინფორმატორების ჩაბმას ადგილებზე არჩეულ პროფაქტივიდან, სპეციალურ საინფორმაციო აპარატების მოწყობას მსხვილ პროფორგანიზაციებთან და სხვ.

თათბირი გურჯაანში

სას.-სამ. კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ

გურჯაანში შესდგა საოლქო თათბირი სას.-სამ. კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ. თათბირზე მონაწილეობა მიიღეს კახეთის ოლქის სას.-სამ. საკრედიტო და მევენახეთა და მეთამბაქოეთა სპეციალურ ამხანაგობების, საოლქო პარტკომის, საოლქო აღმასკომის, რაიაღმასკომების, სას.-სამ. ბანკის და „სოფლის კავშირის“ წარმომადგენლებმა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციისა და მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა „სოფლის კავშირი“-ს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ქურდაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სას.-სამ. კოოპერაცია საქართველოში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში უკანასკნელ ხანამდე ატარებდა უნივერსალურ ხასიათს და ვითარდებოდა საქონლის მიწოდება-გასაღების საფუძველზე.

ამის გამო სათანადო ყურადღება არ ექცეოდა სპეციალური დარგების განვითარებას. საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და გამოიტანა დადგენილება სას.-სამ. კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ.

ამ დადგენილების მიხედვით იცვლება სას.-სამ. კოოპერაციის არა მარტო ფორმები, არამედ მუშაობის მეთოდებიც და შინაარსი. მომავალში სას.-სამ. კოოპერაციამ უნდა შეაკავშიროს გლეხობის საწარმოო პროცესები და თავისი საქმიანობა ისე უნდა წაიყვანოს, რომ მას შედეგად მოყვეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

ამ მიზნის განსახორციელებლად სას.-სამ. კოოპერაციის ქსელი კიდევ უფრო უნდა დაუახლოვოთ მოსახლეობას. ამასთანავე გაძლიერებული უნდა იქნას მუშაობა სპეციალ დარგებში, როგორიც არის მესაქონლეობა, მემინდვრეობა, მევენახეობა, მეთამბაქოება და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამხანაგობები მოეწყობა სპეციალური დარგების მიხედვით. ამხანაგობებში შემოღებული იქნება დიფერენციალური საპაიო გადასახადი: მოჯამაგირეთათვის 5 მან., ღარიბ გლეხებისათვის 10 მან., ნორმალური სას.-სამ. გადასახადით დაბეგრილთათვის 25 მან. და დანარჩენ მეურნეობათათვის 45 მან.

სას.-სამ. კოოპერაციის ქსელის რაციონალიზაციისა და მუშაობის გაადვილების მიზნით რაიონებში ჩამოყალიბდება სპეციალური რაიონული კავშირები, რომლებიც შეაკავშირებენ ძირითად ამხანაგობებს. რაიონული კავშირები კი შეკავშირებული იქნებიან რესპუბლიკანურ სპეციალურ ცენტრებში. რესპუბლიკანურ სპეციალურ ცენტრების სახელმძღვანელოდ დაარსდება ხელმძღვანელი ორგანო „კავშირთა-კავშირი“.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. თათბირმა მოიწონა „სოფლის კავშირი“-ს მიერ შემუშავებულ რეორგანიზაციის გეგმა. კახეთის ოლქში სას.-სამ. კოოპერაციის რეორგანიზაციის სახელმძღვანელოდ გამოყოფილია საოლქო კომისია—საოლქო პარტკომის, საოლქო აღმასკომის, „სოფლის კავშირი“-ს და სას.-სამ. ბანკის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

გლეხკომების გადარჩევისათვის

აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საოლქო და სამაზრო აღმასკომებს.

ა.-წ. დეკემბერში მთელ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში უნდა მოხდეს გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა კომიტეტების ხელახალი არჩევნები.

გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებანი, როგორც ამხკართა ან ღარიბ და საშუალო გლეხთა მასიური ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ საურთიერთო დახმარების ამოცანებს, აქტიურად უნდა უწყობდნენ ხელს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის პოლიტიკას, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს სოფლად, საზოგადოებრივი თვითმოქმედების განვითარების ნიადაგზე.

იმ მიზნით, რომ გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა აღმასრულებელი ორგანოების მომავალი არჩევნები გამოყენებული იქნეს ამ საზოგადოებათა მუშაობის გაუმჯობესებისა და გაცხოველებისათვის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი გავალებთ შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას:

1. გლეხკომების ხელახალი არჩევნები უნდა გადაიქცეს მასიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიად, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სოფლის მშრომელთა ფართო მასები, პირველ რიგში — ამხკარები და ღარიბები, რისთვისაც ღარიბთა კრებებზე წინასწარ განხილული უნდა იქნეს გლეხკომების მუშაობის პრაქტიკული საკითხები, აგრეთვე თვით საარჩევნო კამპანიის ჩატარების საკითხები.

2. რათა გლეხობის ფართო მასები დაინტერესებულ იქნენ გლეხკომების მუშაობით და საქმიანი კრიტიკით მიუდგნენ მათ ანგარიშების განხილვას, არჩევნების წინ ჩატარებულ უნდა იქნეს საანგარიშო კამპანია, და ამ კამპანიის ჩატარების დროს გლეხკომების ანგარიშებთან ერთად აუცილებლად უნდა მოსმენილ იქნეს სარევიზიო კომისიების მოხსენებები.

3. ანგარიშების განხილვის დროს სოფლის საზოგადოებრიობის მთავარი ყურადღება მიპყრობილი უნდა ჰქონდეს გლეხთა საურთიერთო დახმარების ორგანოების მუშაობის ძირითად საკითხებს, როგორიც არის: მასიური კოლექტივიზაციისათვის და ღარიბ და საშუალო მეურნეობათა კოოპერატიულად გაერთიანებისათვის ხელის შეწყობა, სამეურნეო-საწარმოო მოქმედების განვითარება, მიწის საზოგადოებრივი დამუშავების შემოღება, სათესლე ფონდების შექმნა, მოსავლიანობის გადიდებისათვის ზრუნვა, დახმარების აღმოჩენა სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიების განხორციელებით, სასოფლო - სამეურნეო მანქანებისა და საერთოდ საწარმოო საშუალებათა მიწოდებით ღარიბ და მცირემიწიან მეურნეობათათვის, განსაკუთრებით სამოქალაქო ომის ინვალიდებისათვის, ფრონტზე დაღუპულთა ოჯახებისათვის, წითელი პარტიზანებისათვის და წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახებისათვის.

4. გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა საანგარიშო კრებებზე, აგრეთვე გაშუქებული და შემოწმებული უნდა იქნეს სოციალისტურ შეჯიბრების მსვლელობა და შედეგები, ხოლო იქ, სადაც ასეთი შეჯიბრება მოწყობილი არ ყოფილა, საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე უნდა ისმებოდეს საკითხი გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა სოციალისტურ შეჯიბრებაზე გამოწვევის შესახებ და განხილულ იქნას შეჯიბრების ხელშეკრულების პროექტები.

5. ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოთ და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ გლეხკომებს საარჩევნო კამპანიის გატარების დროს (საარჩევნო კომისიების ორგანიზაცია, მატერიალური საშუალების მიცემით და სხვ.) აგრეთვე საჭირო განმარტება მისცეთ ქვემდგომ აღმასრულებელ კომიტეტებს საარჩევნო კამპანიის ყველა საკითხების შესახებ.

6. უნდა მოისმინოთ და განიხილოთ აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების სხდომებზე სათანადო გლეხკომების მოხსენებები და მათი წარსული მუშაობის შესახებ, აგრეთვე განიხილოთ გლეხკომების ხელახალი არჩევნების გეგმა და გეგმა მათი მომავალი მუშაობისა.

7. იმ ადგილებში, სადაც გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებები ჯერ არ არსებობენ, სასოფლო საბჭოებმა და რაიონულმა აღმასკომებმა მიზნად უნდა დაისახონ მათი მოწყობა, იმისათვის, რომ არც ერთი სოფელი არ დარჩეს ამ საზოგადოებათა მოქმედების გარეშე.

8. გლეხთა საურთიერთო დახმარების ორგანოებში შეყვანილ უნდა იქნენ პირველ რიგში ამხკარები და ღარიბი გლეხები, რომელთაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ მუშაობაში, კოლმეურნეობათა მუშაკები, ყოფილი წითელარმიელები, კომკავშირელები, აგრეთვე საშუალო გლეხობის აქტიური წარმომადგენლები. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ გლეხკომების შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ამხკარი - ქალები და ღარიბი გლეხი - ქალები.

ლები

9. გლეხკომების ხელახალი არჩევნების გასატარებლად საოლქო და სამაზრო აღმასკომებთან და სასოფლო საბჭოებთან დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს საარჩევნო კომისიები, რომლებშიაც შევლენ გლეხკომების, პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციების, აღმასკომებისა და საბჭოების, პროფორგანიზაციების (მიწატყის კავშირი), ქალთა დელეგატებისა, ღარიბ გლეხთა ჯგუფებისა და კოოპერაციის წარმომადგენლები.

10. გლეხკომების საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და შედეგების შესახებ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს პერიოდულად უნდა წარმოუდგინოთ სათანადო ინფორმაცია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

ახალი დანიშვნები

ა.-კ. ცაკის დადგენილებით, ამხ. მ. გუსეინოვი განთავისუფლებულია ა.-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარის თანამდებობიდან და დანიშნულია ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მუდმივ მოადგილეთ.

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისრათ დანიშნულია ამხ. ე. გენკინი.

ა.-კ. ცაკის დადგენილებით ამხ. გ. ყურულაშვილი დანიშნულია ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეთ.

ამხ. ალ. იაშვილი განთავისუფლებულია ა.-კ. შრომის სახალხო კომისარის თანამდებობიდან. ა.-კ. შრომის სახ. კომისრათ დანიშნულია ამხ. ი. რაგიმოვი.

ამხ. ა. ერზინკიანი დანიშნულია ა.-კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრათ.

ა.-კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დაარსება

სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად შემუშავებულ ძირითად ღონისძიებების განხორციელების და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში საერთო ფედერატიულ ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით, ა.-კ. ცაკმა დაადგინა დაარსებული იქნეს ა.-კ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი.

ა.-კ. სახკომსაბჭოს წინადადება მიეცა ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაოს ა.-კ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის დებულება და დასამტკიცებლად წარუდგინოს იგი ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმს.

დაშავებულთა დამხმარე კომიტეტის სხდომა

გუშინ ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა დაშავებულთა დამხმარე კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის აღმასკომების ჯანმრთელობათა განყოფილებების გამგეთა მოხსენებები ხსენებულ მაზრებში პელაგრასთან ბრძოლის შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ცივი ამინდების დადგომის გამო პელაგრის სენი საგრძნობლად შენელდა. მომხსენებლებმა (ექიმებმა) ამასთანავე აღნიშნეს, რომ ამ სენის შენელება ზამთარში ჩვეულებრივი მოვლენაა და რომ გაზაფხულზე მოსალოდნელია პელაგრის ისევ გაძლიერება. ამის გამო აუცილებელია გამაფრთხილებელი ზომების მიღება და მოსახლეობის კვების გაძლიერება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, რომ ზამთრის განმავლობაში გაძლიერებული იქნეს პელაგრით დაავადებულთა მკურნალობა (საავადმყოფოებში), რა მიზნითაც გაფართოებული უნდა იქნას ადგილობრივი საავადმყოფოები. ამ მიზნით დაშავებულთა დამხმარე კომიტეტმა ხსენებულ მაზრების (ოზურგეთი, სენაკი და ზუგდიდი) აღმასკომების ჯანმრთელობის განყოფილებებს გადასცა თითოს 5.000 მანეთი.

დაშავებულთა დამხმარე კომიტეტის მუშაობის გეგმიანობის დაცვის მიზნით პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო კომიტეტთან გამოყოფილ იქნან საფინანსო, სამკურნალო და სასურსათო სექციები. ხსენებულ სექციების დებულების შემუშავება დაევალა კომიტეტის მდივანს ამხ. ალ. კაჭარავას.

ქრონიკა

კრუპის ფირმის წინადადებანი

თბილისში ჩამოვიდნენ კრუპის ფირმის წარმომადგენლები ინჟ. მ. ჰოფმანი და ინჟ. კონნი, რომლებიც მოწვეული არიან ჭიათურაში მარგანეცის ცენტრალური სარეცხი ქარხნის პროექტის შესადგენად.

გუშინ ინჟ. ჰოფმანმა ინახულა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წარმომადგენლები და სამთო ტრესტის გამგე, რომელთაც მან ფირმის სახელით წინადადება მისცა საქართველოში განზრახული ზოგიერთი საამშენებლო სამუშაოების შესრულებაში კრუპის ფირმის მონაწილეობის შესახებ. კერძოდ კრუპის ფირმის წარმომადგენელმა ითხოვა გადასცენ ფირმას შესასრულებლად რიონჰესის ზოგიერთი სამუშაოები და სამთო ტრესტის ხაზით განზრახული ახალი წარმოებების აგების საქმე.

ფირმის წარმომადგენლები იძლევიან პირობას, რომ ისინი მათთვის მინდობილ სამუშაოებს შეასრულებენ ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების თანახმად და ყველა იმ ტექნიკურ პირობების დაცვით, რომელთაც მათ დაუნიშნავს ს. მ. უ. საბჭო.

კრუპის წარმომადგენლებთან დაწყებული მოლაპარაკება დამთავრდება ამ დღეებში.

მემინდვრეობა-მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა

მიწადმოქმედების განყოფილებამ გადასწყვიტა შირაქში მოაწყოს მემინდვრეობა-მეცხვარეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა, რისთვისაც გადადებულია 1.300.000 მანეთი.

შინამრეწველ-სარეწაო კოოპ. კავშირის წმენდა

საშინამრეწველო-სარეწაო კოოპერატიული კავშირის საორგანიზაციო განყოფილების დადგენილებით კავშირის რიგებიდან გამორიცხული არიან შემდეგი ფოტოგრაფები:

კოვანი, მჟოიანი, მანუჩაროვი, ნაზაროვი, ალანაკიანი, ავასი ალანაკიანი, სოკოლოვი, არტაშ მჟოიანი, სიმონიანცი, ბახჩიანი, არამიანი და კაზარიანი.

კავშირში მიღებაზე უარი ეთქვა აგრეთვე ფოტოგრაფ კოზაკს და ევანიას.

ბრძოლა მავნებლებთან

საქ. თავდაცვა ავიაქიმთან გაიხსნა მავნებლებთან ბრძოლის კურსები.

თბილისის შრომის ბირჟამ აღნიშნულ კურსებზე გაგზავნა 30 უმუშევარი.

სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

◆ **აკადემიური წმენდა.** დამთავრდა სტუდენტთა აკადემიური წმენდა. აკადემიური ჩამორჩენილების გამო გამოირიცხა 230 სტუდენტი.

◆ **განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკა,** ინსტიტუტის გამგეობამ განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის საკითხის შესასწავლად მოსკოვში მიავლინა პროფ. პიტკევიჩი.

◆ **სოც. შეჯიბრი.** სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი სოც. შეჯიბრში გამოიწვია თბილისის სახ. უნივერსიტეტმა.

◆ **სტიპენდიანტთა წმენდა.** ამ დღეებში დაიწყება სტიპენდიანტ-სტუდენტთა წმენდა.

სხვადასხვა

— კვირას, დეკემბრის 1, საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) მოწვეულია მეცნიერების მუშაკთა საჯარო კრება: დღის წესრიგი: პროფ. შ. ნუცუბიძის მოხსენება—სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია და სოციალისტური შეჯიბრება; პროფ. ახვლედიანის მოხსენება: მეცნიერ. მუშაკთა სექციის მორიგი ამოცანები; ამხ. ბოლოტნიკოვის მოხსენება უკრაინაში აღმოჩენილი კონტრ-რევოლუციონური შეთქმულებისა და საკავშირო სამეცნიერო აკადემიაში პოლიტიკური საბუთების გადამალვის შესახებ.

— დღეს, შუადღის 12 საათზე ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკის აუდიტორიაში შესდგება ქირურგ. კლინიკების დოსტაქართა კონფერენციის წლიური საანგარიშო სხდომა. დღის წესრიგი: ექ. ნ. ჯანდიერი—ოპერაციის შემდგომი ტრომბოფლებიტები. ავადმყოფების დემონსტრაცია. ექ. ქ. ვეფხვაძე—კონფერენციების მუშაობის (1927—1929 წლ.) მოკლე ანგარიში და ანკეტის შედეგები. არჩევნები.

— საქ. სახელმწ. პოლიტ. ინსტიტუტის ს.-ტ. ს. ელექტრო სექციაში, კვირას, 1 დეკემბერს, ინჟ. ყირქესალიშვილი და ინჟ. მაჭავარიანი წაიკითხავენ მოხსენებას თემაზე: „სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია“ მოხსენება შესდგება პირველ აუდიტ. საღამოს 7 საათზე.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ „გრძნობათა შეთქმულება“. 1 დეკემბერს თბილისის მუშათა თეატრში წავა პრემიერა „გრძნობათა შეთქმულება“—ი. ოლეშისა. დადგმა ა. გრიპიჩის, მხატვარი გ. მილერი. მუსიკა—ს. პანიევის.

◆ „ჩიკაგო“ თბილისის მუშათა თეატრის ახალი შემადგენლობის სამხატვრო-პოლიტიკური საბჭოს პირველ სხდომაზე წაკითხული და დასადგმელად მიღებული იქნა უიტკინსის პიესა—„ჩიკაგო“ (უცხოეთის თანამედროვე დრამატურგიის ციკლიდან). პიესა ხატავს ამერიკული საზოგადოების მორალურ და სოციალურ გახრწნას. ამავე სახელწოდების კინოფილმის წინააღმდეგ პიესა იძლევა კაპიტალისტური სახელმწიფოს აპარატის უფრო ღრმა სოციალურ და ფსიქოლოგიურ ანალიზს.

◆ კვირას, 1 დეკემბერს, ხელოვნების სახლში საბჭოთა მწერლების ფედერაციის საჯარო სხდომაზე ამხ. ლეონიძე წაიკითხავს მოხსენებას „საათნავა“ (ახალი ბიოგრაფიული ცნობები წყაროების მიხედვით). დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე. შესვლა თავისუფალია.

— დღეს, 1 დეკემბერს, საღამოს სრულ 5 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის საერთო კრება.

ჯანმრთელობის დაცვის საქმე

საქართველოს სამრეწველო რაიონებში

მძიმე ინდუსტრიის რაიონებში, რომლებიც უმთავრესად დასავლეთ საქართველოში (ჭიათურა, ტყიბული, ბათომი და ტყვარჩელი) მდებარეობენ, მუშა-მოსამსახურეთა საექიმო დახმარების საქმე ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. იმ დროს, როდესაც სოციალისტური მშენებლობა აღნიშნულ რაიონებში განსაზღვრულ ეფექტს იძლევა და მისი ზრდის ტემპი ხუთწლედის პირველსავე წლებში არ ჩამორჩება მთელი კავშირის ინდუსტრიის ზრდის ტემპს, ჯანმრთელობის დაცვის საქმე საგრძნობლად არის ჩამორჩენილი.

მრეწველობის ხუთწლიანი გეგმით, ხუთწლედის დამლევისათვის მუშათა რიცხვი 12.700-დან 33.000-მდე უნდა ავიდეს და თუ აქტიურად დაზღვეულ მუშათა ზრდის მაჩვენებელ ამ რიცხვს გავამრავლებთ ოჯახის სამ წევრზე ხუთწლედის დამლევისათვის მივიღებთ 100 ათას სულს დაზღვეულ მოსახლეობას. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ სერიოზულ საქმეს და სამრეწველო რაიონებში გააცხოველონ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობა იმ ვარაუდით, რომ პირველ რიგში დახმარება აღმოუჩინონ სოციალიზმის მშენებელთ.

საექიმო დახმარება სამრეწველო რაიონებში უნდა მოეწყოს შემდეგი სახით: ა) პროფილაქტიური— პირველი საექიმო დახმარების მიმწოდებელი პუნქტების ქსელის შექმნა საწარმოებში, ბ) სამკურნალო—სტაციონალური, წამლობა და აგრეთვე გ) მთელი არსებული სამკურნალო ქსელის მუშაობა სამრეწველო ტრავმატიზმთან და მის შედეგებთან საბრძოლველად.

პირველი საექიმო დახმარების პუნქტები, თანახმად არსებული დებულებისა, უნდა მოეწყოს იმ შემთხვევაში, როდესაც მანძილი მახლობელი საექიმო დაწესებულებიდან უდრის ნახევარი კილომეტრიდან ერთ კილომეტრამდე, ზოგჯერ კი —თვით საწარმოს ტერიტორიაზეც, როგორც, მაგალითად, სამთო მრეწველობაში. პირველი დახმარების პუნქტთა ქსელის გაშლა საქართველოს სამრეწველო რაიონებში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ამ მიზნისათვის არ იდება საჭირო თანხა ადგილობრივი ბიუჯეტით, აგრეთვე დაზღვეულთა საექიმო დახმარების ფონდიდან. ასეთსავე მოვლენას ვხედავთ რუსეთის ს. ფ. ს. რ. და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. იმ მოხსენებიდან, რომელიც ამხ. გისკინოვმა ტრავმატიზმთან ბრძოლის სრულიად რუსეთის თათბირზე გააკეთა, სჩანს, რომ საექიმო დახმარების ფონდში გადადებული სახსრები კლებულობს, ხოლო დაზღვეულთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება. ეს იწვევს საექიმო დახმარების ღი- [illegible] გში—პირველი საექიმო დახმარების პუნქტების ქსელის განვითარების შეფერხებას. ამიტომ უნდა შეიცვალოს სისტემა ფინანსების მიწოდებისა, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით, ისე საექიმო დახმარების ფონდისთვის; ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს სასტიკად სტაბილური, იგი უნდა იზრდებოდეს ისეთი პროცენტული შეფარდებით, როგორც ამას ჩვენი ინდუსტრიის ზრდის ტემპი მოითხოვს.

უნდა გადაისინჯოს აგრეთვე პუნქტის საექიმო პერსონალის მუშაობის მძიმე პირობები, რასაც შტატის სიმცირე ჰქმნის; უნდა შეიქმნას ისეთი ნორმალური მდგომარეობა, რომელიც საჭიროა საექიმო პერსონალის ნაყოფიერი მუშაობისათვის. უნდა გადაისინჯოს საექიმო პერსონალის ხელფასი პერსონალის ფაქტიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

აი მხოლოდ ამ პირობებში იქნება შესაძლებელი მოეთხოვოს პუნქტის საექიმო პერსონალს მუშათა საექიმო მოთხოვნილების მთელი ასი პროცენტით დაკმაყოფილება. ამ შემთხვევაში საექიმო დახმარებაც ნამდვილ ეფექტს მოგვცემს.

ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში პირველი დახმარების პუნქტების ხელმძღვანელობა ანუ, უკეთ, რომ ვსთქვათ, შეფობა იკისრეს პროფესიონალურ დაავადებათა ინსტიტუტებმა. სწარმოებს მთელი რიგი მეტად საინტერესო მუშაობა ტრავმატიზმის მიზეზთა შესასწავლად; წამლობა ხდება პროფესიონალურ დაავადებათა ინსტიტუტის მიერ გამომუშავებული სპეციალური მეთოდებით. საჭიროა და უყოვნებლივ გააღრმაოს ეს მუშაობა ჩვენმა პროფდაავადებათა ინსტიტუტმაც. ამ უკანასკნელმა უნდა იკისროს სამრეწველო საწარმოებში და არასამრეწველო რაიონებში არსებული პირველი დახმარების პუნქტების მთელი მოქმედების ხელმძღვანელობა და ჩააბან ამ მუშაობაში ჯანსახკომის სოციალურ დაავადებათა ინსტიტუტიც.

ამ საქმისათვის გადადებული თანხების სიმცირის გამო, სამეურნეო ორგანოებმა და სამრეწველო ხასიათის ახალმა საწარმოებმა თავიანთ გეგმებში უნდა გაითვალისწინონ პირველი საექიმო დახმარების პუნქტების მოწყობა. საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში ეს უკვე რეალურად ტარდება ცხოვრებაში, მაშინ, როდესაც ჩვენში, საქართველოში, მაზე არავინ ფიქრობს და, თუ რამე კეთდება, ისიც დიდი დაბრკოლებების შემდეგ.

რაც შეეხება საავადმყოფო-სტაციონალურ მკურნალობას, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ ადგილებში არც ამ მხრივ არსებობს საკმაოდ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა: არ არის საწოლების საკმაო რიცხვი მუშა მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად, არ არის მოწყობილობა, თეთრეული, საკმაოდ არ არის მოგვარებული ავადმყოფების მაღაროებიდან საავადმყოფოში გადაყვანის საქმე, თვით საექიმო დახმარებაც არ არის საკმაოდ კვალიფიცური. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს მიწოდებული საექიმო დახმარების ღირსებაზე.

საავადმყოფოების მშენებლობას საერთოდ და კერძოდ კი სამრეწველო რაიონებში დიდ ხანს, თითქმის 1927 წლამდე, არ ჰქონდა გეგმიანი ხასიათი და მხოლოდ 1927—28 წლიდან ხდება ხარჯთ-აღრიცხვებში ამ მიზნისათვის განსაზღვრული თანხების გადადება.

ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს ამ საკითხისათვის ჯერ კიდევ არ მოუკიდიათ ხელი სერიოზულად: არ მოუხდენიათ საავადმყოფოების შენობების სათანადო აღრიცხვა, არც მათი ინვენტარიზაცია და არსად არ არის გათვალისწინებული საავადმყოფოების შესაკეთებელი სპეციალური თანხები, გაღება იმ მიზნით, რომ დაცულ იქნან ისინი დანგრევისაგან.

1927—28 წლიდან სამრეწველო რაიონებში გათვალისწინებული იყო საავადმყოფოების მშენებლობა— უნდა აეგოთ საავადმყოფოები 370 საწოლით, ფაქტიურად კი მოეწყო 135 საწოლი, ე. ი. გეგმა შესრულდა 36 პროცენტით. განზრახული იყო 2 პოლიკლინიკის აგება; აიგო ჯერ-ჯერობით ერთი პოლიკლინიკა და ერთი ამბულატორია, რომელთაც დღეში შეუძლიათ 500 და 200 ავადმყოფის გატარება.

ახალი და კაპიტალური მშენებლობისათვის ფინანსების მიწოდება ყველა ფონდებიდან შედარებით სუსტად სწარმოებს: სრულიად საკავშირო ფონდიდან 1927 წლიდან 1929 წლამდე გამოთხოვილი იყო 1.268.000 მანეთი, ხოლო გადადებულ იქნა 450.000 მანეთი, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 400.000 მანეთის გადადება, ფაქტიურად გადაიდო 121.442 მანეთი, ადგილობრივი ბიუჯეტით მთელს რესპუბლიკაში გამოთხოვილი იყო 1.500.000 მანეთი, ხოლო გადაიდო 868.000 მანეთი. ყველა ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ, რომ საავადმყოფოების მშენებლობისათვის საკმაო თანხები არ გადადებულა, რის გამოც მშენებლობაც შესაფერად არ გაშლილა.

შესაძლებელია არც ახლანდელი მუშაობა გამოდგეს გეგმიანი, ვინაიდან ჯანმრთელობის ორგანოები საავადმყოფოთა მშენებლობის გეგმას ხარჯთაღრიცხვების შედგენის მომენტში კი არ უნდა ამუშავებდნენ, არამედ ბევრად უფრო ადრე, რომ ყველა პროექტმა გაიაროს საჭირო ინსტანციები და ეს პროექტები შეფარდებოდნენ გადადებული თანხების რაოდენობას. ხშირად დიდი განსხვავებაა გადადებული თანხების რაოდენობასა და წარმოებულ სამუშაოებს შორის, რაც გავლენას ახდენს, როგორც მუშაობის შესრულებაზე, ისე მშენებლობის ხარისხზე. აი სად არის საჭირო მტკიცე დისციპლინა და სათანადო ორგანოების დაუღალავი ხელმძღვანელობა. ამიტომ შემდგომისათვის ჯანმრთელობის ორგანოებმა, საავადმყოფოების მშენებლობის მტკიცე გეგმიანობის დამყარების მიზნით, ადგილობრივ უნდა იქონიონ თავიანთი რაიონის საავადმყოფოთა მშენებლობის გეგმა, რომელიც წინასწარ შეთანხმებული იქნება სათანადო ხელმძღვანელ ორგანოებთან და შეტანილი საკუთარ ხუთწლედში; თავის დროზე უნდა შეეცადონ, რომ ამ მშენებლობისათვის საჭირო თანხები გადაიდოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან. დასასრულ, აქვე უნდა იყოს გათვალისწინებული თანხების ყოველწლიური გადადება კაპიტალური რემონტისათვის და სპეციალური საამორტიზაციო ფონდის შესაქმნელად.

ყველა ზემოხსენებულ მოვლენათა აღსაკვეთად ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი სასწრაფოდ იწყებს მთელი რესპუბლიკის საავადმყოფოთა მშენებლობის გაერთიანებას, თავის თავზე ღებულობს პასუხისმგებელ ხელმძღვანელობას და მის ნებადაურთველად ჯანმრთელობის არც ერთ ადგილობრივ ორგანოს არ მიეცემა საამშენებლო მუშაობის წარმოების უფლება.

ჭიათურაში, სადაც არის ჩვენი მძიმე ინდუსტრიის ძირითადი დარგი—შავი ქვა, საავადმყოფოთა მშენებლობაში იქაური საავადმყოფოს დაარსების შემდეგ, ე. ი. 1918 წლის შემდეგ, არ მომხდარა რაიმე თვალსაჩინო ცვლილება.

ახლა, როდესაც ჭიათურის მუშათა რიცხვმა 9.000 კაცს გადააჭარბა, აშკარაა, ამ საავადმყოფოს სრულებით არ შეუძლია მთელი მუშათა მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ამიტომ საჭიროა ახლავე შევუდგეთ საავადმყოფოს აგებას არა ნაკლებ 100 ქირურგიული და სხვა ავადმყოფისათვის. უკანასკნელი ხანების შევიწროებულ მდგომარეობას რამდენიმედ ამსუბუქებს საავადმყოფოს კორპუსის გაფართოება, რომელიც ჯანსახკომმა 1928—29 წელს მოახდინა; მან გახსნა პოლიკლინიკა, რომელსაც შეუძლია ხუთასი ამბულატორული ავადმყოფის გატარება, აგრეთვე გახსნა 40 ახალი საწოლი.

ახალი საავადმყოფოს აგების საქმე უზრუნველყოფილი იქნება, თუ პროფკავშირის ორგანოები, სოცდაზღვევის სამმართველო და სამეურნეო ორგანოები დაეხმარებიან ჯანმრთელობის კომისარიატს და მისცემენ მას საშუალებას გამონახოს საჭირო თანხები.

უაღრესად მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ახლავე შევუდგებოდით ჭიათურაში ახალი საავადმყოფო —ქალაქის ასაგები ადგილის დაგეგმვას ეგრედწოდებულ ლეჟავას უბნის მთის სამხრეთ ფერდობებზე, სადაც მთავარი მაღაროებია. ამას ძალიან დიდი თანხა დასჭირდება და მხოლოდ ჭიათურის მარგანეცის ტრესტს, შეუძლია აღმოუჩინოს ჯანმრთელობის ორგანოებს დახმარება, რათა მან განახორციელოს თავისი ამოცანა.

ამჟამად ჯანმრთელობის კომისარიატი ამუშავებს ქირურგიული საავადმყოფოს აგების სამ ვარიანტს, რომლებიც განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება სათანადო ორგანოებს და შემდეგ სრულიად საკავშირო ფონდიდან გამოთხოვილი იქნება საჭირო თანხა.

მარგანეცის ამოღების სამ მთავარ ადგილას არსებობენ პირველი დახმარების პუნქტები თითო ექიმით, რაც ტრავმატიზმის გახშირებასა და საექიმო პერსონალის შეუცვლელი მუშაობის პირობებში, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ადგილობრივ აღმასკომს განზრახვა აქვს გაადიდოს ამ პუნქტების საექიმო პერსონალის შტატი და გააუმჯობესოს ავადმყოფთა მთის ბილიკებით გადაყვანის საქმე.

მძიმე ინდუსტრიის მეორე უბანს, ტყიბულის ქვანახშირის რაიონს, ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად არ გააჩნდა საკმაოდ მოწესრიგებული საექიმო დახმარება და მხოლოდ წარსულ წელს საავადმყოფო გადავიდა დროებით სადგომში „სტრელკაზე“. ამჟამად მთავარი მაღაროებიდან 3 კილომეტრის მანძილზე ჯანსახკომი აგებს საავადმყოფოს, რომელიც მალე დამთავრდება. საავადმყოფოს ასაგები სახსრები გადადო სრულიად საკავშირო ფონდმა. საავადმყოფო ნავარაუდევია 60 სტაციონარული საწოლით, პოლიკლინიკით და ფიზიოთერაპევტიული კაბინეტით. იგი მთლიანად დააკმაყოფილებს ტყიბულის რაიონის მუშების და მათი ოჯახების წევრთა საექიმო მოთხოვნილებას.

ამ საავადმყოფოს დასამთავრებლად საჭიროა საკავშირო ფონდიდან გაღებულ იქნას თანხები დამხმარე შენობების ასაგებად და მოსაწყობად. ეს მხოლოდ ცენტრის დახმარებით შეიძლება განხორციელდეს. დროებითი საავადმყოფოს განთავისუფლებული შენობა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც პირველი დახმარების პუნქტი, რაც ტყიბულის მაღაროებს დღემდე არ მოეპოვება. დღემდე სამეურნეო ორგანოები, მაღლა მდგომ ორგანოთა სათანადო მითითების მიუხედავად, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მაღაროებთან პირველი საექიმო დახმარების პუნქტების მოწყობას.

აჭარისტანის ცენტრში— ბათომში, სადაც ნავთის სახდელი ქარხნების უდიდესი მშენებლობა მიმდინარეობს, საექიმო დახმარების მიწოდების საქმე სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. ამბულატორია, რომელიც ჭაობიან და ციებ-ცხელებიან ადგილას ხის ბოძებზეა აგებული, ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. საჭიროა მისი საფუძვლიანად გადაკეთება, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას ის თანხა, რომელიც საქართველოს ჯანსახკომმა აჭარისტანის ჯანსახკომს გადასცა. მაგრამ ეს ვერ გადასწყვეტს ძირითად საკითხს. ამჟამად ბათომის ტროპიკული სადგური შეუდგა იმ ადგილების შესწავლას, სადაც მუშათა ახალშენი ეწყობა, და რომელიც მალარიით დაავადების 95 პროცენტს იძლევა. სადგური წყალთა სამმართველოს ორგანოებთან ერთად უნდა შეუდგეს ამ ადგილების ამოშრობას.

აზნევთის სამეურნეო ორგანოებს რომ თავიანთი მშენებლობის ხუთწლიან გეგმაში გაეთვალისწინებიათ ახლად შექმნილი მუშათა უბნის საავადმყოფოების მშენებლობაც, ისინი უფრო სწრაფად გადასწყვეტდნენ მტკივნეულ საკითხს და ხელს შეუწყობდნენ ჯანმრთელობის ორგანოებს— მრეწველობის ამ უბანშიც შესრულებიათ თავიანთი საქმე. მათ უნდა გაკეთონ ეს, რადგან არავის არ შეუძლია ისეთი რეალური დახმარების მიწოდება, როგორც აზნევთს, რომელსაც სხვებზე მეტი საშუალება მოეპოვება ამისათვის. იმედია, აზნევთის სპეციალური კომისია ახლო მომავალში ჩამოვა „მუშათა ახალშენის“ და მასთან ერთად საავადმყოფოს ადგილის დასაგეგმავად.

დასასრულ ახლად წარმოშობილი მრეწველობის ერთი უბანიც— ტყვარჩელი. აქ ახლად დამთავრდა ამბულატორიის აგება და განზრახულია სოფელ ქვიზანში აშენდეს პოლიკლინიკა სტაციონარით, რაც პირველ ხანებში დააკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებას. რა თქმა უნდა, ეს არა კმარა და როგორც ჯანმრთელობის ორგანოები, ისე სხვა ორგანიზაციები ახლავე უნდა შეუდგნენ საავადმყოფოს ასაგები სახსრების გამოძებნას.

უყურადღებოდ რჩება ჯერ-ჯერობით აბრეშუმის საქსოვი მრეწველობა, რომელიც რამდენიმე ათას მუშას აერთიანებს ქუთაისის ოლქში და ოზურგეთის მაზრაში და რომელსაც სრულიად საკავშირო მნიშვნელობა აქვს. მათთვის სპეციალური საექიმო დაწესებულებები არ არსებობენ და ამასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რათა მომავალში გადადებულ იქნას საჭირო თანხები. ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ ჯანმრთელობის და სამეურნეო ორგანოებმა და ერთად შეუდგნენ აბრეშუმის მრეწველობის მუშათა შრომის გაჯანსაღებას.

დასასრულ, უნდა ვთქვათ, რომ ჯანმრთელობის კომისარიატში არსებული სტატისტიკური მასალები, რომლებიც სტაციონარული და ამბულატორიული დახმარების საქმეს შეეხებიან, გვიმტკიცებენ დაავადების პროცენტის მნიშვნელოვან ზრდას, მაშასადამე, მუშამოსახლეობის საექიმო მოთხოვნილების გადიდებას.

ჭიათურის რაიონში დაავადება გაიზარდა მუშების რიცხვის ზრდის და შავი ქვის მრეწველობის შრომის მძიმე და მავნე პირობების გამო. შავი ქვის მტვერი ხელს უწყობს ფილტვების დაავადების გართულებას. უკანასკნელი 3 წლის ცუდმა კვებამ აქ ერთგვარი გასაქანი მისცა პელაგრასაც. დასასრულ, აქ უკანასკნელ ხანებში გახშირდა მუცლის ტიფით დაავადებაც. ტყიბულის რაიონში ადგილი აქვს ყველა იმ დაავადებას, რაც დამახასიათებელია ჭიათურისთვის, ხოლო ბათომსა და ტყვარჩელში სჭარბობს მალარია— მთელი იქაური მუშა-მოსახლეობის ეს საშინელი მტერი, და პელაგრის გახშირებული შემთხვევები. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ ჯანმრთელობის ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოები უდიდესი ყურადღება მივაქციოთ სამკურნალო- სანიტარული დახმარების გაუმჯობესებას და საავადმყოფოთა და ამბულატორიათა ქსელის გადიდებას, ფართო საზოგადოებრივი წრეების ყურადღების მიქცევით და საავადმყოფოებისა და ამბულატორიების მშენებლობაში სამეურნეო ორგანოების მონაწილეობით ჩვენ შევძლებთ ახლო წლებშივე მივაღწიოთ განსაზღვრულ ეფექტს მედიკო-სანიტარულ საქმეში და ხელი შევუწყოთ საბჭოთა ხელისუფლების განახორციელოს იმ დიდი სამუშაოების პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმით ამ მეურნეობის ძირითად სექტორში— მრეწველობაში.

ი. ფრანგულიანი.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

ხელშეკრულებების დადება

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ხელშეკრულება დასდო სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკურ ტრესტთან, რომლის თანახმად ტრესტმა გზას უნდა ჩააბაროს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის საჭირო საკონტრაქტო მოწყობილობანი.

ამ მოწყობილობათა ჩაბარებასთან ერთად, სახელმწიფო ელექტროტეხნიკური ტრესტი მონაწილეობას მიიღებს საკონტაქტო ხაზის სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაში.

ხელშეკრულების თანახმად ტრესტმა გზას უნდა ჩააბაროს 700.000 მანეთის მოწყობილობა.

უღელტეხილის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვა

გზათა კომისარიატის ელექტროფიკაციის ბიუროს უფროსი ამხ. ბეზგრეშნოვი, რომელიც თბილისში ჩამოვიდა, დაწვრილებით გაეცნო სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოებს.

ამ სამუშაოების გაცნობასთან ერთად ამხ. ბეზგრეშნოვის მონაწილეობით ჩატარებულ იქნა თათბირი, რომელზედაც განიხილეს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები.

განხილულ იქნა იმ ცდების შედეგები, რომლებიც ჩატარდა უღელტეხილზე იმის გამოსარკვევად, თუ როგორი იქნას დაცული წყალსადენის მილები ნიადაგში გადასულ, მოხეტიალე ელექტრობისაგან.

ცდების პროცესში დაგროვილ მასალებთან გაცნობის შემდეგ თათბირმა საჭიროდ სცნო დამატებითი ცდების ჩატარება სპეციალური მოძრავი ელექტროსადგურით. ამის შესახებ ეცნობა გზათა კომისარიატს და მასვე ეთხოვა ა.-კ. რკინის გზაზე ამ სადგურის გადმოგზავნა.

თათბირზე წამოიჭრა საკითხი, რომ ელექტროფიკაციის შემდეგ საჭირო იქნება საკონტაქტო ხაზის შეკეთება და ამისათვის საჭიროა სპეციალური ავტომოტრისის შეძენა. ავტომოტრისი ივლის ხაზზე და აწარმოებს საკონტაქტო ხაზის შეკეთებას.

ელექტრომავლების დეპოში, რომლის აშენება გადაწყვეტილია ხაშურში, საჭიროდ არის ცნობილი საცდელ სადგურის მოწყობა — ყველა ელექტრომოწყობილობათა გამოსაცდელად.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საუღელტეხილო უბნის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფის საკითხს და უღელტეხილის საელექტროფიკაციო ბიუროს დაევალა მიაქციოს სერიოზული ყურადღება ზაჰეს - რიონჰესის სისტემიდან უღელტეხილის ენერგიით უზრუნველყოფის პროგრამის შესრულებას.

ამ საკითხს სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული იმის გამო, რომ ფერო - მარგანეცის ქარხანა, რომლის აშენება გადაწყვეტილია ზესტაფონში, ელექტროენერგიას მიიღებს იმავე ხაზით, რომლითაც საუღელტეხილო უბანი. ამის გამო იბადება კითხვა — ხომ არ შეუშლის ეს ხელს უღელტეხილისათვის საჭირო ენერგიის მიწოდებას? ეს საკითხი უნდა შეისწავლოს საელექტროფიკაციო ბიურომ და გამოარკვიოს ქარხნის უღელტეხილის ერთი ხაზით მუშაობის პირობები.

გარდა ამისა ამხ. ბეზგრეშნოვის მონაწილეობით შესდგა თათბირი ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, სადაც გადაწყდა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოების ხელშემწყობ კომიტეტის დაარსება.

ამასთან ერთად გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელიც იმუშავებს ა.-კ. რკინის გზის საუღელტეხილო და სხვა უბნების ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხის გამორკვევაზე, ე. ი. ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს უზრუნველყოფილი იქნება სურამის უღელტეხილი 1931 წლის შემოდგომისათვის (როდესაც განზრახულია ელექტრომავლებით ცდების დაწყება) ელექტროენერგიით.

სასამართლო

საზიზღარი მკვლელობა

ცოლი სონა გასპაროვის ასული ებრძოდა გაჭირვებას. ღებულობდა სარეცხებს მუშაობდა დღე და ღამე. ქმარი მელიქ მურადოვი იყო უმუშევარი. დღიურ სამუშაოს თუ იშოვიდა დროგამოშვებით, თორემ ოჯახის მთელი სიმძიმე სონას კისერზე იყო.

სარჩენი უამრავი. ჯერ წვრილი შვილები. გარდა შვილებისა—სონას ობოლი დები და სხ. მრავალი.

სონა მოეწყო დამლაგებლად პსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში. ჩარიცხეს შტატში. ქალი არ იშურებდა ზედმეტ საათებში მუშაობას, ოღონდ ცოტა რამე შემატებოდა ოჯახისათვის. სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ჩაუჯდებოდა სარეცხებს და გათენებამდი მუშაობდა.

ქმარი განებივრდა. შეეჩვია უსაქმურობას. მელიქის „ფუნქციას" მხოლოდ და მხოლოდ ის შეადგენდა, რომ „კონტროლი" გაეწია ცოლისათვის, რომ მას მისი შრომით შეძენილი არც ერთი კაპეიკი უყაირათოდ (!) არ დაეხარჯა.

ამ კანტროლმა მიიღო ყოვლად აუტანელი ხასიათი. ქმარი ყოველდღე ეჩხუბებოდა სონას იმის შესახებ, რომ მან მეტი აიღო ფული და ნაწილი გადამალა.

ცოლს მუშაობის გამო ხშირად უხდებოდა დაგვიანება. ეს კი ქმრისთვის საკმაო საბაბი იყო, რომ ათასგვარი შეურაცხყოფა მიეყენებია მისთვის. ცოლის დაგვიანებას ქმარი უკავშირებდა ფულის ფლანგვას და სხვებთან დროის ტარებას.

ნამდვილად კი სონა თავს იკლავდა მუშაობას. ამან მის ჯანმრთელობასაც კვალი დააჩნია, დაავადმყოფდა.

მიუხედავად ავადმყოფობისა და მიუხედავად იმისა, რომ შეღავათიც შესთავაზეს სამსახურში, სონამ თავი არ დაანება მუშაობას.

მელიქი ითხოვდა ფულებს. თუ რატომ არ ჰქონდა მეტი ფული მის ცოლს, ამის განხილვა მისთვის არ იყო სავალდებულო.

ერთ დღეს ძალაგამოცლილი ქალი ჩვეულებრივ დაბრუნდა სახლში. სადილის ჭამაც ვეღარ შესძლო სისუსტის გამო.

ქალი წამოწვა ლოგინზე. ქმარმა მაშინვე ფულზე ჩამოუგდო ლაპარაკი. სონა უკაპეიკოდ იყო იმ დღეს და სათანადო პასუხი მისცა ქმარს.

ის იყო სონას უნდა წასძინებოდა, რომ ქმარი მელიქი წაეპარა და გრძელი ბებუთი მაგრად ჩასცა მუცელში. დაჭრილი ქალი წამოვარდა ზეზე და გაიქცა. ბნელს დერეფანში. მურადოვი ისევ დაეწია ცოლს და რამდენიმე ღრმა ჭრილობა მიაყენა სხეულზე.

ქალი მოკვდა. მკვლელი დაპატიმრებულია. საქმე ამ დღეებში გაირჩევა.

ვერ.

რკინისგზებზე

მუშათა დაწინაურება

— „ზაკტპო"-ს ინსტრუქტორის თანამდებობაზე საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა დააწინაურა სადგ. ჭიათურის ადგილკომის მდივანი მუშა ამხ. მოდებაძე.

— „ზაკტპო"-ს საგეგმო საკონტროლო განყოფილების კონტროლიორის თანამდებობაზე დაწინაურებულ იქნა სტალინის სახელობის ქარხნის მუშა-ხარატი ამხ. ათაბეგოვი.

გამოწვევა შეჯიბრებაში

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მოსკოვ—ყაზანის რკინის გზების საგზაო კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის საგზაო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა შეჯიბრების პირობების შემუშავება.

შემთხვევები

ქაპანაკჩის სასოფლო საბჭოს მდივნის ამხ. ასკარ-ალი-ზადეს დაჭრა

21 ნოემბერს, საღამოს ვიღაც ბოროტმოქმედმა რევოლვერით დასჭრა სოფ. კაპანაკჩის (თბილისის ოლქი) სასოფლო-საბჭოს მდივანი —ამხ. ასკარ ალი-ზადე. გუშინწინ ლიუქსემბურგის მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა ხსენებული საბჭოს ყოფილი მდივანი—აბას სოიუნ-ოღლი.

ქათმის ქურდები

დაპატიმრებულია ბაქირ რაგიმ-ოღლი და იგან აგარ-ოღლი, რომლებიც სისტემატიურად იპარავდნენ ქათმებს.

1000 მანეთის მოპარვა

გუშინ, დღისით, საბინაო კავშირის ინკასატორ ვლადიმერ ოკუნევს საქ. კოოპ. ბანკში ფულის თვლის დროს ვიღაც ბოროტმოქმედმა მოჰპარა 1000 მანეთი და მიიმალა.

ქურდობა

გაქურდეს ვერთან გევონდიანის [illegible] (ალავერდის შესახ. № 7)—წაიღეს 1000 [illegible] ის საოჯახო ნივთები,— მიხეილ კობიძის [illegible] ინიდან (ორჯონიკიძის ქ. № 23) მოიპარეს 280 მანეთის ნივთები;— გრიგოლ არტემისძე მირგელოვს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 157 მანეთი.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) ხ. წუცუბიძის (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ა. შათირიშვილის (ქუთაისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი სამ სვლაში

პარტია № 80 (ლაზიერის პაიკთა დებიუტი)

გათამაშებულია მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრების მეოთხე ტურში, თბილისში, 24 ნოემბერს 1929 წ.

თეთრები: ე. იცკოვიჩი—შავები: ლ. კარლინსკი

1. d4, d5 2. მf3, მf6 3. e3 (შემცდარი სვლა, რის შემდეგ შავები საშუალებას ღებულობენ ლაზიერის კუ თავის სასარგებლოთ განავითარონ. სჯობდა კf4 თამაში) 3..., კg4 4. კd3, e6 5. მbd2, c5 6. c3, მc6 7. ლa4, კ:f3 8. მ:f3, მfd7 9. 0—0 კd6 10. e4, მb6 11. ლd1, c:d 12. e:d, მ:d5 13. მ:d4 (სჯობდა c:d, მხედრის და ამასთანავე h7 შეწირვის მუქარის შენარჩუნებით. არჩეულ გაგრძელების შემდეგ თეთრები ღებულობენ სუსტ პაიკს d4, რასაც სრულიად ვერ ანაზღაურებს ორი კუს შენარჩუნება) 13..., მ:d4 14. c:d, 0—0 15. ლh5 (ეს უკვე ავანტიურაა. სჯობდა d4 უჯრის გამაგრება კe3) 15..., g6 16. h6, ლb6 17. კe3, ეd8 18, h4, კf8 19. ლg5, კg7 20. h5. მ:e3! 21. f:e, კ:d4! (რის შემდეგ შავები ჩქარა აღწევენ მოგებას) 22. e:d, ლ:d4+ 23. მფh2, ეd5 24. კf5, ე:f5 25. ე:f5, e:f 26. h:g, h:g 27. ეf1, მფg7 28. ე:f5, ეh8+ 29. მფg3, ეh5! თეთრები დანებდნენ.

მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრება

მეხუთე ტური

მეხუთე ტურმა წერეთელს მოუტანა პირველი წაგება. ლევიტასმა, რომელიც მას ეთამაშებოდა შავებით, ინდიურ დაცვის ბოგოლიუბოვის ვარიანტში კარგათ ისარგებლა წერეთლის უგეგმო თამაშით და მეფეზე პირდაპირ შეტევის მიტანით ლაზიერის მოგების ან და სრულიად განადგურების დამუქრებით მალე აიძულა იგი დანებებულიყო. მოულოდნელი იყო აგრეთვე ახნაზაროვის წაგება, რომელმაც კარგათ გაითამაშა დებიუტი შიშოვთან და მოიგო ხარისხი, რის შემდეგ პარტია მის სასარგებლოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ შემდეგ სუსტად ითამაშა და პარტია წააგო. ჩერნიავსკიმ, როგორც დებიუტში ისე შუა თამაშშიაც მოსესოვის წინააღმდეგ მიიღო თანასწორი მდგომარეობა, მაგრამ შემდეგში წავიდა ავანტიურაზე და პარტია წააგო. იცკოვიჩის და არუთინოვის პარტია ყაიმით დასრულდა. დანარჩენი პარტიები სხვადასხვა მიზეზების გამო არ გათამაშებულა.

დღეს, 1 დეკემბერს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში თამაშობენ: დანილოვი-მოსესოვი და ფალავანდიშვილი—პოგოსოვი.

ვ. გ.

პასუხი მკითხველებს

— ა. დობორჯგინიძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. გოგიამ, ლ. მაღნარაძემ, მ. შედანიამ, (ცაიში, ზუგდიდის მაზრა), ჯ. ჩომახიძემ (სამტრედია), ა. ჭიპაშვილმა (ხაშური) და ი. კოტრიკაძემ (სამტრედია).

— დ. კვესელავას ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: მ. შედანიამ, ჯ. ჩომახიძემ, მ. კალაშნიკოვმა, ლ. მაღნარაძემ, ა. გოგიამ და ა. ჭიპაშვილმა.

— ი. კოტრიკაძეს (სამტრედია): თქვენი ამოცანა დასაბეჭდათ არ გამოდგება, მარტივია. გეტყობათ შეგიძლიათ ამოცანის შედგენაზე მუშაობა. განაგრძეთ და შედეგს მიაღწევთ.

მეცნიერება და ტეხნიკა

პირველი მოლაპარაკე კინო საბჭოთა კავშირში



ლენინგრადში გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი მოლაპარაკე კინო-თეატრი.

სურათზე: მარჯვნივ—ინჟ. ბორინი, მოლაპარაკე კინო-აპარატის გამომგონებელი და კონსტრუქტორი; მარცხნივ—ამხ. მოშკინი, სუსტი დენის ქარხნების ტრესტის უფროსი ლაბორანტი, რომელიც უახლოეს დახმარებას უწევდა ამხ. ბორინს მოლაპარაკე კინო-აპარატის დამზადებაში; ცენტრში—საოპერო თეატრის მსახიობი ჟურავლენკო, რომელიც მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკე კინო-ფილმის გადაღებაში.

„მფრინავის თანაშემწე"

ასე უწოდეს ინგლისელებმა ახალ გამოგონებას, რომელიც საშუალებას აძლევს მფრინავს თავი გაანებოს აეროპლანის მართვას, რომელიც, მიუხედავად ამისა, განაგრძობს სწორი გზით ფრენას. ახალი მოწყობილობა ყოველმხრივ გამოსცადეს სხვადასხვა ამინდში. ერთი გამოცდა მდგომარეობდა იმაში, რომ აეროპლანი, რომელიც ქარში აფრინდა, 300 მილის მანძილზე მიფრინავდა ისე, რომ მფრინავს ხელიც არ გაუნძრევია: მან ხელი გაუშვა საჭეს აფრენისთანავე და მხოლოდ მაშინ მოჰკიდა მას ხელი, როცა აეროპლანი დანიშნულების ადგილს უახლოვდებოდა და უნდა დაშვებულიყო.

ახლად გამოგონებული ხელსაწყო, რომელიც 8 კილოგრამს იწონის, წარმოადგენს ბზრიალას პრინციპზე აგებულ მექანიზმს. იგი ავტომატიურად ასწორებს, ყოველგვარ გადახრას სწორი მიმართულებიდან, მოწყობილობა გამოსცადეს ყოველი სახის საფრენ აპარატებზე.

რადიო-გადაცემა

კვირა, 1 დეკემბერი

თბილისის რადიო სადგურიდან დღეს გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა:

პიონერისა და მოსწავლის საათი „პიონერთა მე-5 თათბირის შედეგები" ქართულ ენაზე. საკვირაო ლიტერატურულ მუსიკალური დილა „თანამედროვეობა", გადაცემა გლეხთათვის —ექიმის საუბარი, ამხ. კ. ხომერიკის მოხსენება; „გლეხკომების გადარჩევის შესახებ", საერთაშორისო და საშინაო მიმოხილვა—ქართულ ენაზე, პოპულიარული კონცერტი გლეხთათვის, პიონერისა და მოსწავლის საათი, „ნაროდნაია ვოლიას" 50 წლის თავი—ეკსკურსია რევოლიუციის მუზეუმში რუსულ ენაზე, აგრონომის საუბარი—„ჩვენი სუბტროპიკული მცენარეები"—ქართულ ენაზე, კომკავშირელთა რადიოგაზეთი ქართულ ენაზე, ლექცია ციკლიდან „საბჭოთა პედაგოგის დასახმარებლად",—„პედაგოგისა და მოსწავლეთა როლი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში"—ქართულ ენაზე. ინფორმაცია, საერთაშორისო და საშინაო მიმოხილვა ქართულ ენაზე, დროის შემოწმება და გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები, მხატვრული კითხვა. კახეთის გლეხთა გუნდის გამოსვლა,

ორშაბათი, 2 დეკემბერი

დილით: მუშათა შუადღე, ახალი ამბები და კონცერტი. საღამოთი: მუსიკის მოსმენა სადილის შემდეგ, პიონერისა და მოსწავლის საათი, საუბარი „მეცნიერება და ტეხნიკა" — რუსულ ენაზე, რადიო გაზეთი ქართულ ენაზე, გაზეთი „წითელი არმიელი" რადიოთი ქართულ ენაზე, დაუსწრებელ კომუნისტური უნივერსიტეტის ლექცია რადიოთი, „პოლიტეკონომია"—რუსულ ენაზე, დროის შემოწმება და ინფორმაცია, რადიო გაზეთი რუსულ ენაზე, ლიტერატურულ მუსიკალური საღამო შემდეგ თემაზე: „შრომა პოეზიასა და მუსიკაში", უკანასკნელი ამბები.

მადლობა

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ მოათავსოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემდეგი: საბიბლიოთეკო ლაშქრობის ჩამტარებელი რესპუბლიკანური შტაბი უღრმეს მადლობას უცხადებს ამხ. მიხა კახიანს, რომელმაც შემოსწირა მას 937 ცალი წიგნი. შტაბი თხოვნით მიმართავს სხვა ამხანაგებსაც მიჰბაძონ ამხ. მ. კახიანის მაგალითს.

ბიბლაშქრობის შტაბი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, პირველ დეკემბერს, თბილისის შრომის ბირჟაში სამუშაოზე გასაგზავნად უნდა გამოცხადდნენ შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ა. ნაზაროვა, ვ. კარგალინი, ს. ხუბეროვა, ლ. ჩხეიძე, ს. შიხიანცი, ნ. აბრამინი; გ. თავაძე, ა. სარქისიანი, გ. აივაზოვა, ს. სტეფანოვა, ი. დემუროვა, ა. ბამიროვა, ს. საფაროვა; ლ. ანდრიასოვა, ა. თეთრაშვილი, ს. მელიქაძე, მ. გასპაროვა, ა. სუთიძე, ბეჭთაბეგოვა, ხანდილიანცი, შახოიანი, ბ. შიფიანი; ა. ნიცაროვა; შავიშვილი, ს. ზარიძე, მ. ჩიხლაძე, შ. ნიაზოვა, მ. დარჩიაშვილი, ა. ჩალაური, ვ. სომხიევი, ზორიანცი, გალუსტოვა, ი. მანჯგალაძე; გ. ოქროპირიძე, ი. სტეფანიშვილი, თ. ნეუდაჩინა, მ. ვულიევა, ხასტიკოვა, ი. ხასტიკოვა.

რკინის გზელთა სექციიდან: თებრონე რამიშვილი, ივანე ხუციშვილი, არტემ ტატიშვილი, კონსტანტინე ქვლივიძე, ვარო დემეტრაშვილი, გიორგი დანდუროვი, ტარასი დარჯანია, გიორგი ბახტაძე, ვ. ტუსიევა, ტ. ადამოვა; გ. კაშტანოვა, ნ. ადამოვა, მ. ლორთქიფანიძე; დ. მეტრიშვილი, ი. პეტროსოვა, ეკ. სამოხიანცი, ა. კულაკოვა, გ. ანასტასიევა, შ. ავდიშევა, ზ. კულაგინა, შერმადინი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომი იუწყება, რომ კვირას, 1-ლ დეკემბერს საქ. სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის შენობაში საღამოს 5 საათზე **იხსნება ყველა ტიპის პოლიტ-წრეების მეცადინეობა**, რისთვისაც უნდა გამოცხადნენ დაუგვიანებლივ ყველა წრეებში ჩაწერილი მსმენელები და აგრეთვე ამხანაგები, რომელნიც მიმაგრებული არიან ხელმძღვანელებად: თოფურია ალექსანდრე (მაღ. ტიპის სკოლა), ძიძიგური ლავრენტი (რკ. გზ. მე-4 შრ. სკოლა), კაკულია პლატონი (გიდროტეხნიკუმი), კოპალეიშვილი დავითი (სპილენძის სატკეცი ქარხ.), ფაჩულია მიხეილი (სალ. კომ. უნივ. ზკუ), ოსიპოვი არმაისი (ტკ-ს სააგიტ. საპრ. განყ.), საკაიშვილი მიხეილი (რკ. გზ. მუშფაკი), სანაძე ალექს. (რკ. გზ. სტატისტ. განყ.) ჭეიშვილი ალექსანდრე (სპი), შახოვი სერგეი (თბ. ქ. სააგიტ. საპრ. განყ.), გოდაბრელიძე (სპი-ს მასწ.), მაილიანი სერგეი (სამთოქიმიური ტრესტი), პანარენკო (სპი-ს სტუდენტი), თოფურიძე (სტალინის სახ. სარ. შემკ. ქარხ.), გორიანი მანუელი (ა.-კ. ფეხოსანთა სკოლა), კურ - პავლე (ა.-კ. ფეხოსანთა სკოლა), კუხალეიშვილი (სპი), ჭკუასელი (მიწად. მომწყ. ტეხნიკუმი), პერევუშინი ალექს. (სპი), ბოკუჩავა ტრიფონი (ა.-კ. ფეხოს. სკოლა), სამოხვალოვი ვლადიმერი (სპი), შავერდოვი არამი ((რკ. გზის ჯანმრთელობ. განყ.), აკიმოვი ვლადიმერი (ა.-კ. კოოპ. კავშირი), მესხი (ფინსახკომი), ციხელაშვილი (ცეკა), დოლიძე დავითი (სპი) და გუმბარიძე გრიგოლი (ა.-კ. სოც. კომიტეტი).

სამშაბათს, 3 დეკემბერს, პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (ანტირელიგიური სექცია) რუსთაველის პროსპ. № 21, მესამე სართული, შესავალი ეზოდან) შესდგება ჯგუფური კონსულტაცია ულმერთოთა აქტივისათვის შემდეგ თემაზე: 1) განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლა და ანტირელიგიური მუშაობა, 2) როგორ უნდა ჩატარდეს „შობის" საწინააღმდეგო კამპანია.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპ ბეჭდ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. სიმონ ცუცქირიძეს გამოცხადდეს ც. კ. აგიტპროპში ორი დღის განმავლობაში (ოთახი № 9).

—:—

დღეს, 1 დეკემბერს, ც. კ.-ს აგიტპროპბეჭდ. გან-ბაში, დღის 11 საათ. შესდგება რედაქტორების თათბირი, რომელსაც დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კიკნაძე („კომუნისტი"), საყვარელიძე („ახ. სოფელი"), გრიგორიანი („რაბ. პრავდა"), სიხარულიძე („მუშა"), მახათაძე (ახ. კომუნისტი" და „მოლ. ლენინეცი"), რასულ-ზადე („ენიკენდი"), ვარტანიანი („პროლეტარი"), მდივანი (ქალაქის რაიკომი), სიხარულიძე („მოჯ. ხმა") და არონიძე („წით. არმიელი").

კ. პ. (ბ) ქალაქის რაიკომის საინფორმაციო ქ.-განყ. განმეორებით სთხოვს ქალაქის რაიონის უჯრედების მდივნებს (სადაც ჩატარდა ბიუროების გადარჩევა), რათა მათ შეიარონ ქალაქის რაიკომის საინფორმაციო ქ.-განყოფილებაში (სოლოლაკის ქ. № 7). 1 დეკემბერს, 3 საათამდე.

ს. კ. პ. (ბ) ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 1 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, ქალაქის რაიკომის ბინაზე შესდგება ს. კ. პ. (ბ) ქალაქის რაიონის უჯრედების და საბინაო-საიჯ. ამხ-ბათა ქალთა კომისიების წევრთა და ქალთა ორგანიზატორების გაერთიანებული თათბირი. ყველას დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

ს. კ. პ. (ბ) 26 კომუნარის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ კვირას, 1 დეკემბერს დილის 10 საათზე, საპონ-ტრესტის წითელ კუთხეში (კომუნალური ქ. № 119) შესდგება ტყავის ქარხ. № 1 და № 2, ქიმიკოსთა, ფეიქართა და მებაღეთა უჯრედების ჯგუფური კრება, რომელზედაც ჩატარებული იქნება იმ ამხანაგების წმენდა, რომლებსაც ასეთი არ გაუვლიათ.

2 დეკემბერს, „მკერავი"-ს ფაბრიკა № 2 შენობაში. (კომუნალური ქ. № 62) შესდგება საგალტო და „მკერავი" № 2 ფაბრიკების უჯრედების კრება, რომელზედაც ჩატარებული იქნება იმ ამხანაგების წმენდა, რომლებსაც არ გაუვლიათ ასეთი.

დღეს, კვირას, 1 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, ა. ლ. კ. კ. ქალაქის რაიკომის ბინაზე (სოლოლაკის ქ. № 7) დანიშნულია კომკავშირელის მიერ დაწერილ პიესის „აზიის ამღვრეული თვალები"-ს კოლექტიური კითხვა. დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ კვირას, 1-ლ დეკემბერს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება საღამოს საბჭოთა პარტ. სკოლების საერთო განათლების საგნების მასწავლებელთა თათბირი. დასწრება ყველა მასწავლებელთა სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს 1-ლ დეკემბერს, დილის 10 საათზე მოწვეულია პედ. ფაკულტეტის 1-ლ მე-2 კურსთა არსებული ა.ლ.კ.კ. № 3 უჯრედის გაერთიანებული კრება. დასწრება ამავე უჯრედის წევრ-კანდიდატთა სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

დღეს, 1 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე. რკ. გზის 8-ე სკოლის შენობაში შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა ს.კ.პ. (ბ) და ა.ლ.კ.კ. უჯრედის გაერთიანებული სხდომა. კომპარტიის წევრ-კანდიდატებისა და კომკავშირელების დასწრება სავალდებულოა. სასურველია აგრეთვე იმ კომუნისტ და კომკავშირელი პედაგოგების დასწრება, რომელნიც მუშაობენ ლენინის რაიონში და ზემოხსენებულ უჯრედში არ ირიცხებიან.

სახ. უნივერსიტეტის კ. პ. (ბ) პარტბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ ორშაბათს 2 დეკემბერს დილის სრულ 11 საათზე მოწვეულია ბიურო კოლექტივის სხდომა. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

გიორგი ბრეგვაძეს (შორაპნის მაზ.)

კითხვა:

ჩემი ბიძაშვილი 40 წლის წინეთ გადასახლდა სხვა სოფელში. ჩვენ სოფელში მას დარჩა მიწები. ამ მიწებიდან მე დავიკავე ორი პატარა ნაკვეთი ვენახი და სახნავ-სათესი. 1924 წლამდი ჩემ ბიძაშვილს ვაძლევდი ვენახის შემოსავლის ნაწილს. 1924 წლიდან მას აღარაფერი წაუღია და მიწებით ვსარგებლობდი მე. ახლა მოკვდა ჩემი ბიძაშვილი და მისმა შვილმა, პენსიონერმა, აღძრა სახალხო სასამართლოში სარჩელი მიწების შესახებ. სასამართლომ მიუსაჯა მას მიწები და რამოდენიმე წლის საიჯარო ქირა. კანონიერია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება და როგორ მოვიქცე.

პასუხი:

თუ თქვენი ბიძაშვილისეული მიწები რეფორმის ჩატარების დროს მოგეცათ თქვენ ნორმაში, მიწები ეკუთვნით თქვენ. ყოველ შემთხვევაში თქვენს ბიძაშვილს დაკარგული ჰქონდა უფლება ამ მიწებზე, თუ მას 1924 წლიდან აქამდის არ უსარგებლია მიწებით. ამის გამო სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სწორი არსებითად. ამას გარდა სახ. სასამართლოს სრულიად არ ჰქონდა უფლება განეხილა დავა მიწის შესახებ, რადგან ასეთი დავები ექვემდებარება რაიონის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიას. თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არ გასულა 14 დღე. თუ გასაჩივრების ვადა გაშვებული გაქვთ, შეგიძლიათ მიმართოთ განცხადებით რესპუბლიკის პროკურორს, რომელსაც ეკუთვნის კანონით გამოითხოვოს საქმე ზედამხედველობის წესით.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მამა კონსტანტინე, და თამარა, ძმები: კოლია, რაჟდენი და ევგენი, რძლები: ანეტა და ლილი შვილებით: აჩიკო, გივი და ბორისი, აღმზრდელი კატო ჟორჟოლიანი შვილები იუწყებიან მათთვის უძვირფასეს და დაუვიწყარ

დორა კუჭუხიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 3 ნახ. საათზე, ბინიდან გრიბოედოვის ქუჩა, № 10. დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე.
4525

ჩიტო შარაშიძე, ნინო ვეშაპელი, სარა ლამბაშიძე, ელენე ბეთანელი, მარუსია ცეცხლაძე, სონია არჩაია, ლიდა ქურციკიძე, ნინო სვანიძე, ბარტყულა კალანდაძე, მაკა ნაკაშიძე, კატუშა აფშილავა, ლიუბა განუგრავა, მერი ჯუმუხაძე დასტირიან უდროოდ დაკარგულ მეგობარს

დორა კუჭუხიძეს

გამოსვენება დღეს, 1 დეკემბერს, 3 ნახ. საათ. გრიბოედოვის ქ. № 10. ვერის ძველ სასაფლაოზე.
4516

აგრონომიულ ფაკულტეტის მეაბრეშუმეობის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება თავის ძვირფასი თანამშრომლის

დორა კუჭუხიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 1 დეკემბერს, 3 ნახ. საათზე, გრიბოედოვის ქ. № 10, ძველ ნიკოლოზის სასაფლაოზე.
4531

საქ. გან. მუშ. პროფ. კავშირის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული ადგილკომი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას განათლების მუშაკთა კავშირის წევრის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის თანამშრომლის

დორა კუჭუხიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 1 დეკემბერს, გრიბოედოვის ქუჩა № 10-დან.

თბილ. სახ. უნივ. აგრონომიული ფაკულტეტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე ფაკულტეტის თანამშრომელის

დორა კუჭუხიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას 3 ნახ. საათზე, საკუთარი ბინიდან გრიბოედოვის ქ. № 10. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე.
(გ)

ღრმად დამწუხრებული დედა ეფროსინე, ბიცოლა შონია, ძმა ევგენი, დები ეკატერინე და ბაბილინა, სიძეები: სპირიდონ კალმახელიძე და პართენ დემეტრაშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასი, საყვარელი და ყველასათვის უწყინარი ადამიანის

ივანე არსენის-ძე ბენდიანიშვილის

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოდან დღეს, 1 დეკემბერს, 1 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.
4521

საფეიქრო ტრესტის თანამშრომელნი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 28 ნოემბერს, დილით სამსახურის შესრულების დროს უეცრად გარდაიცვალა ტრესტის თანამშრომელი

ივანე არსენის-ძე ბენდიანიშვილი

გამოსვენება ქალაქის მე-2 (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოდან დღეს, 1 დეკემბერს, 1 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.
4527

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მინადორი, ძმები იპოლიტე, იოველი და ქრისტეფორე, რძლებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას, 1 დეკემბერს, 1 საათზე, სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ბარბალე (ბაბო) ქუთათელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად.
4514

ღრმად დამწუხრებული მეუღლე აგრაფინა შვილებით ქსენია, თინა და ვალიკოთი, სიდედრი ვასასი ჭავჭანიძე შვილებით—სერგო და ფაციათი, რძალი თამარა, ცოლისდის შვილები, ობლები—პეტრე, პავლე, თამარა და ლიუბა შავდიები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 29 ნოემბერს სოფ. თალერში (სენაკის მაზრა) ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სიმონ იოსების-ძე ჯიოევი

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, ქ. ხონში, დღის 4 ს. (დე.)

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929-1930 წ.
ნ. 3437

კვირას, 1 დეკემბერს,
კავშირებისათვის
ვ. იალცევი
ღვარძლი
დრ. 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის.
დადგმა—ალ. ახმეტელის და ქ. პატარიძის
მხატვარი—ნ. პელიონქინი
მუს. ნაწ. გამგე—ზრ. ძილაძე
დასაწყისი სრულ 8 საათზე
თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.
დარჩენილი ბილეთები კავშირის წევრთათვის 40 პროც. დაკლებით, სტუდენტებისათვის - 50 კაპ.

აპოლო ლია დე პუტი ღ მერნერ კრაუსი **ეჭვიანობა** 2 დეკემბრიდან გრძელდება იგივე სურათი
სოლეი **ლუ-ლუ** ლუიზა ბრუკსის მონაწილეობით. 2 დეკემბრიდან გრძელდება იგივე სურათი
მინიონი უკანასკნელი დღე **სამი გამოცდა** 2 დეკემბრიდან მეტოქენი
პალასი შედევრი **იმპერიის ნამსხვრევი** 2 დეკემბრიდან გრძელდება იგივე სურათი
არფასტო სეზონის საუკეთესო ფილმი **ნანუკ** 2 დეკემბრიდან გრძელდება იგივე სურათი
დარბაზი უკანასკნელი დღე **პატი ზღვაში** 2 დეკემბრიდან წ უ მ კ ე ხეიფეცის კონტროლები
მალე: „კაენი და არტემი"
0—1

კინო-პალასი
ორშაბათიდან, 2 დეკემბრიდან მეორე კვირას გრძელდება
განსაკუთრებული შედევრის
იმპერიის ნამსხვრევის ჩვენება
ყოველდღე ანშლაგები. უდიდესი წარმატება

გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა
ამით აცხადებს ქუთაისის ოლქის ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომ ა-წ. 20 ნოემბრიდან
ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას გადაეცა მონოპოლიური უფლება
გაზ. „კომუნისტი"-ს გავრცელებაზე აღნიშნულ ოლქში, გარდა ჭიათურის, ზესტაფონის და სამტრედიის რაიონებისა.
გაზეთ „კომუნისტ"-ზე ხელისმოწერა მიიღება ქალ. ქუთაისში გაზეთ „კომუნისტი"-ს კანტორის განყოფილების შენობაში (როზა ლიუქსემბურგის ქ. № 64) და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში და წერილების დამტარებლებთან.
„კომუნისტი"-ს გამომცემლობა და ფოსტა-ტელეგრ. სამაზრო ბიურო.
0—2

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი
დღეს, 1 დეკემბერი, მე-6 აბონ. მ. მე-3 წარმოდგენა **თამარ ცბიერი**
2 დეკემბრისათვის აღებული ბილეთები ძალაშია 1 დეკემბერს.
ორშაბათი, 2 დეკემბერი, მე-9 აბონემ. 1-ლი წარმ. მ. პ. მაქსაკოვას მონაწილეობით **სამსონ ღ დალილა** 1 დეკემბრისათვის აღებული ბილეთები ძალაშია 2 დეკემ
სამშაბათი, 3 დეკემბერი აბონემენტის გარეშე ალექსანდრე პიროგოვის მონაწილეობით **ტრილბი**
ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასასყიდათ. მე-5 შესატანის უკანასკნელი ვადა 3 დეკემბერი.
ნ. 3440

გამოვიდა და იყიდება სახელგამის მიერ
გამოცემული:

	ფასი
1. ფ. მახარაძე—საქ. სახალხო მეურნ. განვითარების 5 წლიანი გეგმა გვ. 152	80 კ.
2. ლ. ლოლოშერიძე—სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები გვ. 208	80 „
3. კოზიაკოვი—კოოპერაცია და ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა გვ. 56	35 „
4. ა. რიკოვი, გ. კრჟიჟანოვსკი, ვ კუიბიშევი—სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა 236 გვ.	80 „
5. საკავშირო კომპარტ. (ბ) ცეკას ნოემბრის 1928 წ.) პლენუმის რეზოლიუციები გვ. 66	20 „
6. ფ. მახარაძე— საქართვ. კომპ. (ბ) მორიგი ამოცანები გვ. 64	20 „
7. გ. პლეხანოვი—მარქსიზმის ძირითადი საკითხები გვ. 220	90 „
8. ს. კაბაკჩიევი—როგორ წარმოიშვა და ვითარდებოდა კომინტერნი გვ. 232	1 მ.
9. მ. კახიანი—სოციალისტური მშენებლობა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ მორიგი ამოცანები	80 „
10. „ იგივე რუსულად გვ. 168	70 „
11. მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციები და დადგენილებანი გვ. 64	30 „
12. საქართველოს კომპარტ. (ბ) ყველა ორგანიზაციის თვითკრიტიკის შესახებ გვ. 24	02 „
13. ს. მამულია აგიტაციის, პროპაგანდის და კულტურული მშენებლობის ძირითადი ამოცანები საქართველოში გვ. 122	75 „
14. З. ЧАХВАДЗЕ—Социально экономич. структура груз. деревни стр. 152.	1—50

დაკვეთებით მიმართეთ სახელგამის მაღაზიებს თბილისში და პროვინციაში.

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—04.
დღეს, კვირას, 1 დეკემბერს,
სადებიუტო წარმოდგენები 3 განყოფილებად
განახლებული პროგრამა
პირველად თბილისში. უცხოელი არტისტის
ვ. რაჩინის პირველი დებიუტი.
დუო ბეზკოროვაინიების პირველი დებიუტი.
საჰაერო ევოლიუცია. პროგრამაშია საცირკე ჟანრის კიდევ 12 ნომერი
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე
დირექცია.
ნ. 3408 2—2

მიხა ცხაკაიას სახელობის
ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის
სახელმწიფო ინსტიტუტი
(ლენინის ქ. № 49)
მკურნალობის ყოველგვარი ფიზიკური მეთოდები: ელექტრონი, ტალახით, წყლით, სინათლით მკურნალობა, მექანოთერაპია, რენტგენო-რადიოთერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა.
მკურნალობა ამბულატორული და სტაციონარული.
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა დილის 10 საათიდან 1 საათამდე.
შინაგანი (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობანი, რევმატიული დაავადებანი და სხვ.), ნერვიული და ქალთა ავადმყოფობანი.
ავადმყოფების ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.
ფასიან ავადმყოფების მიღება. მკურნალობის პირობების შესახებ ცნობების გაცემა ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15 48. 25—22 ნ. 3343

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— პურის წიგნაკის ტალონი ელენე ავალიშვილის სახელზე.	4513
— მატრიკული № 01429 ილია ანდრეას-ძე გელოვანის სახელზე.	4513
— პასპორტი № [illegible]02, გაცემული დუშეთის მილიციის მიერ, ლევან ამირაგოვის სახელზე.	4518
— „ზაკტპოს" წიგნაკი № 22382 ალექსი ხუდაშვილის სახელზე.	4517
— ატესტატი № 627, გაცემული ფოთის გიმნაზიის მიერ, ნინო ჭანტურიას სახელზე.	4519
— საკანდიდატო ბარათი № 1035 პავლე ქინქლაძეს სახელზე.	4526
— მეტრიკული ამონაწერი ქეთო ილიას ასული მოსეშვილის სახელზე.	4520
— წლიური ბილეთი № 417102 გიორგი ენაგელის სახელზე.	4313
— კავშირის წიგნაკი № 567686 მიხეილ ჯაფარიძეს სახელზე.	4522
— სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 1429 ვანიკა გაგნიძეს სახ.	4524
— საწევრო წიგნაკი, გაცემული სენაკის „ეპოს" მიერ № 418 მინადორა შელიას სახელზე.	4524
— პურის წიგნაკი (4 სულის) ლიტერი ბ. და მუშკოოპის წიგნაკი № 78001 აკაკი შონგაძეს სახელზე.	4528
— ლომბარდის ქვითარები: № 039537 და № 031247.	4524
— რძის ტალონი ლევან დოლიძეს სახელზე.	4530
— პურის წიგნაკი გიორგი სალაყაიას სახელზე.	4521

კინო-მინიონი
ორშაბათიდან, 2 დეკემბრიდან
,,მეჟრაბპომ-ფილმ"-ის ახალი
მხატვრული სურათი
მეტოქენი
მთავარ როლებში: ზამონი, ლენსკაია, კუზნეცოვი, არკანოვი
რეჟისორი ა. დმიტრიევა
ოპერატორი პ. მოსიაგინი
ნ. 3439

რუსთაველის თეატრი—სეზონი 1929—1930 წ.
ყველა აბონემენტების მე-4 შემოსატანი
ფულის ვადა თავდება
5 დეკემბერს სერია ბ 4 აბონემენტს
5 დეკემბრისათვის უნდა ქონდეს დაფარული მე-3 შემოსატანი
თეატრის დირექცია.
ნ. 3338

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10 – სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, აბსცესი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—3

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02. 25—13

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

ს. ანდრეევა შინაგან ავადმყ. სპეც. სახსრების და ჯირკვლების დაავადება (ტუბერკულიოზი), საღ. 6—7 ს. ელბაქიძის დაღმართი 29, (ცირკის პირდაპირ) ტელ. 11—78.

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914"-ის შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი [illegible]), პსიქოთერაპია. მიღება დილით 9 ნახ. 11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—2

მ. ორლოვსკაია თვალის ოპერაციები და სათვალეების შერჩევა. ღებულობს დილის 9-დან 12 საათამდე და საღამოს 5-დან 7 საათამდე ამოს (ყოფ. ქსენიას) ქუჩა, № 9. 25—5

ი. ი. ჭეიშვილი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი იღებს: დილ. 8—9 საათ., საღ. 6—8 საათ., ნაშუად. 4—5 ს. მხოლოდ ქალებს. მისამართი: ყამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 25—4

გ. ე. ფხალაძე სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება დილით: 7—8 საათ. საღ. 6—8, 5—6 ქალების. მარტის ქ. № 6 (ყ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან. 25—4

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—9 ს საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: ყამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ. კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90 25—3

ქუთაისი **თ. ვ. აკოფაშვილი** შინაგანი სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა ბროსეს ქ., № 7 (მე-3 საბჭოთა აფთიაქის გვერდზე).

ალ. მაღალაშვილი ბავშვების ექიმი, საღამოს 5—7 საათამდის, ყორღანოვის ქუჩა № 12. 25—1

ა. დ. კეკელია სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება. [illegible] პროსპ. № 116. [illegible] მიღება დილით 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. -12—67.

ა. ვადაჭკორია ქალთა ავადმყოფობანი დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 25—1

მალაევი თვალის ექიმი ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) 47. ტელ. 5—90.

ი. ვ. ხანდამოვი სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დღის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25-1

ი. დ. თოფურიძე იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. სიფილისი, კანის და ვენერიული (სუსუნტით გამოწვეული გართულებები). დილის 7 საათიდან 8 საათამდე. დღით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდის, მამაკაცები 5—8 საათამდის. 25—1

ი. გაგიჩვაძე ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი. [illegible] გონორეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე. პლეხანოვის პრ. 65. 25—4

ნ. გ. გეგეჭკორი შინაგანი სნეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6—7 საათამდე. პეროვსკის ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფების მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34, რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—1

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოები, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით [illegible]—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე მოსაცდელი, სასტუმრო „ევროპას" ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის [illegible] № 8. 25—1

ტირაჟი—43.000
პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904